საერთო გაზეთი

№2 (355) • 27 იანვარი, 2016 წ. • გამოდის ოთხშაბათს • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1.20 ლ.

ლუკა კურტანიძე:

არ ვიცი, ვიქნები თუ არა „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიაში, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის ერთგულ ადამიანთა სიაში ყოველთვის რომ ვიქნები, დანამდვილებით ვიცი!

„მე და ჩვენი გუნდის თითოეული წევრი უნდა დარწმუნდეს, რომ საკანონმდებლო, თუნდაც, აღმასრულებელ ხელისუფლებაში ის ხალხი მოვა, რომელიც 2012 წლის მონაპოვარს და ერის კაცის იმ მაგალითებს, რომელიც მან დაამკვიდრა, არ უღალატებს. ესაა ჩვენი მიდგომა. ვფიქრობ, საზოგადოებაც და ბატონი ბიძინაც ამას შეაფასებს და დააფასებს“.

თამარ ჭოხონელიძე:

კულტურას რომ გართმევენ, ეს იგივეა შვილი რომ წაგართვან... არც ამაზე უნდა ამოვიღოთ ხმა?

„დღეს უკვე კატეგორიულად მაინტერესებს და მოვითხოვ, როგორც რიგითი ქართველი – სად არიან მუსიკოსები? სად არის კულტურის სამინისტრო? სად არის კონსერვატორიის ფოლკლორის კათედრა და ბოლოს, სად არის იმ ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელობა, რომელიც პირდაპირ არის ვალდებული ასეთ უმსგავსობაზე პასუხი გასცეს“.

მანანა ნიკოლაიშვილი:

გიორგი მარგველაშვილი „ქართულ ოცნებას“ პირველად განათლების სისტემიდან დაუპირისპირდა და მის გზას წარმატებით აგრძელებს მისი ფავორიტი თამარ სანიკიძე

„რატომ თქვა „ქართული ოცნების“ განათლების მინისტრმა, რომ ნაციონალების დატოვებული ეროვნული სასწავლო გეგმა კარგია და არაფერი ჭირს შესაცვლელიო, როცა სწორედ მისი შეცვლის მოთხოვნით ვაწყობდით მრავალთვიან აქციებს უნივერსიტეტის კიბეებზე და ღამეებს ვათენებდით ქუჩაში?“.

 პროკურორ ქირიას მკვლელობის საიდუმლო მაშინ გაიხსნება, როცა გაირკვევა, კუჭავამ თავი მოიკლა თუ მოკლეს?

აგვისტოს ომის დროს ქართულ მისიაში ნარკომანი ოფიცრები იყვნენ და ეს ამერიკულმა მხარემაც იცოდა...

გზა ჯოჯოხეთისკენ დემოკრატიის სახელით

„ვერცხლისფერი მელა“ თუ „ზღარბი“?

რწმენის ფასი: რა კავშირია რელიგიასა და შემოსავალს შორის

თაღემ-ქეზ, გიჟვრაცუა ქართველებო!..

დიდ სიღნაღელს – სიღნაღელი შვილობილისგან

რედაქტორის სვეტი

2016 წელი განსაკუთრებული მნიშვნელობის წელია საქართველოსთვის.

განსაკუთრებულია ის არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს წელი საპარლამენტო არჩევნების წელია, არამედ, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ 2016 წელს საბოლოოდ უნდა დამთავრდეს 2012 წელს დაწყებული დიდი „უბორკა“ ქართული პოლიტიკის არეულ-დარეულ სახლში და ყველას და ყველაფერს თავისი კუთვნილი ადგილი უნდა მიეჩინოს, ხოლო როგორ ჩაივლის ეს „უბორკა“, იმაზეა დამოკიდებული, როგორ დალაგდება სიტუაცია თვით კოალიცია „ქართულ ოცნებაში“.

„ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის შესახებ ჯერერჯობით მხოლოდ ის ვიცით, რაც „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ თქვა — სიაში სპორტსმენები და მსახიობები არ იქნებიან წარმომადგენელიო.

კობახიძის ამ გაუაზრებლად წამოსროლილმა რეპლიკამ დავით უსუფაშვილი გამახსენა, რომელიც ამ ორიოდე წლის წინათ პარლამენტში იურისტების ნაკლებობის გამო წუხდა, რის შედეგადაც კანონშემოქმედებითი მუშაობა ფერხდება თურმე...

ახლა, როგორც ჩანს, ამ ნაკლის გამოსწორებას ცდილობენ და „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში საპარლამენტო საქმიანობისთვის შესაფერის, რაც შეიძლება მაღალი კვალიფიკაციის ადამიანების შეყვანა აქვთ განზრახული.

თავისთავად ცხადია, ამ განზრახვაში ცუდი არაფერია, რაც უფრო მეტი მაღალკვალიფიციური იურისტი, ეკონომისტი, ექსპერტი და ანალიტიკოსი იქნება პარლამენტში, მით უფრო კარგი, მაგრამ ერთია საპარლამენტო სია და მეორეა არჩევნები და არჩევნების მოგება, რომელიც ამომრჩეველთა ხმების რაოდენობაზეა დამოკიდებული, ეს რაოდენობა კი ხანდახან სულაც არ არის პირდაპირპროპორციული საარჩევნოდ წარდგენილი ამა თუ იმ პოლიტიკური გუნდის სიითი შემადგენლობის ინტელექტუალურ და პროფესიონალურ დონესა და ხარისხთან.

არის კი ჩვენი ამომრჩეველი იმდენად ინტელექტუალური, იმდენად განათლებული, იმდენად ინფორმირებული, რომ წარმოდგენილ კანდიდატთაგან არჩევანი ინტელექტუალობის, განათლებულობის და პროფესიონალიზმის მიხედვით გააკეთოს?

სამწუხაროდ, არა!

ასე რომ, სულაც არ არის გამორიცხული, რომელიმე ტვინით გაპენტილი პროფესიონალი, ენების მცოდნე, სათანადო ცოდნა-განათლებით აღჭურვილი, არჩევნებში რომელიმე „სამაუჩკამ“ დაამარცხოს, რომელსაც პოლიტიკური ანა-ბანა რუსთაველის მეტროდან თავისუფლების მოედნამდე აღმა-დაღმა ხეტიალში აქვს ნასწავლი.

კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო, — ნათქვამია.

საქართველოში კარგი მთქმელების დეფიციტი არ არის იმდენად, რამდენადაც კარგი გამგონეების.

ასე იყო ეს ოდითგანვე, ასეა ახლაც და, ალბათ, კიდევ დიდხანს ასე იქნება.

გასული საუკუნის დასაწყისში აკაკი წერეთელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ვიღაც სოციალ-დემოკრატმა პირწმინდად მოუგო.

აკაკი წერეთლის დრო ჯერაც არ დამდგარა საქართველოში, თქვენ წარმოიდგინეთ, არც ილია ჭავჭავაძის, არც ნიკო ნიკოლაძის, რადგან კარგი გამგონეები, როგორც ძველად, დღესაც უმცირესობაში არიან.

და მაინც, თუ მართლაც სინამდვილეს შეეფერება ხმები იმის შესახებ, რომ „ქართულ ოცნებას“ განზრახული აქვს, თავისი საპარლამენტო სია მაღალკვალიფიციური პროფესიონალებით დააკომპლექტოს, ვფიქრობ, ეს პროგრესისა და განვითარებისკენ მიმართული სწორი გადაწყვეტილებაა, ცოტათი რისკიანი და სახიფათო, მაგრამ უდავოდ საინტერესო და გამართლებული, რადგან არ შეიძლება ქვეყანა 25 წლის განმავლობაში სამიტინგო რეჟიმში ცხოვრობდეს და გამარჯვებულს იმის მიხედვით ირჩევდეს, ვინ ვის გადააკივლებს, ვინ ვის გადააყვირებს, ვინ უფრო ლაზათიანად იგინება, ვინ უფრო მრისხანედ იმუქრება, ვინ უფრო კარგად იქნევს კეტს და ვინ უფრო მარჯვედ ისვრის ქვას.

ვახტანგ ხარჩილავა

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი განათლების სამინისტროს რეკომენდაციით მიმართავს

დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა განათლების სამინისტროს რეკომენდაციით მიმართა, რომ იმ სასწავლო დაწესებულებებში, სადაც გაცდენების რაოდენობა 20 პროცენტს გადააჭარბებს, სასწავლო პროცესი მინიმუმ სამი დღით უნდა შეწყდეს. ამ პერიოდში კი უნდა მოხდეს შენობების სველი წესით დალაგება და განიავება. როგორც დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ დღეს გამართულ ბრიფინგზე აღნიშნა, ამ გადაწყვეტილების მიღების მიზეზი არის ის, რომ H1N1-ის გავრცელება მეტწილად სასწავლო დაწესებულებებში ხდება.

„მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ რეკომენდაციით მივმართოთ სასკოლო და ზოგადად სააღმზრდელო დაწესებულებებს, თუ მათ სკოლაში ან ბაგა-ბაღში 20 პროცენტს სცილდება გაცდენების მაჩვენებელი, პრევენციულად, მინიმუმ სამი სამშაო დღით შეწყდეს სწავლა და ბავშვების მიყვანა ბაგა-ბაღებში“, - განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

რაც შეეხება ზოგად მდგომარეობას, დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში აცხადებენ, რომ დაავადების გავრცელების მაჩვენებელი ეპიდემიის ზღვარს არ აღწევს და ამ დროისთვის, ყოველ 100 00 მოსახლეზე ვირუსით ინფიცირების 332 შემთხვევა ფიქსირდება.

მედიანიუსი

ღია წერილი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ **დავით უსუფაშვილს**
საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს **გიორგი პაპუაშვილს**
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ქალბატონ **ნინო გვენეტაძეს**
საქართველოს პარლამეტის ადამინის უფლებების კომიტეტის თავმჯდომარეს ქალბატონ **ეკა ბესელიას**
იუსტიციის მინისტრს ქალბატონ **თეა წულუკიანს,**
სახალხო დამცველს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თავმჯდომარეს **დინ შპილმანს**

გვინდა, ჩვენი გაოცება გამოვხატოთ ისეთ ფაქტთან დაკავშირებით, როგორიც, ალბათ, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ხდება. გვინდა, კვლავ შეგახსენოთ პატრიოტი ქართველის ირაკლი დოკვაძის საკითხი.

კაცი, რომელიც ოც წელზე მეტია, უდანაშაულოდ იტანჯება სამშობლოს და ქართველი ერის სიყვარულისთვის და ხმას არ იღებს, ინტელიგენცია, ხმას არ იღებს ახალგაზრდობა, ჟურნალისტები, პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები.

ირაკლი დოკვაძის საქმესთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, მეტის გაკეთება შეგიძლიათ! გთხოვთ ყურადღება, ძალისხმევა და კეთილი ნება გამოიჩინოს ყველამ! გამოვიდნენ და განაცხადონ ირაკლის უდანაშაულობა და წინა ხელისუფლების დანაშაული (დაზარალებული მხარე, ხომ თავადვე უარყოფს ირაკლის მონაწილეობას) მოეხსნას უსამართლოდ წაყენებული ბრალდება და გაათავისუფლონ საპყრობილედან დაუყოვნებლივ! ეს ეხება, კარგი ქართველის, სამშობლოზე უანგაროდ შეყვარებული კაცის მოწამეობრივ ცხოვრებას და ვალდებულნი ვართ, გავაკეთოთ ყველაფერი, რომ გადარჩეს ირაკლის და მისი დედის ქალბატონ ლეილას სიცოცხლე, რომ გადარჩნენ მისი შვილები, რომლებიც 4-5 წლის ასაკიდან დღემდე მონატრებულნი გაუცხოვებულნი და დასჯილები არიან უმამობით. ჩვენთვის ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლე ხელშეუხებელია და აუცილებლად ვიბრძოლებთ გადასარჩენად! ვიმედოვნებთ, რომ წერილს მოჰყვება შედეგი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა აგებს პასუხს, ვინც მონაწილეობდა და დღემდე მონაწილეობს ირაკლი დოკვაძის მიმართ უსამართლო ქმედებაში.

იბერთა-კოლხთა სრულიად ქართველთა
საერთაშორისო საზოგადოებრივი მოძრაობა „იბერია“:

ვლადიმერ ხმელიძე - საფრანგეთი, სტრასბურგი, **ლადო შარმაძე** - საფრანგეთი, **ბენიამინ ციხისთავი,** - გერმანია, **ნანა ტატიაშვილი** - აშშ

მარიამ ხუბულავა - აშშ, **ბელა ნარჩემაშვილი, ნოდარ სისაური** - საფრანგეთი, **რატი პაპიძე** - საფრანგეთი, **გიორგი ჟორჟოლიანი** - საქართველო, **მედეა სურგულაძე, ლია ბიბილეიშვილი, როინ პაპავა** - საქართველო, **იური ბურკაძე** - ჰოლანდია, **ირაკლი ურუშბეგაშვილი** - ჰოლანდია, **ციური სისაური** - საფრანგეთი,სტრასბურგი, **დარეჯან ძორიძე** - იტალია ,**ნონა ბერაია** - იტალია, **მარინა ალხაზაშვილი** - საბერძნეთი, **კარლო თამარაშვილი** - საფრანგეთი, **თამარ თამარაშვილი** - საფრანგეთი, **მაია გეგიძე** - რუსეთი, მოსკოვი, **ალექსანდრე ქანთარია** - რუსეთი, **რიტა კორკაძე** - შვეიცარია, **სოსო პაპიძე** - შვეიცარია, **ლაშა ბიბილეიშვილი** - შვეიცარია, **გიორგი გიორგობიანი** - საფრანგეთი, **ფიქრია ადეიშვილი** - რუსეთი, მოსკოვი, **რატი ბურჭულაძე** - რუსეთი, მოსკოვი, **გიორგი ბურჭულაძე** - რუსეთი, მოსკოვი, **ბელა კარელიძე** - აშშ, ნიუ - იორკი, **ჯული კამლაძე** - იტალია, **რუსუდან ნანიკაშვილი** - ისრაელი, **ლელა ძარჩხაძე** - საბერძნეთი, **მარინა მიქაბერიძე** - იტალია, **ლევან ხაჭაპურიძე** - ირანი, **მანანა ჩახუნაშვილი** - საბერძნეთი, **მარინა ტყაბლაძე** - იტალია.

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

არ ვიცი, ვიქნები თუ არა „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიაში, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის ერთგულ ადამიანთა სიაში ყოველთვის რომ ვიქნები, დანამდვილებით ვიცი!

გვესაუბრება „ქართული ოცნების“ წევრი, პარლამენტარი ლუკა კურტანიძე:

— ლუკა, ახალ წელს ახალი პრემიერ-მინისტრით შევხვდით, რა მოლოდინები გაქვთ, რა ცვლილებებს ელოდებით ახალ პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე?

— ახალ 2016 წელს „საერთო გაზეთის“ სტუმარი პირველად ვარ, ამიტომ, მინდა ბატონ ვახტანგს, რედაქციას, სრულიად საქართველოს ახალი წელი მივულოცო და წარმატებები, სიუხვე და ბარაქა ვუსურვო. ყოველი ცვლილება ახალ იმედს სახავს. გიორგი კვირიკაშვილს ჩვენი გუნდი ძალიან ვენდობით. როგორც მისი თანაგუნდელი, ვისურვებდი, სამშობლოსთვის ბევრი სასიკეთო რამ გაეკეთებინოს. საქართველოს ვუსურვებ ბევრი სასიკეთო პროექტები დაიძრას, რაც პოლიტიკური სიძლიერისთვის იქნება მნიშვნელოვანი. 2016 წელი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ საარჩევნო წელია. საქართველო უკანასკნელ ათწლეულებში ბინძური მეთოდებით ბრძოლამ საკმაოდ უკან დახია, ამიტომ, ვისურვებდი ყველა პოლიტიკური გუნდი მობილიზდეს იმისთვის, რათა წინასაარჩევნო მარათონმა ღირსეულად ჩაიაროს.

— ლუკა, ირაკლი კობახიძემ სპორტსმენებს, მსახიობებს პარლამენტარობა დაგიწუნათ. რა პოზიცია გაქვთ ამ საკითხზე?

— პირველ რიგში, გულდასაწყვეტია, რომ ეს მხოლოდ ირაკლი კობახიძის პოზიცია არაა, არამედ საზოგადოების გარკვეული ნაწილის, რომლებიც ამბობენ, სპორტსმენმა თავის საქმე უნდა აკეთოს, ხელოვანმა — თავისიო. მოდით, მაშინ იურისტმაც, ეკონომისტმაც, სოციოლოგმაც თავის საქმე აკეთოს და პოლიტიკაში არავინ ჩაერიოს. რას მივიღებთ? ვინ მართავს სახელმწიფოში პოლიტიკას? — ვინ და როგორც სპორტსმენი, მსახიობი, ისე იურისტი, სოციოლოგი, მათემატიკოსი, ფიზიკოსი და ა.შ. მაგალითად, ჩემი სპორტში გადადგმული ნაბიჯები, ყოველთვის პოლიტიზირებული იყო. იმიტომ, რომ მე, საერთაშორისო არენაზე სოხუმის სახელით ვიბრძოდი. როცა ევროპის ან მსოფლიო არენაზე ჩემპიონი ვხდებოდი, საქართველოს დროშას აღმართავდნენ, ჰიმნი ჟღერდა, ფიქსირდებოდა, რომ სოხუმელი ვარ, ამით შემდეგს აღვნიშნავდი — აფხაზეთი, სოხუმი საქართველოს განუყრელი ნაწილია. იქ, რუსიც, ამერიკელიც, თურქიც, ირანელიც, ყველა ქართული დროშის აღმართვისას და ჰიმნის გაჟღერებისას ფეხზე იდგა. ამით, ხომ ჩემი ქვეყნის პოლიტიკას ვქმნიდი?! რა თქმა უნდა, იურისტს და სხვებსაც თავისი წვლილი შეაქვთ. ამით იმის თქმა მინდა, რომ საქართველოს პარლამენტში ყველა სფეროს წარმომადგენელი უნდა იყოს, თუ რა დოზით ამას, ალბათ, საზოგადოება გადაწყვეტს. ამ კუთხით, ჩემთვის გადამწყვეტია ბიძინა ივანიშვილის მიდგომა. მისი ძალიან მჯერა, რადგან ქვეყნისთვის დიდი დოვლათი საქმით შექმნა, დანერგა ის ღირებულებები, რაც აქამდე არ ყოფილა — ხელისუფლების მშვიდობიანად გადაცემა, ხალხისა და ერის შეუწირველად. იგი, თავის სიძლიერეს, საქმით ამტკიცებს. დავუბრუნდები კობახიძის განცხადებას. როდესაც პოლიტიკური პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ხარ, შენივე გუნდის წევრების ღირებულებებს უნდა გაუფრთხილდე, რაც მან არ გააკეთა და ეს, გულდასაწყვეტია. ჩვენი ლიდერი ბიძინა ივანიშვილია. მას ვენდეთ, ჩვენი სიცოცხლე მივანდეთ იმიტომ, რომ ეს ერთადერთი გზა იყო იმ რეჟიმის ჩამოსაშორებლად, რომელსაც სააკაშვილი მართავდა. სოსო ჯაჭვლიანმა, ზაზა პაპუაშვილმა, ლუკა კურტანიძემ, ლერი ხაბელოვმა თავიანთი საქმით მართლაც შექმნეს ქვეყნისთვის ძალიან ძლიერი პოლიტიკური ველი. ხალხს სწორედ, ჩვენი გაკეთებული საქმეებით ვუყვარვართ. რომელ კუთხეშიც არ უნდა ჩავიდეთ, უდიდეს სიყვარულს, პატივისცემას, ნდობას ვგრძნობთ. ივანიშვილთან ერთად, ხალხმა, ამიტომ მოგვცა ხმა, ეს ნდობა და სიყვარული ახლაც გრძელდება. როდესაც ამ გუნდის აღმასრულებელი მდივანი ხარ, შეფასებებში უფრო ფრთხილი უნდა იყო, ასე არ შეიძლება, ერთიმეორეს უნდა გავუფრთხილდეთ. იმიტომ, რომ საზოგადოება ძალიან კრიტიკული და მომთხოვნია, ამასთანავე, აკვირდება რამდენად გუნდურები ვართ, თანაგუნდელები ერთიმეორეს რამდენად ვაძლიერებთ. ვფიქრობ, ეს უფრო შიდა სასაუბრო თემა იყო. მაგალითად, „ნაცმოძრაობა“ და მისი ხელმძღვანელები ჩვენს განადგურებას, ციხეებში ამოლპობას, სულის ამოხდას ითხოვენ. კი ბატონო, ისინიც საზოგადოების წევრები არიან. მაშინ მივცეთ მათ ყველაფრის უფლება და ასე, დღეს, ფიზიკურად აღარ ვიარსებებდით. ამიტომ, თანაგუნდელობა ერთმანეთის გაძლიერებაა. თანაგუნდელის გაძლიერება არ ნიშნავს, თუ დამნაშავეა ან შეცდომას უშვებს, დაიცვა. არა! მაგრამ, როდესაც მართალი თანაგუნდელია, ქვეყნისთვის იბრძვის, იღწვის და რაც შეუძლია მაქსიმალურად აკეთებს, მას უნდა მოუფრთხილდე. ასეთი განცხადებებით, ერთმანეთს, გული არ უნდა დავწყვიტოთ. ხედავთ, რომ მეც, სოსოც, ზაზაც ვცდილობთ, ირაკლი კობახიძე ამ მდგომარეობიდან გამოვიყვანოთ იმიტომ, რომ იგი გუნდის აღმასრულებელი მდივანია, ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი და პერსპექტიული ახალგაზრდა. მე, არამარტო ირაკლის, არამედ მის მშობლებს ვაფასებ. ბატონი გია კობახიძე და მისი მეუღლე ის ადამიანები არიან, რომელთაც ეროვნული ღირებულებების დაცვისთვის ფასდაუდებელი შრომა გასწიეს. რადგან ირაკლიმ ამ თემაზე ხმამაღლა ისაუბრა, ამიტომც ვცემ საჯაროდ პასუხს. თორემ, ჩვენ ამაზე საუბარი და განხილვა, გუნდის შიგნითაც გვექნება. გადაცდომები ყველას მოგვდის, უნდა დავილაპარაკოთ, რათა მომავალში, ერთმანეთს გული არ ვატკინოთ. აქვე, ერთიც მინდა აღვნიშნო: ლერი ხაბელოვი ქართველი ოსი, ღირსეული ადამიანია. იგი 1992 წელს, ბარსელონაში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. მაშინ, გაერთიანებული ოლიმპიური დროშით გამოვდიოდით, რადგან საქართველო საბჭოთა კავშირს გამოეყო. ლერი ხაბელოვი კვარცხლბეკზე მანამ არ ავიდა, სანამ ქართული დროშა არ აღმართეს. მოგეხსენებათ, რომ მაშინ ოსებსა და ქართველებს შორის კონფლიქტი ახალი დაწყებული იყო. ეს ნაბიჯი მან სწორედ მაშინ გადადგა, როცა ქართველებსა და ოსებს შორის შუღლი ჩამოვარდა. სამშობლოს ასეთი ღირსეული, უღალატო ადამიანები სჭირდება. რასაც ახლა ვიტყვი, **მინდა ფითლად ან დიდი ასოებით ჩაწეროთ: ერის კაცმა — ბიძინა ივანიშვილმა უდიდესი მაგალითი მოგვცა. ბედნიერი ვარ, რომ მისი ერთგული თანამებრძოლი მქვია. ერის კაცის გვერდით ყოფნა დიდი ბედნიერებაა, რაც მერგო კიდეც.** ამას არავის საამებლად არ ვლაპარაკობ. მან ძალაუფლება ბრძოლით მოიპოვა. ამის მერე, სპორტსმენების და მსახიობების პარლამენტიდან წასვლა, თუ ამას საერთო საქმე მოითხოვს, ჩვენთვის პრობლემა არაა. იმიტომ, რომ მაგალითად გვყავს ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც ქვეყნის მართვის სადავეები და ყველაზე დიდი თანამდებობა დატოვა, მოცემული პირობა შეასრულა.

— აშკარაა, გულნატკენი ხართ. ურიგო არ იქნებოდა ახალგაზრდა აღმასრულებელი მდივნისთვის შეგვეხსენებინა, რომ დიდი მოღვაწენი, რომლებიც მსოფლიოს აზანზარებდნენ, ხელოვანები იყვნენ. მაგალითად, სტალინი პოეტი იყო, ჰიტლერი — მხატვარი, რეიგანი — მსახიობი, შევარდნაძე — ფერშალი და ა.შ.

— ირაკლი კობახიძემ ამ განცხადების გაკეთებისას, იჩქარა. პირველ რიგში, უნდა გაკეთდეს ანალიზი, ამ ხნის მანძილზე, პარლამენტში, ამა თუ იმ პროფესიის ადამიანმა, რა გააკეთა, რამდენად პროდუქტიული იყო. უამრავი პოლიტტექნოლოგია არსებობს, რომელიც საზოგადოების აზრს შეისწავლის. ჩვენ, ამ გუნდის წევრები ვართ და ისე ვიბრძოლებთ როგორც გამარჯვებისთვის იქნება საჭირო. გუნდში ბზარი არ უნდა გაჩნდეს. გაბზარვას გატეხვა სჯობსო, ნათქვამია. კობახიძესთან, მის განცხადე-

5 გვ.



თალეთ-ქეზ, გიჟვრაცუა ქართველებო!..

სეროპ აჯემიანი

დედაქალაქის სამარშრუტო ავტობუსებში, ხშირად, როგორც წესი, წინა დღეს კარგად ნაქეიფარი, ადრენალინით და ბახუსით, უკაცრავად პასუხია და, აყროლებული მძღოლი, მგზავრებზე მუსიკალური ძალადობის მიზნით, რადიო „დარდიმანდის“ მელოდიებს ულმობლად გვტენის.

არაერთხელ გავმხდარვარ ამ ძალადობის მსხვერპლი.

„ყვავილების ქვეყანას“ გვართმევენ სომხებიო, ვაი-უშველებელი რომ იყო ატეხილი, იმ დღეებში მარშუტკაში, „დარდიმანდის“ ეთერში ზურაბი ჩაერთო: ბიჭები ვქეიფობთ, თუ შეიძლება გია სურამელაშვილის სიმღერა გაუშვით, ვუძღვნი გიორგის, ნოდარის, ირაკლი და კახასო.

სიმღერა ტრიუმფალურად აგუგუნდა მარშუტკის სალონში.

მიჰქროდა მარშუტკა, სურამელაშვილის ბაიათი კი ქარს

მიჰქონდა თბილისის ქუჩებში.

კაცმა რომ თქვას, სულ არ მაღიზიანებს სურამელაშვილი, არც მისი „აბა, რა, აბა, რა, ااბა, რაა“... მაგრამ მეზობელ სომხებს, ჩვენს ძმებს, მელოდიის მითვისებაში რომ ვადანაშაულებთ, კინაღამ რომ დავახრჩვეთ ის პატიოსანი სომეხი, საკინძეგადაღებული რომ უმღეროდა ყვავილებიან ჰაიასტანს, იმას რატომ არ ვიხსენებთ, თითქმის ყველა ქართველი მომღერალი, რეიტინგისთვის თუ, არ ვიცი, რა ჯანდაბისთვის, ორ თუ არა თითო სიმღერას მაინც რომ მღერის სომხურ მელოდიაზე?

ცნობილი ქართველი პრიმადონას ნინო ჩხეიძის ყველა სიმღერა სომხურ მელოდიებზე ჟღერს, ამ მხრივ ხელს არც ლელა წურწუმია აკლებს.

უფროსი თაობის საყვარელი მომღერლის, საყოველთაოდ ცნობილი ბუბა კიკაბიძის ჰიტი „ელგუჯებო, ნუგზარებო, ჭაღარა ვაჟკაცებოო“... მოისმინეთ ხელახლა, თუ არ გახსოვთ და, ნახავთ, თუ სომხური არაა.

ალბათ, საქართველოში ერთი-ორი მოსომხურო სიმღერა თუ არ იმღერე, პოპულარული მომღერალი ვერ გახდები...

თუ ნინო ჩხეიძის, გია სურამელაშვილის, წერეთლის და სხვების, ქართველი მომღერლების სომხურ მელოდიებზე შექმნილი სიმღერები ქართულია, რატომ არ შეიძლება სომეხმა იმღეროს ქართულ მელოდიური სიმღერა და სომხურად გაასაღოს?!

ბოლოს და ბოლოს, „რუსთავი-2“-ის შვილობილი ტელეკომპანია „კომედი არხზე“ ქართული ფოლკლორული სიმღერების კონკურსი „საქართველოს ფანოღი“ სომხურ-ქართული მელოდიების ნაზავი სიმღერების კონკურსი არაა? პრინციპში, იმ სიმღერებში ქართული მხოლოდ სიტყვებია და სხვა არაფერი.

მუსიკათმცოდნეები შეიძლება შემედაონ, ეს არის ჩამოყალიბებული მუსიკალური ჟანრი

და აკრძალვა არ შეიძლებაო.

ნუ ავკრძალავთ, ბატონო, მაგრამ საქართველოში სომხური მელოდიის პროპაგანდას ნუ გავწევთ ტელევიზიებით და რადიოებით. სომხურ მელოდიას, კლასიკას, ფოლკლორს სიამოვნებით მოვისმენ, მაგრამ ქართულ-აშუღურ-კინტოურ უბედურებას რატომ გვტენით. ეს არის ის, რომ ადამიანს პურის მაგივრად აჭამო დაცეხვილი ქერი.

ქორწილებსა და დღეობებში სომხური როკვა რომ გვაქვს გაჩაღებული, „ტაშ-ტაშ-ტაშ ტარამ-ტარამ“ და რომ ვბუქნაობთ, ესაა ქართული? ტვინსუსტი ბავშვებივით ვიქცევით, მართლა სირცხვილია, რა. ისედაც ყველგან თავი გვაქვს მოჭრილი რუსეთშიც, დასავლეთშიც – ქურდობით, ტრეფიკიორობით, აფერისტობით და „პადლიზობით“. კაი, გასაგებია, გარეთ გვიჭირს, ძნელია თავის დამკვიდრება და ამისთვის ყველაფერს ვკადრულობთ, მაგრამ შინ? სახლში? აქ მაინც ნუ ვხუნტრუცობთ, ხან სომხურად და ხან ამერიკულად და ვერ გაგვიბედავს ვერავინ ვერაფრის წართმევას.

თუ ზურნა-დუდუკია ჩვენი ეროვნული საკრავი ქსოვრელების მელოდიით და არა ფანდური და სალამური, თუ კინტოურად მოტლინკავე ერი ვართ და ქართული კულტურა სომხურს ვერ სცდება, ნუ გვწყინს – სომხები ბაგრატიონებს ბაგრატუნიანებად რომ მოიხსენიებენ, დავითს და თამარის სომხურ წარმოშობაზე რომ ლაპარაკობენ, შოთა რუსთაველს აშოტ რუსტაველიანს რომ უწოდებენ, ორბელიანი და ბარათაშვილი, თვით გალაკტიონიც და სტალინიც კი რომ სომხები ჰგონიათ. ნუ გვწყინს მაშინ ესეც, ნუ გვწყინს!..

X-XI ს-ებში, მას შემდეგ, რაც სომხეთის სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა, სომეხ პატრიოტებსა და სომხეთის სამოციქულო ეკლესიას თურმე დაუწყიათ დიდი სომხეთის ისტორიის შეკრება და შექმნა და სომხური კულტურის პროპაგანდა მთელ მსოფლიოში სომეხი ვაჭრების მეშვეობით. ისტორიკოსების ცნობით, ასე გავრცელდა და გაიცნო სომხური კულტურა ევროპამ ჯერ კიდევ მე-14-მე-15 ს-ებში, როცა საქართველოს შესახებ ცოტა რამ იყო ცნობილი. ასე გადაარჩინეს სომხური კულტურაო, ამტკიცებენ ისტორიის სპეციალისტები. ჩვენ დღემდე ვერ მოვახერხეთ ეს სრულფასოვნად, მეტიც, სამეცნიერო საზოგადოება დღემდე არ აღიარებს გია კვაშილავას მიერ ფესტოსის დისკოს კოლხურ წარმოშობას... მაგრამ რა დროს ფესტოსის დისკოა, როცა შარშან გაზაფხულზე ხელში ჩამივარდა სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის წინამძღვრის, ეპისკოპოს ვაზგენ მირზახანიანის მიმართვა მაშინდელი პრემიერის ირაკლი ღარიბაშვილისადმი. მიმართვაში ზრდილობიანი ფორმით ვაზგენ მირზახანიანი მოითხოვს ქართული მხარისგან სომხეთისთვის გადასაცემად 394 ეკლესიას, ამ ეკლესიების გარშემო მიწებსა და სასაფლაოებს. ამის შესახებ სტატია „საერთო გაზეთში“ გამოვაქვეყნე. რა ბედი ეწია მინზახანიანის მოთხოვნას, ჩემთვის დღემდე უცნობია, ალბათ, უპასუხოდ დატოვეს, მაგრამ სომხებს ეს წერილი პასუხისთვის არ გამოუგზავნიათ, მათ იცოდნენ, რომ ამაზე საქართველოს ხელისუფლება ახლა არ დასთანხმდებოდა, მაგრამ შექმნეს პრეცედენტი, ანუ გამოაგზავნეს მოთხოვნა, ერთჯერ, მეორეჯერ და რადგან არგუმენტირებული პასუხები ვერ მიიღეს, რაც ნიშნავს, რომ გარკვეული დროის შემდეგ საერთაშორისო დონეზე იუნესკოს მოსთხოვენ დახმარებას თავიანთი ეროვნული კულტურის ძეგლების დასაბრუნებლად.

როგორც ვხედავთ, სომხები თანმიმდევრულად და ჭკვიანურად მოქმედებენ. ამიტომ ძალიან ნუ გამოვიდებთ თავს და „ვანიუჩი არმენებს“ და უნიფხოებს ნუ დავუძახებთ, ჩვენზე ნაკლებები რითი არიან დღეს? სამოქალაქო ომში არ უხოციათ ერთმანეთი, არც ტერიტორიები გადაუციათ არავისთვის, პირიქით, აფხაზეთში ფესვები გაიდგეს და არც გეი-პარადები უტარებიათ ერევნის ქუჩებში...

დავუბრუნდეთ ისევ „ყვავილების ქვეყანას“ და ჩვენს შეშფოთება-აღშფოთებას. რა ვქნათ ჩვენ?! გულს ვასკდებით და მეტს ვერაფერს ვაკეთებთ. რომელიმე მთავრობა მაინც ხომ უნდა იყოს ისეთი, რომელიც ასეთ საკითხებს მიხედავს?! კულტურის სამინისტროს სძინავს?! ვინ გაახმოვანებს ჩვენს პრეტენზიებს სომხეთის მხარისთვის „ყვავილების ქვეყნის“ მელოდიის მითვისებისთვის, ოპერა „დაისში“ გამოყენებული ცეკვა ქართულის თავისად დაჩემებისთვის. ჩვენი სამზარეულოს სომხურ სამზარეულოდ გასაღებისთვის, „ბორჯომის“ სომხურ მინერალურ წყლად სახელდებისთვის და ა.შ. და ა.შ.

ორიოდე წლის წინ, როცა თბილისის მერის კანდიდატურაზე მიმდინარეობდა საუბრები, დავით ნარმანიას სახელის ხსენებამ ძალიან გააღიზიანა სრულიად ქართველობა და ქართული ფეისბუკ-სივრცეც. მიდიოდა მსჯელობები და იყო ერთი ამბავი. „კარენოი“ თბილისელები მეგრელი, სოფლელი ნარმანიას მერად არჩევის წინააღმდეგი იყვნენ. ერთმა საზოგადოებისთვის ცნობილმა ადამიანმა მაშინ ისეთი რამე დაწერა, არასდროს დამავიწყდება – „მეგრელ მერს ისევ სომეხი მირჩევნია, თბილისელია და ქალაქი ჯიგრიანად უყვარსო“...

აჰა, ესაა ზოგიერთი ქართველი, რომელსაც ეროვნულობა და მსგავსი „აბსურდები“ ფეხებზე ჰკიდია. მთავარია, იყოს მაძღარი, იჯდეს ჯიპში და ჰაიდა: „თოვლი იყოს, მაგრამ არა ციოდეს, პაჩკა-პაჩკა დოლარები ცვიოდეს“, მღეროდეს ჩვენი ძმების მელოდიაზე, იქროლოს სომხების მიერ სომხურ ქალაქად აღიარებულ თბილისში, სადაც თბილისელი ბიჭები ძველი კინტოებივით მიიქნევენ თეძო-გავას და სხვა ყველაფერი ფეხებზე ჰკიდიათ...

მართლაც, თალეთ-ქეზ, რა გიჟვრაცუა ქართველებო!..

გონს მოვეგოთ, გონს, დროა, უკვე!

ირანდა კალანდაძე
593 561 118

3 გვ.

ბაზე საუბარი, აუცილებლად გვექნება. ჩვენ ის ადამიანები არ ვართ, რომლებიც კითხვებს უპასუხოდ ტოვებენ. შეიძლება, ეს არასასიამოვნო იყოს, მაგრამ მსჯელობა, აუცილებლად, გვექნება. ამ საკითხზე ერთი ძახილის ნიშანი აუცილებლად დაისმევა. თავს უფლებას არ მივცემ, ჩემი სიმაღლიდან, ულტიმატუმი წავუყენო ან ვაჭრობა შევბედო გუნდს, რომლის წევრიც ვარ, თანაც, როცა გუნდის ლიდერი ბიძინა ივანიშვილია. ეს ვაჭრობა ჩვენს შორის არ მოხდება. ჩვენს შორის ყოველთვის იქნება ის ღირსება, რითაც ვიცხოვრეთ. მაქვს პატივი, არამარტო თანაგუნდელი და თანამებრძოლი, არამედ ამხელა ერის კაცის მეგობარი ვიყო. ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ, რაც გუნდს გააძლიერებს და სამშობლოსთვის ღირსეულ ადამიანებს წარმოაჩენს. ბატონმა ბიძინამ თქვა, რომ სიის შედგენის მთავარი შემოქმედი იქნება. მან რაც არ უნდა გადაწყვიტოს, რკინის ქალამნებს ჩავიცმევ და გვერდით დავუდგები, მთელს საქართველოს მოვივლი, რათა ჩვენმა გუნდმა გამარჯვება მოიპოვოს. არ აქვს მნიშვნელობა ვიქნები მაჟორიტარი, ან პარტიულ სიაში თუ არა. ის ადამიანი ვიქნები, რომელიც ერის კაცის სიტყვას ისე შეასრულებს, როგორც მას შეეფერება.

— ლუკა, როგორც აღნიშნეთ, ივანიშვილი საარჩევნო სიას თავად აკომპლექტებს. მისი ერთ-ერთი გამორჩეული, ერთგული თანამებრძოლი ხართ. როგორ ფიქრობთ, იქნება ლუკა კურტანიძე ამ სიაში?

— ერთი რამ ზუსტად ვიცი, ერთგული და უღალატო ადამიანების სიაში აუცილებლად, ყოველთვის, ვიქნები. ძალიან დიდი პატივია ერის კაცის გვერდით, მისი მეგობრების სიაში ყოფნა. ერთ-ერთ შეხვედრაზე ბატონ ბიძინას ვუთხარი: ახლა, წინა საარჩევნო პერიოდში გამოჩნდება ვინ არიან თქვენი უღალატო და ერთგული ადამიანები-მეთქი. ამ დროს გამოჩნდება როგორც ფიზიკური პირის ერთგულება, ისე კოალიციის, პოლიტიკური პარტიის მადა. ძალაუფლებაში ყოფნის დიდი ცდუნებისას გამოჩნდება მართალი ერთგულება. პირველ რიგში, ამას შევაფასებ და აქედან გამომდინარე, გადავდგამ ნაბიჯებს. მეორე, რაც მას შევბედე შემდეგია — უნდა დავრწმუნდე, რომ ის ადამიანები, რომლებიც ამა თუ იმ პოზიციაზე ჩემზე წინ დადგებიან, უღალატონი იქნებიან. ესაა ერთადერთი პირობა — მე და ჩვენი გუნდის თითოეული წევრი უნდა დარწმუნდეს, რომ საკანონმდებლო, თუნდაც, აღმასრულებელ ხელისუფლებაში ის ხალხი მოვა, რომელიც 2012 წლის მონაპოვარს და ერის კაცის იმ მაგალითებს, რომელიც მან დაამკვიდრა, არ უღალატებს. ესაა ჩვენი მიდგომა. ვფიქრობ, საზოგადოებაც და ბატონი ბიძინაც ამას შეაფასებს და დააფასებს.

— ლუკა, თავადაც აღნიშნეთ, რომ თქვენს გუნდს შეცდომებიც ბევრი ჰქონდა. როგორ ფიქრობთ, მისცემს საზოგადოება „ქართულ ოცნებას“ შეცდომების გამოსწორების შანსს?

— დიახ, ამ ხნის განმავლობაში, ბევრი შეცდომა დავუშვით. შეგახსენებთ, შეცდომა იყო ის, რაც ჭიდაობის ფედერაციაში მოხდა. სამარცხვინო მეთოდებით მოხდა თანაგუნდელის, ანუ, ჩემი გაწირვა დამცირებისთვის, რამაც გული ძალიან მატკინა. 20 წელი გუნდის ლიდერი გახლდით. ჩემი თანაგუნდელები უღირსად მოიქცნენ და გამწირეს. მათ ჩემს ირგვლივ უარყოფითი აურა შექმნეს და ბევრი ადამიანი იმ დანაშაულში დაარწმუნეს, რაც არ ჩამიდენია. მაშინ თანაგუნდელებს ვუთხარი: ჯერ ერთი მართალი ადამიანის დაჩაგვრა არავის არ გეპატიებათ, მეორეც, ეს უსამართლობა ბუმერანგივით შემოგიტრიალდებათ-მეთქი. ჩემი ნათქვამი ყველას აუსრულდა. ზოგი, იმ ბუმერანგს, ახლაც ელოდება, რომელიც აუცილებლად მოხვდება თავში და ძალიან ეტკინება. ასევე, უსამართლოდ მოექცნენ სოსო ჯაჭვლიანს, მისი როგორც დეპუტატის იგნორირების კუთხით. ამას შემდეგნაირად ამართლებდნენ — ცემე შენიანი, რათა სხვებს ეშინოდეთ. მაგრამ მე, როცა მართალი ვარ, არავისგან — არც ჩემიანისგან, არც სხვისგან დარტყმას არ მივიღებ. როცა მწირავ ამას არ გაპატიებ, არც ღმერთი გაპატიებს, რომელიც ყველაზე დიდი მსაჯულია. ვიმეორებ, ეს

არავის ეპატია და ისინი ვინც ამ ბუმერანგს კიდევ ელოდებიან, აუცილებლად მოხვდებათ თავში. ყოველთვის მინდა გულწრფელი ვიყო და ის ვთქვა, რასაც ვფიქრობ. ამის შემდეგ, საზოგადოებაში დამკვიდრდა აზრი — ერთმანეთს არ ინდობენ, ერთობა ვერ დავინახეთო. როცა უბრალო ხალხში დავდივარ, მეუბნებიან, ლუკა, შვილო, არაფერი გვინდა, ოღონდ, ერთობა დაგვანახეთო. ამ მხრივ, ბევრი შეცდომა დავუშვით — საზოგადოებას არაგუნდურობა, ურთიერთგაუტანლობა ვანახეთ, მაგრამ ახლა, ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა. შეცდომები იყო და ცვლილებებიც იმიტომ განხორციელდა. ვინც ნდობას უღალატა, ხელმრუდი გახდა, ან ის საქმე ჩაიბარა, რაც არ იცოდა, არავის ეპატიება. აქ, ქვეყნის ბედზეა საუბარი. თუ ვინმეს გადაცდომა მოუვიდა, პასუხს ყველა სასტიკად აგებს. რაც შეეხება „ნაციონალების“ სტაბილურ ამომრჩეველს. არჩევნებზე ყველა უნდა მოვიდეს, სახლში არავინ დარჩეს და „ნაცმოძრაობას“, ნებისმიერ მის ფრაგმენტს, დარჩენილ ნაგავს უარი უთხრას. ეს იქნება საზოგადოების პასუხი. საზოგადოებამ არ უნდა დაივიწყოს ის ტკივილი. ხალხმა იმ ღირებულებებს რასაც „ნაცმოძრაობა“ საქართველოს ტენიდა, უარი უნდა უთხრას. ამიტომ, ახლა, ხალხი უნდა დადგეს ფეხზე და იმ სიბინძურეს, რაც „ნაცმოძრაობამ“ დათესა, ხმა არ მისცეს. ისინი ამბობენ, დავბრუნდებით და რეპრესიები არ იქნებაო. მათ ჯერ ჩადენილზე პასუხი არ უგიათ. თანაარსებობა, პატიება მესმის, მაგრამ არის კატეგორია, რომელიც ვერასოდეს გამოსწორდება. ამიტომ, არჩევნებზე ამ ნარჩენებს, გადმონაშთებს ყველამ უარი უნდა უთხრას. აქ, მარტო „ნაცმოძრაობაზე“ არაა საუბარი, მას ჰყავს გამყიდველი სატელიტები, რომლებიც სხვადასხვა არასაპარლამენტო პარტიების სახელით არიან ცნობილნი, მათი 90% მატყუარა, ძალაგამოცლილი, საქმეგამოცლილი პოლიტიკური დაჯგუფებებია, ისინი ნაცებზე უარესები არიან.

— ლუკა, თქვენ ამბობთ, რომ „ნაცმოძრაობას“ ხალხმა უნდა უთხრას უარი. მაგრამ როგორ ფიქრობთ, მანამდე უნდა მოეხდინა თუ არა პარლამენტს რეფორმის სამართლებრივი შეფასება?

— მოსახლეობის 90% უკმაყოფილოა, რომ დამნაშავენი არ დაისაჯნენ, ვინც დავსაჯეთ ევროკავშირში და მსოფლიო ტრიბუნებიდან იმათზეც გვეუბნებიან, რატომ დაიჭირეთ მერაბიშვილიო, რატომ მოსდევთ კეზერაშვილს, სააკაშვილს, ახალაიებს და სხვებსო, რომელთაც ათასი უბედურება ჩაიდინეს. ევროპამაც და დანარჩენმა მსოფლიომაც ჩვენი ხალხის ტკივილი უნდა გაიგონ, რა გამოვიარეთ. სააკაშვილის მომცინარე სახე მათთვის დემოკრატიის მაჩვენებელი არ უნდა იყოს. ასე, რომ ვფიქრობ, ჩვენი ტკივილი ყველამ უნდა გაიაზროს. ხალხში დაუსჯელობის სინდრომის განცდა გაჩნდა, მაგრამ ეს ჩვენი ბრალი არაა, ეს ევროპის და დანარჩენი მსოფლიოს ბრალია, რომელმაც კოაბიტაცია ძალით ჩაგვჩარა.

— ლუკა, ბოლოს მინდა გკითხოთ, თუ საარჩევნო სიაში ვერ მოხვდებით, სად და რა ფორმით გააგრძელებთ ქვეყნის გადარჩენისთვის დაწყებულ ბრძოლას?

— ერთ პირობას ვდებ: სადაც არ უნდა ვიყო, ერთადერთი ადამიანი ვისაც დავუჯერებ, ბიძინა ივანიშვილია, სხვას, ამ ბრძოლაში, არავის დავუჯერებ. საქართველოს პოლიტიკაში ბოლო ამოსუნთქვამდე ვიქნები, ამისთვის დავიბადე და ამისთვის ვცოცხლობ.

თამარ შველიძე
555 23 28 24

მანანა ნიკოლაიშვილი: გამოვიდეს ხელისუფლება და აღიაროს, ვინ და რა ძალებმა არ მისცათ საკუთარი პროგრამის განხორციელების საშუალება? რატომ თქვა „ქართული ოცნების“ განათლების მინისტრმა, რომ ნაციონალების დატოვებული ეროვნული სასწავლო გეგმა კარგია და არაფერი ჭირს შესაცვლელიო, როცა სწორედ მისი შეცვლის მოთხოვნით ვაწყობდით მრავალთვიან აქციებს უნივერსიტეტის კიბეებზე და ღამეებს ვათენებდით ქუჩაში?

გიორგი მარგველაშვილი „ქართულ ოცნებას“ პირველად განათლების სისტემიდან დაუპირისპირდა და მის გზას წარმატებით აგრძელებს მისი ფავორიტი თამარ სანიკიძე

გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციის დღეს, ამერიკულმა „New York Times“-მა საქართველოს ყოფილ პრეზიდენტთან ვრცელი ინტერვიუ გამოაქვეყნა, რომელშიც მიხეილ სააკაშვილი თავის მთავარ შეცდომად განათლების სისტემის არასათანადოდ დაფინანსებას მიიჩნევს: “უმჯობესი იქნებოდა ერთი მილიარდით ნაკლები დაგვეხარჯა თავდაცვაზე და ეს თანხა განათლებაში ჩაგვედო. ეს უფრო კარგი თავდაცვა იქნებოდა, ვიდრე იარაღის შეძენა, რომელსაც ნაკლები სარგებელი აქვს, როცა რუსეთის კონფრონტაციაზეა საუბარი. სწორედ ეს არის ჩემი უდიდესი შეცდომა.” - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა. საქართველოს ყოფილი ხელისუფლების რომელ შეცდომებს იმეორებს მოქმედი ხელისუფლება, ვინ უშლის ხელს „ქართული ოცნების“ საგანმანათლებლო პროგრამის შესრულებას, ვინ დასცინა პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გაშვებულ მასწავლებლებს და რატომ არ განახორციელეს განათლების ყოფილმა და მოქმედმა მინისტრებმა სისტემური და საკადრო ცვლილებები? ამ და სხვა საკითხებზე „საერთო გაზეთს“ განათლების ექსპერტი მანანა ნიკოლაიშვილი ესაუბრა:

– ადრეც მითქვამს და კიდევ გავიმეორებ ანბანურ ჭეშმარიტებას, რომელიც მსოფლიო პედაგოგიკის ისტორიაში წერია – განათლება არის ყველაზე მძლავრი სისტემა და გავლენიანი სფერო, რომელსაც ხელისუფლებების მშვიდობიანად შეცვლა შეუძლია. ამის შესახებ 2004 წლიდან ვაფრთხილებდით სააკაშვილის ხელისუფლებას, როცა კანცელარიასთან პროფესორ-მასწავლებლების ხალხმრავალი მიტინგები იმართებოდა. **„ქართული ოცნება“ ძალიან კარგი საგანმანათლებლო პროგრამით მოვიდა, მაგრამ ეს პროგრამა, ბოლომდე არ შესრულებულა. „ქართული ოცნების“ ყველაზე დიდ შეცდომად მიმაჩნია, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებში ერთი სიტყვაც არ შეუცვლია და დღემდე, წინა ხელისუფლების დროინდელი სახელმძღვანელოებით ვასწავლით. ვინ წარმოიდგენდა, რომ ოთხ წელიწადში იმ უვარგისი პროგრამების, სტანდარტებისა და სახელმძღვანელოების შეცვლას ვერ მოახერხებდნენ?**

მანანა ნიკოლაიშვილი: გავეცანი ეროვნულ სასწავლო გეგმას, ვნახე სტანდარტები და სახელმძღვანელოები და დავრწმუნდი, რომ არავითარი რადიკალური ცვლილებები საჭირო არ არისო. ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ და ვთქვათ, რომ ამ განცხადებით პრეზიდენტი ნაციონალების ინტერესების დამცველად მოგვევლინა. როგორ წარმოგიდგენიათ, ასეთი პრეზიდენტის პირობებში რა შეიცვლებოდა განათლების სისტემის რეფორმირების საქმეში?

– **რამდენად შეესაბამებოდა მარგველაშვილის განცხადება ქართული ოცნების საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის შემუშავებაში თქვენც მონაწილეობდით?**

– საქართველოს უახლოეს ისტორიას თუ გადავხედავთ, შემიძლია ვთქვა, რომ არც ერთ პარტიას ისეთი კარგი პროგრამა არ ჰქონია, როგორიც „ქართულ ოცნებას“ ჰქონდა 2012 წლის არჩევნების დროს. ყველაფერი ისე რომ გაკეთებულიყო, როგორც პროგრამაშია, დღეს სრულიად სხვა ვითარებაში ვიქნებოდით და ამის გაკეთება სრულიად შესაძლებელი იყო. გამოვიდეს ხელისუფლება და აღიაროს, ვინ და რა ძალებმა არ მისცათ პროგრამის განხორციელების საშუალება და რა იყო ამის ხელისშემშლელი ფაქტორი? რატომ თქვა „ქართული ოცნების“ განათლების მინისტრმა, რომ ნაციონალების დატოვებული ეროვნული სასწავლო გეგმა კარგია და არაფერი ჭირს შესაცვლელიო, როცა სწორედ ამ მოთხოვნით ვაწყობდით მრავალთვიან აქციებს უნივერსიტეტის კიბეებზე და ღამეებს ვათენებდით ქუჩაში? ამ „კარგი“ ეროვნული სასწავლო გეგმით შეამცირეს ნაციონალებმა უამრავი საგანი და რაც დარჩა, იმის სასწავლო საათები კატასტროფულად შეამცირეს. ვისაც არ ახსოვს, შევახსენებ, რომ 2004 წლიდან, ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის წინა ხაზზე გამოდიოდნენ მეცნიერები, პროფესორ- მასწავლებლები და ინტელიგენცია. პირველი ხალხმრავალი აქციები სამსახურში დაგაბრუნებთო და დაახლოებით ორ კვირაში განათლების სამინისტროში 20000-მდე განცხადება შევიდა. ჯერ იყო და აქედან მხოლოდ 860 განცხადება მიიღეს. მერე არჩიეს და ატრიალეს ეს საბუთები, ზოგს სულ დაუკარგეს, ზოგს დამატებითი სააბუთების მიტანა თხოვეს და ბოლოს, 2 წელიწადნახევრიანი მუშაობის მერე მხოლოდ 23 კაცს მისცეს დადებითი რეკომენდაცია. ამას რა ქვია ციინიზმისა და აბუჩად აგდების მეტი?

– **მასწავლებლები ამბობდნენ, რომ განათლების სამინისტროში შექმნილი სპეციალური კომისია მათგან პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლების დამადასტურებელ დოკუმენტებს, ანუ იმას ითხოვდა, რაც ბუნებაში არ არსებობს, რადგან არც ერთი სკოლის დირექტორი არ აღიარებს, რომ თანამშრომელი პოლიტიკური ნიშნით გაუშვა. კომისიის მუშაობის დასკვნით ეტაპზე მეორე პრობლემაც გაჩნდა– პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულებული თანამშრომლების უკან დაბრუნება. სამინისტროში ამბობდნენ, რომ გათავისუფლებული თანამშრომლების ადგილზე უკვე სხვა ადამიანები მუშაობდნენ და ახლა მათი გათავისუფლება იქნებოდა კანონთან შეუსაბამო. ასეთ ვითარებაში, გაუგებარია, საერთოდ, რა აზრი ჰქონდა კომისიის შექმნას ან მის მუშაობას?**

– სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ეს იყო მასწავლებლების დაცინვა და აბუჩად აგდება და სხვა არაფერი. საბავშვო ბაღებიდან, სკოლებიდან, ბავშვთა სახლებიდან, პროფესიული თუ უმაღლესი განათლებიდან კანონსაწინააღმდეგოდ და პოლიტიკური ნიშნით გაყრილი ათასობით ადამიანიდან სამსახურში ერთეულების გარდა, არავინ დაუბრუნებიათ. მაშინ რატომ შეიცვალა ხელისუფლება?

– **გიორგი მარგველაშვილმა განათლების სამინისტროში შესვლისთანავე ბრძანა, რომ ძირეული საკადრო ცვლილებების ჩატარებას არ აპირებდა. ეს კი დაახლოებით იმას ნიშნავდა, რომ რომ საგანმანათლებლო პოლიტიკას ისევ ნაციონალური მოძრაობის დროინდელი კადრები წარმართავდნენ. ამ პირობებში, როგორ წარმოგიდგენიათ, „ქართული ოცნების“ როგორც თქვენ ბრძანეთ, ძალიან კარგი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება და ნიშნავს თუ არა ეს, რომ მარგველაშვილი „ქართულ ოცნებას“ პირველად განათლების სისტემიდან დაუპირისპირდა?**

– რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ ეს თემა რატომღაც არ განიხილება. ბატონ ბიძინას ვეთანხმები იმაში, რომ ჩვენისთანა ღარიბი ქვეყნის პრეზიდენტი ისეთ მდიდრულ რეზიდენციაში არ უნდა იჯდეს, მაგრამ თვითონაც უნდა დამეთანხმოს, რომ საქართველოს მომავლისათვის, რეზიდენციის საკითხზე მეტი მნიშვნელობა აქვს, როგორი განათლების რეფორმა გატარდება და რამდენად ხარისხიან და კონკურენტუნარიან განათლებას მიიღებენ ჩვენი ახალგაზრდები. **დიახ, არც**

> „ქართული ოცნება“ ძალიან კარგი საგანმანათლებლო პროგრამით მოვიდა, მაგრამ ეს პროგრამა, ბოლომდე არ შესრულებულა. „ქართული ოცნების“ ყველაზე დიდ შეცდომად მიმაჩნია, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებში ერთი სიტყვაც არ შეუცვლია და დღემდე, წინა ხელისუფლების დროინდელი სახელმძღვანელოებით ვასწავლით. ვინ წარმოიდგენდა, რომ ოთხ წელიწადში იმ უვარგისი პროგრამების, სტანდარტებისა და სახელმძღვანელოების შეცვლას ვერ მოახერხებდნენ?

მარგველაშვილის დროს და არც მის შემდგომ, სამინისტროში პირველი პირისა და მისი მოადგილეების გარდა, არავინ შეცვლილა. მთელი სამინისტრო თავის რესურს-ცენტრებიანად ნაციონალების კადრებითაა დაკომპლექტებული. რაც შეეხება სკოლების დირექტორებს, იქაც 70% ისევ ნაციონალების დროინდელი კადრია. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც პროფესიონალიზმით არ გამოირჩევიან, სამაგიეროდ, წლების მანძილზე პარტიული დიქტატით მართავდნენ სკოლებს. ამ ხალხის პასუხისმგებლობის საკითხი არ უნდა დამდგარიყო? მასწავლებელთა ძალიან დიდ უკმაყოფილებას იწვევს საბაზო ხელფასის საკითხიც. ყველას გვახსოვს, რომ „ქართული ოცნება“ მასწავლებლებს 500 ლარიან საბაზო ხელფასს პირდებოდა, მაგრამ რეალურად, 300 ლარიც კი ვერ მისცა. კი ბატონო, შემოდგომიდან საბაზო ხელფასი 355 ლარი გახდა, მაგრამ მხოლოდ სრული განაკვეთის მქონე მასწავლებლებისთვის. სკოლებში კი უმეტესობა მცირესაათიანი მასწავლებელია, რომლის ხელფასი 80 და 100 ლარს არ აღემატება. შესაცვლელია უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების სისტემაც. როგორც ვვარაუდობდით, ვაუჩერულმა და გრანტულმა დაფინანსებამ, რომელსაც თავის დროზე სასიკვდილო მარყუჟი ვუწოდე, უარყოფითი გავლენა მოახდინა სწავლის ხარისხზე. დაფინანსების წესი თუ არ შეიცვალა, უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვა და სტუდენტებისთვის ხარისხიანი განათლების მიცემა შეუძლებელი იქნება.

— იქნებ აგვიხსნათ, რა კავშირშია დაფინანსების წესი განათლების ხარისხთან?

— საგრანტო დაფინანსების ანუ სტუდენტის უნივერსიტეტში მიტანილი ფულის გარდა, უნდა არსებობდეს გარანტირებული საბაზისო დაფინანსება. არ შეიძლება ყველაფერი სტუდენტს ჩამოჰკიდო და დაფინანსების დაკარგვის შიშით, უვიცი ახალგაზრდა კურსიდან კურსზე გადაიყვანო. ბოლოს და ბოლოს უნივერსიტეტმა დიპლომი ფულში უნდა გასცეს თუ ცოდნაში? უნივერსიტეტების დაფინანსების წესი აუცილებლად უნდა შეცვლილიყო, მაგრამ ამ ხელისუფლების ყველაზე დიდი, უხეში და პოლიტიკური შეცდომა „კარზე მომდგარი“ არჩევნების წინ იმის გამოცხადებაა, რომ 70 000 მასწავლებლიდან მხოლოდ 150-მდე წამყვანი მასწავლებელი ჰყავს. შეიძლება, რომ სახელმწიფომ ისეთი სქემა შეუმუშაოს და დაუშვას, რომ 70 000 მასწავლებლიდან წარმატებულად მხოლოდ 150 ჩაითვალოს? გავიხსენოთ, ვინ გააკეთა ეს ახალი სქემა? რა თქმა უნდა, იმ ხალხმა, რომელმაც საბაკშვილის და შაშკინის წარუმატებელ სქემებზე მუშაობდა.

— რამდენიმე დღის წინ ქვეყნის ახალმა პრემიერმა ძალიან მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა: „სერიოზული რეფორმებია ჩასატარებელი რამდენიმე მიმართულებით, თუმცა 3 უმთავრეს მიმართულებას გამოვყოფ. უპირველეს ყოვლისა, ეს არის პროფესიული განათლების განვითარება და პროფესიული განათლების პრესტიჟის ამაღლება ქვეყანაში. მეორე — ზოგადი განათლების რეფორმაა, რათა მაქსიმალურად ავწიოთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში განათლების ხარისხი, ხოლო მესამე ეს გახლავთ უმაღლესი განათლების ძალიან მნიშვნელოვანი ფუნდამენტური რეფორმა, რომელიც დაეფუძნება დინამიურ კვლევას იმ მოთხოვნებისა, რომელიც ქვეყანაში არსებობს და არა მხოლოდ ეკონომიკაში, არამედ სხვა სპეციალობებში, რომ მაქსიმალურად სწორად იქნას დახარჯული სამთავრობო რესურსი, რომ არ ვაწარმოებდეთ მომავალ პოტენციურ უმუშევრებს, როგორც ეს დღეს ხდება სამწუხაროდ”, — ბრძანა გიორგი კვირიკაშვილმა. თქვენი აზრით, მთავრობის რა ნაბიჯები მოჰყვება ამ განცხადებას?

— გიორგი კვირიკაშვილის სიტყვებმა დამარწმუნა, რომ ხელისუფლება რეალურად აფასებს სისტემაში შექმნილ მდგომარეობას. ძალიან დიდი მადლობა პრემიერ მინისტრს ამისთვის, მაგრამ ამ სიტყვებს აუცილებლად საქმე უნდა მოჰყვეს, რაც განათლების სამინისტროს, მისი ქვესტრუქტურების თუ ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელების პირობებში შეუძლებლად მიმაჩნია. სწორედ ამ ადამიანების დამსახურებით, რეფორმა, რომელსაც ნაციონალები ატარებდნენ, ახალი ხელისუფლების პირობებშიც გაგრძელდა, ოღონდ უფრო შენელებული ტემპებით. შექმნილი ვითარების შესაცვლელად, ხელისუფლებამ რადიკალური ცვლილებები უნდა განახორციელოს და ეს თუნდაც ახალი დოქტრინის (ეროვნული მიზნების) გამოქვეყნებით უნდა დაიწყოს. ან აქამდე, ის ეროვნული მიზნები და დანაშაულებრივი კანონები უნდა დაეტოვებინათ, რაც ნაციონალებმა მიიღეს? ეს იყო ქართული ოცნების დაპირება თუ პირიქით, ის რომ სისტემურ ცვლილებებს გაატარებდნენ?

— სტრატეგიულ პარტნიორებთან თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან შეუთანხმებლად, სისტემური ცვლილებების განხორციელება შესაძლებლად მიგაჩნიათ?

— დიახ, მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციები მთელ მსოფლიოში ცდილობენ, რომ ჩაატარონ უხეირო რეფორმები და ახალგაზრდებს მისცენ არაკონკურენტული ცოდნა. ამ ორგანიზაციების დამსახურებით, ქართველ ბავშვებს უხარისხო სახელმძღვანელოები შეაჩეჩეს ხელში. შემცირებული საათების პირობებში, სახელმძღვანელოები ისეთი მეთოდიკებითაა შექმნილი, რომ ბავშვს რეპეტიტორის გარეშე მასალის ათვისება უჭირს, მაგრამ მოდით, სხვისთვის გადაბრალებას თავი დავანებოთ. ის საერთაშორისო ორგანიზაციები თავიანთ ქვეყნებშიც იგივეს აკეთებენ, მაგრამ ხელისუფლება იმისთვის არსებობს, რომ ასეთი საკითხები დაარეგულიროს. დაწყებით კლასებში ბავშვმა წერა-კითხვა და ანგარიში რომ ისწავლოს, მათემატიკა და მშობლიური ენა 4 და 5 საათი კი არა, 12 და 14 საათი უნდა იყოს. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პრობლემა ერთიანობაში ქმნის იმ უკმაყოფილებას, რომელიც მოსახლეობას ხელისუფლების მიმართ გაუჩნდა, თუმცა არ მინდა, თქვენმა მკითხველმა ისე გამიგოს, რომ განათლების სისტემაში კარგი არაფერი გაკეთებულა. მიუხედავად იმისა, რომ ადგილი აქვს საავტორო უფლებების დარღვევას და სახელმძღვანელოების ავტორები საკუთარ ნამუშევარში მიზერულ თანხებს იღებენ, მთლიანობაში მაინც კარგია, რომ სასკოლო სახელმძღვანელოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. კარგია, რომ 300-ზე მეტი სასკოლო ავტობუსია გამოყოფილი რეგიონებში, სკოლიდან მოშორებით მცხოვრები ბავშვებისთვის. მოგეხსენებათ, სკოლების ოპტიმიზაციის შემდეგ, რაიონებში უამრავი სკოლა დაიხურა და ბავშვებს უახლოეს სკოლამდე მისასვლელად, ყინვასა და თოვლში კილომეტრების გავლა უწევდათ. კარგია, რომ ეს პრობლემა მეტ-ნაკლებად, მოგვარდა. მშვენიერია, რომ ინკლუზიური საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის, სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოეწყო ინფრასტრუქტურა და გაკეთდა სხვადასხვა პროგრამები. ამ ხელისუფლების დროს განხორციელდა კიდევ ერთი მასშტაბური პროგრამა, რომელიც ბაკალავრიატის ჯერ 17 და შემდეგ 21 მიმართულების ბიუჯეტიდან დაფინანსებას გულისხმობს. რაც-შეეხება მატერიალურ-ტექნიკური ბაზას, როგ სკოლებში ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების მიუხედავად, ვერ ვიტყვით, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გაუმჯობესდა, რადგან საერთო ფონი ძალიან მძიმეა. „ქართულ ოცნებას“ მასშტაბური პროექტების განხორციელებაში დიდი ფული უნდა ჩაედო. არ შეიძლება 21-ე საუკუნის საქართველოში ბავშვები ისეთ გარემოში ამყოფო, რა გარემოშიც ძალიან ბევრ სკოლაში არიან. დიდი ხანია ვამბობ, რომ უნდა გაკეთებულიყო განათლების ფონდი, თორემ მარტო ბიუჯეტს ამდენი შესაძლებლობა არა აქვს. საუბრის ბოლოს გეტყვით, რომ ბოლო დროს გავრცელებული ვირუსების გამო სკოლებში საშინელი დასწრებაა. გაკვეთილებს ჯანმრთელი ბავშვებიც არ ესწრებიან, იმიტომ, რომ მშობლებს მათი სკოლაში გამოშვება ეშინიათ. სასწავლო პროცესი ჩაშლილია და გაკვეთილების ახსნა არ მიმდინარეობს, იმიტომ, რომ 30 ბავშვიდან რომ 15 გამოცხადდება, ახალი გაკვეთილის ახსნა შეუძლებელია. ვფქრობ, დროულია, ეპიდემიის გამოცხადება და სკოლებში სადიზენფექციო სამუშაოების ჩატარება. ძალიან გულწრფელი იყო მინისტრი, როცა თავისი სამსახურეობრივი მანქანა სასწრაფო დახმარების ბრიგადებს მიაშველა, მაგრამ ეს საკმარისი არაა. ჩემი აზრით, სკოლები უნდა დაიხუროს და ჩატარდეს პროფილაქტიკური სადეზინფექციო სამუშაოები ვირუსის წინააღმდეგ.

ნელი თორდია
571 35 36 88

პროკურორ ქირიას მკვლელობის საიდუმლო მაშინ გაიხსნება, როცა გაირკვევა, კუჭავამ თავი მოიკლა თუ მოკლეს?

სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის უფროსი პროკურორი ვახტანგ (პაატა) ქირია 23 იანვარს ზუგდიდში დაკრძალეს. როგორც დაკრძალვაზე ჩასულმა მთავარმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ და თბილისის პროკურორმა მიხეილ შაყულაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადეს, გამოძიება მკვლელობის მოტივის რამდენიმე ვერსიაზე მუშაობს, მათ შორის იმ ვერსიაზეც, ხომ არ უკავშირდებოდა პროკურორის მკვლელობა მის სამსახურებრივ საქმიანობას. მოგეხსენებათ, შს მინისტრის მოადგილემ არჩილ თალაკვაძემ ვახტანგ ქირიას ცხედრის აღმოჩენიდან ძალიან მოკლე ხანში მედიასაშუალებებით განაცხადა, რომ პროკურორის მკვლელობა მის სამსახურებრივ საქმიანობას არ უკავშირდებოდა, რითაც ბევრი ეჭვი გააჩინა საზოგადოებაში. ბატონი თალაკვაძის ამ განცხადებამ არამარტო სავარაუდო მკვლელის, ბიძინა კუჭავას, ადვოკატებს, არამედ საზოგადოების ნაწილსაც გაახსენა შს ყოფილი მინისტრის ვანო მერაბიშვილის ნაჩქარევი განცხადება, რომელმაც ისე, რომ ჯერ ექსპერტიზაც კი არ იყო დაწყებული, პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია და ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილე რაულ უსუპოვი ბუნებრივი აირით გაგუდულებად გამოაცხადა. რა გახდა არჩილ თალაკვაძის ამ ნაჩქარევი განცხადების მიზეზი, დაზუსტებით ვერაფერს მოგახსენებთ. მან კიდევ ერთი შეცდომა დაუშვა, როცა არათუ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე, არამედ გამოძიების დასრულებამდეც ბიძინა კუჭავა პროკურორ ქირიას მკვლელად გამოაცხადა. კუჭავას ოჯახი შს მინისტრის მოადგილის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანაზე ალაპარაკდა პატივისა და ღირსების შელახვისა და უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის მოტივით. პროფესიონალმა სამართალდამცავებმა ბატონი თალაკვაძის განცხადება, უკიდურესი არაპროფესიონალიზმის გამოვლინებად მიიჩნიეს.

რა გახდა პროკურორ ქირიას მკვლელობის რეალური მიზეზი, ამის შესახებ არც პოლიციას და არც შემდგომ ჩართულ პროკურატურას არაფერი უთქვამს, სამაგიეროდ მედიით და სხვა წყაროებით არაერთი ინფორმაცია ვრცელდება. პროკურორის ცხედარი რომ დამახინჯებული იყო, ეს სანდო წყაროდ „საერთო გაზეთს“ ოფიციალური ვერსიის მედიით გავრცელებამდეც დაუდასტურა, შემთხვევის ადგილზე მისული ქირიას ახლობლები იქ ამ მიზეზითაც არ შეუშვეს. თვითმხილველის განცხადებით, ცხედარს თვალები დასიებული და ჩაშავებული ჰქონდა, რამაც ეჭვი გააჩინა, რომ იგი აწამეს და მერე მოკლეს. პროფესიონალ პოლიციელთა ინფორმაციით არ არის გამორიცხული, რომ იგი გაგუდეს, რადგან ასეთი კვალი თურმე ასფიქსიისას რჩება. ეს ვერსია რომ გარკვეულწილად საფუძველს არ იყო მოკლებული, იმ ინფორმაციამაც გაგვიჩინა ვარაუდი, რომ ქირიას ცხედარს თავზე ცელოფანი ჰქონდა

ჩამოცმული, თუმცა ამის შესახებ ოფიციალურად არაფერი თქმულა, ალბათ არც არის გასაკვირი, რადგან ძიების ინტერესებიდან გამომდინარე ყველა ინფორმაცია არ ხმაურდება, ამ ინფორმაციის სიზუსტეს ბუნებრივია არც ჩვენ ვამტკიცებთ. ის კი ითქვა საჯაროდ, რომ შემთხვევის ადგილზე დაუდგენელი პრეპარატის ტაბლეტები აღმოაჩინეს. ცელოფანი თურმე სისხლში სპობს მიღებული ნივთიერების კვალს. პროკურორის ცხედარს რომ მართლაც უპირებდნენ დანაწევრებას, ოფიცილურის გარდა, სხვა წყაროდანაც შევიტყვეთ. რაც შეეხება შემთხვევის ადგილს, სადაც კუჭავას სავარაუდო თვითმკვლელობა თუ მკვლელობა (ყოველ შემთხვევაში მისი ოჯახი ამ ვერსიაზე საუბრობს) მოხდა, „საერთო გაზეთს“ ოფიციალურისგან განსხვავებული ვერსია მიაწოდეს, კუჭავა ვახტანგ ქირიას ავტომანქანით გადაადგილდებოდა ვაშლიჯვარი-ნუცუბიძის დამაკავშირებელ გზაზე მოხდა მისი სამართალდამცავებთან ასე ვთქვათ, შეხვედრა, პატრულს დაკავებაზე ჰქონდა გადაცემული პროკურორის გაუჩინარებული ავტომანქანა, ეტყობა იქ დააფიქსირეს და გააჩერესო. ვიმეორებ, ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, უბრალოდ საჭიროდ ჩავთვალეთ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციების გახმაურება. სხვათა შორის, ვახტანგ ქირიას კუთვნილი „მერსედესი“ მოგვიანებით ნუცუბიძის ფერდობის მე-4 მიკრორაიონში აღმოაჩინეს. ალბათ ამ ვერსიასაც აქვს არსებობის უფლება, რადგან არ არის გამორიცხული მას უკავშირდებოდეს ოფიციალური ვერსიით გაჟღერებული ინფორმაცია, რომ ხსენებული ავტომანქანის ტექპასპორტი ბიძინა კუჭავას აღმოუჩინეს. ჩვენ დაზუსტებით არც ის ვიცი|თ, კონკრეტულად დროის რომელ მონაკვეთში მოხდა იუსტიციის სახლთან ვერცხლისფერი ემელის მარკის ჯიპის დაკავება და კუჭავას თვითმკვლელობა. როგორც თვითმხილველები აცხადებდნენ მათ მხოლოდ ის შენიშნეს, როგორ გადაჰქონდათ ევაკუატორით პატრულის ოპერატიული ავტომანქანა, რაც შეეხება ხსენებულ „მერსედესის“ ჯიპს, რომელიც ხალხს სისხლიანი ეგონა, თუმცა, როგორც გაირკვა სპეციალური სითხე ესვა თითის ანაბეჭდების ასაღებად, ჯერ ითქვა, რომ კუჭავას ეკუთვნოდა, მაგრამ თურმე დავით პოპოვის კუთვნილება ყოფილა.

დაგვეთანხმებით ამ საქმეში, პროკურორის მკვლელობის მოტივსაც რომ თავი დავანებოთ, ბევრი რამ არის საეჭვო, რაც შესაბამისად უამრავ კითხვის ნიშანს აჩენს. დავით პოპოვის განცხადებით, მას ახლობელმა სთხოვა, რომ ბიძინა კუჭავას დახმარებოდა. კუჭავას მეუღლე აცხადებს, რომ ის საერთოდ არ იცნობს პოპოვებს და ეეჭვება მისი მეუღლის კავშირი ამ უკანასკნელებთან. ამ ქალბატონის განცხადებით, კუჭავამ თავის ახლობელს (გოჩა კუჭავა), რომელსაც უთხოვია პოპოვისთვის მისი დახ-

მარება, თავისი კი არა, მეუღლის ტელეფონით დაუკავშირდა. აქვს თუ არა ამ დეტალს არსებითი მნიშვნელობა, ეს კომპეტენტური ადამიანების განსჯის საგანია. პროკურორ ქირიას მკვლელობის შემდეგ სხვა წარსულში მომხდარ გაუხსნელ დანაშაულობებზეც ალაპარაკდნენ, სადაც თურმე ბიძინა კუჭავას სახელი ფიგურირებდა, ეს არის 2007 წელს მომხდარი გოჩა მაღალდაძის მკვლელობა, რომელიც კაზინოს ფლობდა და თავადაც აზარტული მოთამაშე ყოფილა. მას ახლო ურთიერთობა ჰქონია კუჭავასთან. ეს მკვლელობა დღემდე გაუხსნელია, მაღალდაძესაც, ისევე როგორც ვახტანგ ქირიას, თავის არეში ჰქონდა მიყენებული სასიკვდილო ჭრილობა. მისი ცხედარი ვაკეში, ნაქირავებ ბინაში აღმოაჩინა მეგობარმა. ამ მკვლელობასთან კუჭავას სახელს თურმე იმიტომ აკავშირებენ, რომ ამ უკანასკნელს სერიოზული თანხა ჰქონდა მაღალდაძისთვის დასაბრუნებელი, რომელიც თურმე მის კაზინოში წააგო. 2009 წელს მიცკევიჩის ქუჩაზე, საკუთარ სახლში მოკლეს ცოლქმარი ნინუები, მათაც თავის არეში ჰქონდათ ნატყვიარები. გენერალი თამაზ ნინუა ზვიად გამსახურდიას მთავრობაში უშიშროების მინისტრის თანამდებობა ეკავა. როგორც ამბობენ კუჭავას და ნინუას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ, ისინი მეზობლები იყვნენ. ოფიციალური ვერსიით, ნინუები მკვლელს კარგად იცნობდნენ, რადგან კარი თვითონ გაუღეს. ხსენებულ მკვლელობაში ბრალი თამაზ გოგიას დასდეს და უვადო პატიმრობა მიუსაჯეს, თუმცა ეს ადამიანი დღემდე არ აღიარებს დანაშაულს. მაღალდაძისა და ნინუების მკვლელობები თურმე ერთი და იგივე, უიშვიათესი ცეცხლსასროლი იარაღით მოხდა, რაც ნინუების სახლში აღმოჩენილი ტყვიის ორი მასრის მიხედვით დადგინდა. ასეთი იარაღი საქართველოში სულ რამდენიმე ყოფილა, ისიც ძალოვან სტრუქტურის კუთვნილებაში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ მკვლელობების დროს შემთხვევის ადგილებზე დაფქული წიწაკა იყო მოყრილი, რომ პოლიციის მაძებარ ძაღლს კვალი არ აეღო. ნაციონალებს რომ კითხო, მათი მმართველობისას საქართველოში კრიმინოგენური ვითარების კუთხით, „იდილია“ სუფევდა, საერთოდ არ ხდებოდა მძიმე დანაშაული, თუ ერთეული შემთხვევა მაინც იყო, იმასაც „ოპერატიულად“ ხსნიდა „ქვეყნის ხერხემლის“ უწყება. სხვათა შორის, ბიძინა კუჭავას და და მისი გერიც ნაციონალების მმართველობისას არიან უკვალოდ გამქრალი, რაშიც თურმე ასევე კუჭავას კვალი იკვეთება. ამ ყველაფერზე რას გვეტყვით ოპოზიციაში გადაბარგებულნო, თუ არ თვლით ამ ფაქტებს მძიმე დანაშაულებად, ან რას მივაწეროთ, რომ სამი მათგანი დღემდე გაუხსნელია. თუ მაღალდაძე და ნინუები ერთი და იგივე იარაღით იყვნენ მოკლულნი, დანაშაულის დაფარვის ხელწერაც ანალოგიური იყო, მაშინ რას მივაწეროთ, რომ ნინუების მკვლელობა „გახსენით“, მაღალდაძის კი ვერა. ან ის როგორ დაგემართათ, რომ თამაზ გოგიას „დანაშაული“ ვერ აღიარებინეთ? სატელეფონო კომენტარში ნინუების შვილმაც განაცხადა, რომ ის არასდროს ეთანხმებოდა ვერსიას, რომ მისი მშობლები თამაზ გოგიამ დახოცა. საზოგადოებაში სერიოზული ეჭვები გააჩინა კორტების სპეცოპერაციაში ბრალდებული ირაკლი ფირცხალავას მოულოდნელმა „გულახდილობამაც“. მან სასამართლო სხდომაზე, რომელსაც „ცნობილი“ მოსამართლე გიორგი ჩემია თავმჯდომარეობს, განაცხადა, რომ ოპე-

რატიული ინფორმაცია ჰქონდათ, რომ ნინუებისა და მაღალდაძის მკვლელობები ბიძინა კუჭავას ან მისი დაქირავებული პირის მიერ იყო ჩადენილი. მისი თქმით, სამივე მკვლელობა ერთი და იგივე იარაღით იყო ჩადენილი, რომელთან წვდომაც სოდ-ს ჰქონდა. ჩემი ინფორმაციით, სოდ-ის უფროსის მოადგილემ კახა მისირელმა კუჭავას კაზინოში წააგო 5.000 დოლარი, რომელიც თავად კუჭავასგან ისესხა და მერე ეს იარაღი მიჰყიდა კუჭავას ვალის ოდენობაში მიუხედავად იმისა, რომ საბაზრო ფასით გაცილებით მეტი ღირდაო. პროფესიონალ პოლიციელებს ფირცხალავას ნათქვამი სარწმუნოდ მიაჩნიათ. საინტერესო ის არის, რატომ დუმდა აქამდე ფირცხალავა. საეჭვოა ეს ინფორმაცია შსს-ს ხელმძღვანელობას არ ჰქონოდა, თუკი ფირცხალავა სიმართლეს ამბობს, რატომ არ მოახდინა რეაგირება ამ ყველაფერზე მაშინდელმა პოლიციაპროკურატურამ, მითუმეტეს რომ გახმაურებულ მკვლელობებში ეს იარაღი ფიგურირებდა? თამაზ გოგიას წინააღმდეგ გამოძიებას მხოლოდ ის „მტკიცებულება“ ჰქონია, რომ ნინუების ბინაში სიგარეტ „პარლამენტ-სლიმსის“ ნამწვი აღმოაჩინეს. გამოჩნდა „მოწმე“, რომელმაც თურმე ამ დანაშაულამდე ერთი წლით ადრე დაინახა როგორ იყიდა გოგიამ ზუსტად ასეთი სიგარეტი. არადა ხსენებულ ნამწვზე, ექსპერტიზამ გოგიას დნმ-ის კვალი ვერ აღმოაჩინა. თამაზ გოგიას შვილის განცხადებით, კუჭავა და თამაზ

ნინუა მეგობრები იყვნენ, მაგრამ საეჭვო იყო ის ბოლო საქმე, რაც მათ აკავშირებდათ. ნინუამ ავტომანქანა „ჰამერი“ იყიდა, რომელიც ამერიკიდან უნდა ჩამოეყვანა, მაგრამ ეს პროცესი გაჭიანურებულა. ნინუას კუჭავასთვის უთხოვია დახმარება, იქნებ ამერიკაში ნაცნობი გყავდეს, რომ ჩემი ფული დავიბრუნოო. გარდაცვლილ ნინუას მუჭში ქაღალდის ნაგლეჯი ჰქონდა, რომელზეც ეწერა „ჰამერი“ 40600, თუმცა ამ ვერსიაზე არც გამოძიებას უმსჯელია და არც სასამართლოს. ნეტავ რატომ, არ აწყობდა ნაციონალების მართლმსაჯულებას ამ საქმეში ზედმეტად ქექვა? დღეს პროკურატურა ხსენებული საქმეების ხელახლა გამოძიებას გეგმავს, კი მაგრამ, აქამდე სად იყავით პატივცემულნო, მაინც და მაინც პროკურორი ქირია უნდა მოეკლათ, რომ ამ საქმეების გამოძიებაზე გეფიქრათ?

ზემოთ ვახტანგ ქირიას მკვლელობის ადგილზე აღმოჩენილი ცელოფანი ვახსენეთ, თუ ეს ინფორმაცია სიმართლეა, კომპეტენტური წყაროს ცნობით, ამ „იარაღს“ სწორედ ძალოვნები იყენებენ სასურველი ჩვენების მისაღებად თუ ურჩი პირის გადასაბირებლად. საზოგადოებაში სულ ის მოსაზრება მუსირებს, რომ ჩვენი ძალოვანი თუ საგამოძიებო სტრუქტურები ნაციონალების მხარდამჭერი კადრებით და უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების აგენტებითაა გაძეძგილი, შემთხვევით ეს ყველაფერი ერთმანეთს ხომ არ უკავშირდება? თუ დავით პოპოვის განცხადებას ვენდობით, რომ პატრულების მერე მის ავტომანქანასთან შავი ჯიპებით შეიარარებული სამოქალაქოფორმიანი ახალგაზრდები მიცვივდნენ, რომლებიც ყვიროდნენ პოლიცია ვართო, პროფესიონალი „ოპერატივნიკები“ ასეთ შეფასებას აკეთებენ, კრიმინალური პოლიცია დამნაშავეების დასაკავებლად შავი ჯიპებით არ დადის, ასეთი ავტომანქანებით უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები გადადაადგილდებიანო, ნაცრეჟიმის დროს ამ „სიამოვნებით“ თურმე კუდი სარგებლობდა. კრიმინალური პოლიცია ყოველთვის „დაჩაგრული“ იყო, მათ ხშირად საკუთარი ავტომანქანებით უწევდათ სამსახურებრივ დავალებებზე სირბილი, დღესაც ასეა, რაც ჩემთვისაც არაერთხელ შემოუჩივლიათ კრიმპოლიციის წარმომადგენლებს. შეიძლება სპეციალურადაც „გაიშიფრეს“ თავი ამ ხალხმა ყურადღების გადასატანადო. გამოცდილი პოლიციელების აზრით, კუჭავას მართლაც რომ მოეკლა თავი, ესეც პოლიციელების არაპროფესიონალიზმზე მიუთითებს, თუ სხვაგან არ არის ძაღლის თავი დამარხული. პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ დავით გაგნიძის განცხადებით, სამართალდამცავებმა თუ იცოდნენ, რომ ბიძინა კუჭავა მართლაც აეროპორტში ან სახელმწიფო საზღვრისკენ მიდიოდა, შეეძლოთ იქ ჩაეტარებინათ ოპერაცია და უმტკივნეულოდ დაეკავებინათ სავარაუდო მკვლელი. ბუნებრივია, ის სასაზღვრო კონტროლს ცეცხლსასროლი იარაღით არ გაივლიდა, მისი დაკავება წუთების საქმე იყო, ვერც თავს მოიკლავდა და ვერც სხვის სიცოცხლეს შეუქმნიდა საფრთხესო. ბატონი დავითი კომუნისტების პერიოდის ერთ შემთხვევას იხსენებს, როცა სს-ის სამძებროს თანამშრომლებმა ეჭვმიტანილი დააკავეს, მიწაზე პირქვედაწვენილ დაკავებულს ხელბორკილს რომ ვადებდით, მან სპეციალურად დაარტყა სახე მიწას და უმნიშვნელოდ დაიზიანა. ჩვენმა ხელმძღვანელმა შავი დღე გვაყარა, თქვენ სამბოს ილეთები იმიტომ გასწავლათ სახელმწიფომ, რომ დამნაშავე ცოცხლად, დაზიანების გარეშე

აგეყვანათ, ახლა ამ კაცმა რომ იჩივლოს მილიციელებმა მცემეს, თქვენს სიმართლეს როგორ დაამტკიცებთო. დღეს არც პროკურორი ქირიაა ცოცხალი და არც მისი სავარაუდო მკვლელი, ამიტომ მკვლელობის მოტივის დადგენა უდიდეს სირთულეს წარმოადგენს, ყველა ვისაც არ ეზარება საკუთარ ვერსიას თხზავს, ზოგიერთმა მედიასაშუალებამ ბიძინა ივანიშვილის ბოსტანში დაიწყო ქვების სროლა, პრემიერ-მინისტრობისას ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე კუჭავას შეეკამათაო, რითაც მიგვანიშნა, არ არის გამორიცული მის სიკვდილთან რაიმე კავშირი ჰქონდესო. ასე ბიძინა ივანიშვილი სულ ეკამათება ჟურნალისტებს და მაშინ გამოდის, აღარავინ უნდა იყოს ცოცხალი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეჭვი გააჩინა იმ განცხადებამ, რომ პროკურორ ქირიას მკვლელობა მის სამსახურებრივ საქმიანობას არ უკავშირდებოდა. რა დანაშაულობებზე მუშაობდა პროკურორი ვიცით? მის გარდა კიდევ სამი პროკურორი მუშაობდა ამ განყოფილებაში, რაც მის გარეშეც გაგრძელდებოდაო. ავ ენებს თუ დავუჯერებთ, ყველა ის მასალა გამქრალი ყოფილა, რაზეც აწ გარდაცვლილი პროკურორი მუშაობდა. ერთს არ მალავენ ზუგდიდელები, რომ ვახტანგ ქირია წესიერი ადამიანი იყო, ეტყობა რაღაც ბინძურ საქმეზე ვერ დაიყოლიეს და იმიტომაც გაუსწორდნენ ასე სასტიკადო. ისინი იმაშიც დარწმუნებული არიან, რომ თუ მართლაც ბიძინა კუჭავამ მოკლა ნათესავი, ის მარტო არ მოქმედებდა. ბოლო ხანს ერთ-ერთი მედიასაშუალებაში გამოქვეყნებულმა მცირე პუბლიკაციამ, რომელიც უშიშროების სამსახურის ანონიმი მაღალჩინოსნის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ყოფილა მომზადებული, არამარტო „საერთო გაზეთს“, არამედ გამოცდილ პოლიციელებსაც გაუჩინა ეჭვი, რომ ეს კვალის არევას ემსახურება. საუბარია პროკურორ ქირიას რუსულ გრუსთან (სახელმწიფო სადაზვერვო სამმართველო) კავშირზე, ანუ აწ გარდაცვლილი პროკურორი ისეთ კონტექსტშია მოხსენიებული, რომ საზოგადოებას მის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გაუჩნდეს და ინტერესიც გაქრეს ამ შემზარავი დანაშაულის მიმართ. ალბათ ამავე ოპერიდან იყო, რომ მალევე გამოგვიცხადეს ბესიკ ხარძიანის მკვლელობა გახსნილად. თუ დამნაშავე პირები დაკავებულები არ იყვნენ, რა საჭირო იყო ამხელა აჟიოტაჟის ატეხვა, დამნაშავის მარტო დადგენა არ ნიშნავს საქმის საბოლოო გახსნას. ვფიქრობთ, ეს ჟრიამული სწორედ ქირიას მკვლელობის და შემდეგი მოვლენების გადასაფარად გაკეთდა. ახლა რაც შეეხება ხსენებულ პუბლიკაციას, სადაც საუბარია, რომ დავით პოპოვი გრუ-ს აგენტი იყო, ხოლო ბიძინა კუჭავა შუამავალი, რომელმაც პოპოვის დავალებით ვახტანგ ქირია ოთხი წლის წინ საქმეში ჩართო. ე.ი. 2012 წელს, როდესაც ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ეს უკანასკნელი პროკურატურაში დაბრუნდა სამუშაოდ. თურმე სწორედ ვახტანგ ქირიას მიერ მიეწოდებოდა ქართულ-აფხაზურ კონტაქტებზე მოძიებული ინფორმაცია რუსეთის დაზვერვას. ძმები ვახტანგ და ელდარ (ბესო) ქირიები ნაციონალების მმართველობისას პროკურატურაში აღარ მუშაობდნენ, ჩვენი ინფორმაციით მათ თვითონ არ ისურვეს რეჟიმთან თანამშრომლობა. ხსენებულ წერილში მითითებულია, რომ ისინი 2005 წელს, როცა როლანდ ახალაია სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურორი გახდა ორივე ძმა გაათავისუფლა სამსახურიდან. ამ ლოგიკით გამოდის, რომ ახალაია მართალი ყოფილა, როცა „არასანდო“ კადრები სისტემიდან დაითხოვა. ანონიმი მაღალჩინოსანიც ადასტურებს არჩილ თალაკვაძის პოზიციას, ვახტანგ ქირიას არცერთ სერიოზულ საქმეზე არ უმუშავია, უფრო მეტიც აფხაზეთის ლეგიტიმურ მთავრობაში მას არავინ იცნობდაო. ვალის გამო მკვლელობასაც გამორიცხავს რესპოდენტი, ვახტანგ ქირია დიდ ვალს ვერ აიღებდა, ხელფასის გარდა სხვა შემოსავალი არ ჰქონდაო, ე.ი. წესიერი კაცი ყოფილა. შეიძლება უმნიშვნელო თანხა ესესხა, რის გამოც ახლა პროკურორებს ასე არ კლავენო. ქირიებიც ადასტურებენ, რომ კუჭავა მათი ნათესავი იყო, მაგრამ დიდი ახლობლობა არ ჰქონიათ, მით უმეტეს ელდარ ქირიას. ამ ტრაგიკულ ისტორიაში ცენტრალურ ფიგურად დავით პოპოვი სახელდება, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მოსკოვში ცხოვრობდა (ამას არც პოპოვი მალავს) ბოლო დროს თბილისში იყო, მაგრამ რუსეთს ხშირად სტუმრობდა, გრუ-ს არაოფიციალური თანამშრომელი იყო და მისი ჯაშუშური საქმიანობა აფხაზეთს უკავშირდებოდაო. სიმართლე გითხრათ,

პოპოვის გრუ-ს თანამშრომლობაში ცოტა ეჭვი შემეპარა, რუსეთის დაზვერვა მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი სპეცსამსახურია და საეჭვოა მისი თუნდაც არაოფიციალური თანამშრომელი ქართველ ადვოკატებს ასე იოლად გაეშიფრათ, ჩვენ საუბარს იწერდა, ჩამწერის კააბელი უჩანდაო. თუ ასეთი პროფესიონალები არიან ეს ადვოკატები, რატომ ვაცდენთ ასეთ არცთუ მნიშვნელოვან სფეროში, როცა სპეცსამსახურებში კადრების მწვავე დეფიციტი გვაქვს? პოპოვსა და კუჭავას დიდი ხნის წინ კაზინოში გაუცვნიათ ერთმანეთი და კარგი ურთიერთობაც ჰქონიათ, საქმიანად დამეგობრებულან. პოპოვი ეძებდა ადამიანს, რომელსაც აფხაზეთში მცხოვრებლებთან ურთიერთობა შეეძლო. ამისთვის იგი კუჭავას, როგორც ჯაშუშს დიდ ფულს გადაუხდიდა, ოღონდ საკავშირო ადამიანი უნდა ყოფილიყო არაცნობადი, არა დიდი თანამდებობის მქონე, შეუმჩნეველი ფიგურაო. ეს ყოფილა ჯაშუშური ლოგიკა. რესპოდენტის აზრით, სწორედ ასეთი ფიგურა ყოფილა ვახტანგ ქირია, რომელსაც ძალიან ბევრი კონტაქტი ჰქონია, ნებისმიერი ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლაზეც მიუწვდებოდა, ზუგდიდში ძალიან ბევრი აფხაზი გადმოდის, რაც ნაკლებად ხმაურდება. რესპოდენტი გვახსენებს, აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული ჯაშუშური ქსელი რომ ჩავარდა, ათამდე ქართველი ჯაშუში დაჭერილი და გასამართლებული, ერთ ერთი დავით ნარმანიას ბიძაშვილი ზურაბ თორაძე იყო, ეს ყველაფერი რუსეთის ხელით ხდებაო. ტყუილად არ ამბობენ პროფესიონალი ძალოვნები, მნიშვნელობა არ აქვს სამართალდამცავი იქნება, უშიშროების სამსახურის წარმომადგენელი თუ მზვერავი, რომლებიც ნაცებმა ერთი ხელის მოსმით ქუჩაში გაყარეს და არც მოქმედი ხელისუფლება აბრუნებს, რომ ჩვენს ძალოვან სტრუქტურებში არაპროფესიონალიზმის ბუმია. თქვენი არ ვიცი, მაგრამ ერთი ის გავიგე, რომ უშიშროების სამსახურის ეს მაღალჩინოსანი რესპოდენტი ორ წინადადებაში თავის თავს ეწინააღმდეგება და რაღაცას გაუგებრად გვიმტკიცებს. თუ პოპოვი კუჭავას დიდ ფულს უხდიდა, ეს უკანასკნელი „ინფორმაციის მიმწოდებელ“ ქირიას მუქთად „ამუშავებდა“, რესპოდენტი ხომ გვამცნობს, ქირიას ხელფასის გარდა სხვა შემოსავალი არ ჰქონდაო? შემთხვევით ქართული ჯაშუშური ქსელის ჩავარდნაც ვახტანგ ქირიას ხომ არ ბრალდება? ქირიას მკვლელობასთან დაკავშირებით ასეთი ვერსია აქვს, კუჭავას მისი მოკვლა დაევალა, ქირიამ ან არ შეასრულა კუჭავა-ქირიას მორიგი დავალება, ან შეასრულა, მაგრამ თავიდან მოიცილეს, როგორც ინფორმაციის მატარებელიო. რაც შეეხება კუჭავას, მას დაზუსტებით არ სცოდნია თავი მოიკლა თუ მოკლეს, პოპოვს რუსეთში უნდა გადაეყვანა, მაგრამ ვერ მოასწრეს. სამართალდამცავები კვალზე რომ დაადგნენ, ან თვითონ გაისროლა, რადგან აზრი არ ჰქონდა, დიდი ხნით მოუწევდა ციხეში ჯდომა, როგორც ქვეყნის მოღალატეს და ჯაშუშს, ან თავად რუსები მოკლავდნენ. რესპოდენტი არც იმას გამორიცხავს, რომ კუჭავა თავად პოპოვს მოეკლა.

ჩვენ არც კუჭავას ადვოკატად გამოვდგებით და არც პოპოვის, პროფესიონალთა მოსაზრებას თუ ვენდობით, ორივე ექსტრემალურ სიტუაციაში ძალით არის ჩაკვეხებული ამ საქმეში. ისინი არც იმას გამორიცხავენ, რომ მართლაც კუჭავას მეშვეობით მიეტყუებინათ კონსპირაციულ ბინაში, ქირია ეტყობა რაღაცაზე ვერ დაითანხმეს, ამას ზუგდიდელებიც ამბობენ, ვახტანგ ქირია წესიერი, პატიოსანი ადამიანი იყო, ის რაიმე სიბინძურეზე, მით უმეტეს საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ ხელს არ მოაწერდაო, მოკლეს და ეს სპექტაკლი დადგეს უამრავი მტკიცებულების დატოვებით, რომ ყველაფერი კუჭავას დაბრალებოდა და შემდეგ, როგორც არასასურველი მოწმე თავადვე მოიცილეს. იმედს ვიტოვებთ, რომ ეს უმძიმესი დანაშაული ობიექტურად იქნება გამოძიებული, ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა და დამნაშავეებიც, ვინც არ უნდა იყვნენ კანონის წინაშე მთელი სიმკაცრით აგებენ პასუხს.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

ტრისტან წითელაშვილი:

აგვისტოს ომის დროს ქართულ მისიაში ნარკომანი ოფიცრები იყვნენ და ეს ამერიკულმა მხარემაც იცოდა...

დიდ მადლობას ვუხდი ბატონ **ბერდია ბალიაურს** ინტერვიუს გამო, სადაც მეც მომიხსენია უარყოფით კონტექსტში, რადგან ამით გზა გაუხსნა იმ საქმეების ლუსტრაციას, რომლებიც შეკუჭულია სადღაც. შესაბამისად, თქვენს გაზეთს ვუხდი მადლობას, რომ პასუხის გაცემის საშუალება მომეცით – ამ სიტყვებით დაიწყო საუბარი გენერალმა **ტრისტან წითელაშვილმა**.

– სასამართლოზე, თქვენ საქმეზე პროკურორად გამოსულ ბერდია ბალიაურს კითხვები აქვს, რომელიც ახლახან პრესაში გამოქვეყნდა, მთლიანობაში კი არცთუ სასიამოვნო კონტექსტში გახსენათ. მოკლედ გკითხავთ, რატომ გაგიშვეს სასამართლო დარბაზიდან უპრობლემოდ, მხოლოდ 3000 ლარის ფასად სააკაშვილის რეჟიმის ზეობის ხანაში 2006 წელს?

– გაგიკვირდებათ, მაგრამ არ ვიცნობ ამ პიროვნებას, არანაირი შეხება არ მქონია არასდროს – სასამართლო პროცესზე სრულიად სხვა პიროვნება წარმოადგენდა ბრალდების მხარეს.

რაც შეეხება იმას, რა ფარსშიც მოვხვდი – 2003 წელს საპარლამენტო არჩევნებში მხარი დავუჭირე ბაღდათში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს **გია მეფარიშვილს,** მეორე კანდიდატი იყო „ნაცმოძრაობიდან“ **ზურაბ მსხვილიძე**. ეროვნული მოძრაობიდან დაწყებული ვიცოდი, რა კაციც იყო მსხვილიძე – როცა ჩვენ საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ ვიბრძოდით, ის ეროვნულ მოძრაობას ებრძოდა (ბაღდათის შს რაიონულ განყოფილებაში მუშაობდა), ხალხს აშინებდა, რომ აქციებში არ მიეღოთ მონაწილეობა. ზვიადის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ უცბად „მრგვალ მაგიდაში“ აღმოჩნდა; ცოტა ხანში „მოქალაქეთა კავშირში“ გამოჩნდა და მიხეილ სააკაშვილი რომ იუსტიციის მინისტრი ბრძანდებოდა, მსხვილიძე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელად მოგვევლინა. სადაც უნდა, იქ წასულიყო, მაგრამ შავბნელი წარსულის მქონე პიროვნებაა – ის იყო ბინძური, „შავი გარჩევების“ ორგანიზატორი. თვალსაჩინოებისთვის წამოგიღეთ სისხლის სამართლის საქმე #73010459 ზურაბ მსხვილიძის წინააღმდეგ 2001-2002 წწ. როდესაც ის დეპარტამენტის ხელმძღვანელი იყო, ქურდების საკანში შეუშვა პირი, რომლის იქ შეშვება არ შეიძლებოდა და მოკლედ რომ ვთქვათ, მოხდა ამ პიროვნების ლიკვიდაცია. ამასთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ მოახერხა სააკაშვილმა და დასჯის ნაცვლად თავზე ხელი გადაუსვეს. აღმოჩნდა, რომ მან შეასრულა სააკაშვილის დავალება, ციხის აბუნტება სჭირდებოდა, თუმცა სპეცსამსახურებმა გაანეიტრალეს სიტუაცია. ფაქტი – ფაქტია, სააკაშვილისა და მსხვილიძის დადგმულ ბინძურ პროვოკაციულ სპექტაკლს ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ამის შემდეგ უკვე მაჟორიტარ კანდიდატად აყენებენ ამ მკვლელ კაცს „ნაციონალები“ 2003 წელს ბაღდათში. მსხვილიძემ წააგო არჩევნები, ჩამოვიდა თბილისში და მოახსენა სააკაშვილს, წითელაშვილი იყო ჩამოსული ბაღდათში თავისი ჯარით, დააშანტაჟა მოსახლეობა და იძულებით მიაცემინა ხმა მეფარიშვილის სასარგებლოდ, ამიტომ ვერ გავიმარჯვე მეო. აი, აქედან აღმოვჩნდი მე მათ თვალთახედვის არეში, როგორც მოწინააღმდეგე მხარე.

როდესაც ესენი პარლამენტში შეცვივდნენ, დაახლოებით ათ დღეში ნაცნობმა დამირეკა (ვინაობას არ ვიტყვი) თავდაცვის სამინისტროდან, სად ხარ, გამომიარეო. აღმოჩნდა, რომ **ვანო მერაბიშვილს** უნდოდა რაღაცის თქმა – თანამდებობა არ ჰქონდა ჯერ, მაგრამ უკვე მოსულები იყვნენ. აკრიფა ვანოს ნომერი, უთხრა, აგერ არის ტრისტანი ჩემთანო და მომაწოდა ტელეფონი. ვანომ მითრა: „გაჩერდი, ნუ აქტიურობ! ჩვენ მოვედით უკვე და ჭკუით თუ არ იქნები, არ დაგადგება კარგი დღე!“ რაც სათქმელი მქონდა, ვუთხარი და გავუთიშე ტელეფონი. მის შემდეგ ყველაფერში ვგრძნობდი მათ ხელს, ხან რას მიწყობდნენ, ხან რას, გადაცემაც კი მომიძღვნეს „რუსთავი-2-ზე“, არ ეზარებოდათ. რაც უნდოდათ, იმას ვერ მიაღწიეს, არც ქვეყნიდან წავედი და არც ხელმოსაჭიდს ვაძლევდი რამეს. ორჯერ გენინსპექცია შემომგზავნეს სამსახურში – ეს ჯერ დასაწყისი იყო, თორემ მერე, მთლად რომ თავზე ხელი აიღეს, რასაც აკეთებდნენ, მოგეხსენებათ და დამაპატიმრეს კიდეც შეთხზული ბრალდებით.

2006 წელს ისნის რაიონში, სადაც მე სამხედრო ნაწილის მეთაური ვიყავი, ვინც რაიონიდან ჩამოსულები ვიყავით, იქ ვცხოვრობდით, თავდაცვის სამინისტრომ გადმოგვცა საცხოვრებლად საერთო საცხოვრებელი, ასეთი 18 ოჯახი ვიყავით, მაგრამ მერე მთლიანად გააუქმეს სამხედრო ნაწილი და ჩვენიანად გადასცეს ეკონომიკის სამინისტროს. ამ დროიდან დაიწყო ნაწილის ძარცვა და მოგვადგნენ ჩვენც. ამ საქმეში ჩართული იყო სამხედრო პოლიცია – შემოდიოდა ბრიგადა, ანგრევდა, გაჰქონდა და სამხედრო პოლიცია „კრიშავდა“. გული შემტკიოდა ჩემ ნაწილზე და დავიწყე აქტიურობა. ეტყობა, ძალიან რომ გავუჭირე საქმე, დაახლოებით ორ კვირაში, ერთ დღეს ვიღაცამ დამირეკა სამხედრო პოლიციიდან – თქვენთან კითხვები გვაქვს და თუ შეიძლება მობრძანდითო. მაშინ მე-8 პოლკის სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე იყო სამხედრო პოლიცია და მივედი მაშინვე. ვინ დამხვდა, არ ვიცი, არ წარმომიდგა, ჩვენმა გამომძიებელმა უნდა დაგკითხოსო. გამომძიებელი **გოჩა სხირტლაძე** იყო, რომელმაც თვითონაც არ იცოდა, რაზე უნდა დავეკითხე და იმან აუხსნა, სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე ქონებას რომ აზიანებსო. სხირტლაძემ მხრები აიჩეჩა და შემიყვანა ოთახში. თვითონ გამომძიებელმა მითხრა, სულელები ხომ არ არიან ესენი, ვერ გავიგე, რა უნდა გკითხო, ნამდვილად ვერ ჩავერევი რაღაც საქმეების შეთითხვნაში, წადი, თავი დამანებე თუ ძმა ხარო. ძველი თანამშრომელი იყო და კანონს უყურებდა. წამოვედი. ატყდა განგაში – დაუჭერიათ ეს სხირტლაძე, რას ჰქვია გაუშვი წითელაშვილიო და უკვე „კაპეზეზე“ რომ უნდა გადაიყვანონ, მომივიდა ეს ინფორმაცია და მივბრუნდი უკან, ამ კაცისგან რა გინდათ, მაგას არ გავუშვივარ, მე წამოვედი-მეთქი. მოვასწარი ადვოკატთან დარეკვა და გამიყვანეს სასამართლო პროცესზე...

– ასე, გზიდანვე?

– ასე! არც ხელი მაქვს მოწერილი რამეზე, არც არაფერი. რაღაც ფურცელი დაუდეს მოსამართლეს წინ. მოსამართლე, გაგიკვიდებათ ვინ იყო – ცნობილი **ჩემია!** დახედა იმ ფურცელს ჩემიამ, დაქაჩა თვალები და მიაჩერდა პროკურორს, სათვალეებიანი იყო ვიღაც, არც ის ვიცი ვინ იყო – ეს რა საქმე არის, ეს რა მოიტანეთო?! არანაირი ბრალდება არ წამოუყენებიათ ჩემთვის. დარბაზიდან წამოვედი პირდაპირ და დავტოვე იქ გაოგნებული ჩემია... ეს იყო **ირაკლი ოქრუაშვილის** მითითება (უკვე თავდაცვის მინისტრი იყო), რამენაირად უნდა დავეპატიმრებინე. ჩემია რომ იმ დროს ადამიანს დარბაზიდან გაუშვებდა, წარმოიდგინეთ, რამდენად მართალი უნდა ვყოფილიყავი კანონის წინაშე, ვინმე ბერდია ბალიაური კი ამბობს, საქმეს ჩამომაცილესო. საქმე არ ყოფილა, როგორ და რომელ საქმეს ჩამოაცილეს? – დამისაბუთოს, ერთი ფურცლის ნაგლეჯი მაინც დამიდოს რომ რაღაც საქმე არსებობდა! მე დავუდებ საბუთს, რომ ის 3000 ლარიც უკან დამიბრუნეს ორ თვეში, ისიც იმიტომ გადავიხადე, ეჭვი არ შეპარვოდა სასამართლოს ან პროკურატურას, რომ გამოძიებას დავემალებოდი. ჩიხში მოექცნენ და თვითონვე გამაჩუმეს, თავიანთი ჭკუით ამ ფულის დაბრუნებით, მაგრამ მე რა გამაჩუმებს თუ საყვირალია?

2007 წლის აქციებზე გადაცმულმა სამხედრო პოლიციელებმა რომ დამაფიქსირეს და გამომეცნაურნენ, აქ რას აკეთებო და პასუხიც მოისმინეს, მთლად მოსაშორებელი გავხდი. ეს ბალიაური თუ მაშინ პროკურატურაში მუშაობდა, პროკურატურა იყო ოქრუაშვილის (სამხედრო დეპარტამენტის ხელმძღვანელი იყო **სუხიტაშვილი**) იქიდან გადაიყვანეს ჯერ შსს და შემდეგ თავდაცვის მინისტრად, მათ უნდოდათ ამ საქმის შეთითხვნა, მაგრამ არ გამოუვიდათ – ამას ბჟუტურობს ახლა ეს ბალიაური. ამ კაცს როგორ მისცეს იურისტის დიპლომი და კვალიფიკაცია, მიკვირს...

– ბალიაურს კი ის უკვირს, აგვისტოს ომის დროს რა გინდოდათ გორში, რა სტატუსით იყავით, ვისი რეკომენდაციით და საერთოდ, რას აკეთებდით იქ, თუ საბრძოლველად იყავით, რატომ წინა ხაზზე არ იბრძოდით...

– რადგან ოქრუაშვილი და მე ერთ სივრცეში ვერ ვიქნებოდით. 2005 წელს წამოვედი თავდაცვის სამინისტროდან და დავინიშნე ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული უსაფრთხოების სამსახურის უფროსად. ჩემი მოვალეობა იყო როგორც კერძო, ასე სახელმწიფო ობიექტების უსაფრთხოება, კერძო პირების და ა.შ თავდაცვის სამინისტროში შეიქმნა და გამოეყო ავტო-სარემონტი ბაზები ფონიჭალაში, გორში, ქუთაისში და სენაკში. თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა კონკურსი და მივიღე მონაწილეობა, წარმოვადგინე ჩვენი სამსახურის მონაცემები, სერვისები, დაზღვევები,

რამდენიც უნდა იჭრაჭუნონ ბალიაურმა და მისთანებმა, ჩვენ მაინც მივიყვანთ ამ საქმეებს ბოლომდე და მივაღწევთ იმას, რომ ხელისუფლებამ აღიაროს, დანაშაულებრივი რეჟიმის არსებობა და მისი ყველა მონაწილე ჩადენილი დანაშაულს მიხედვით გასამართლდეს სხვა და სხვა ფორმითა და სიმკაცრით. იმედი მაქვს, ბატონი ბალიაურიც მოხვდება მათ რიცხვში...

გარანტიები, შესაძლებლობები და ა.შ ჩვენ გვამჯობინეს სხვას და გავაფორმეთ ხელშეკრულება ავტო-სარემონტო ბაზების უსაფრთხოების დაცვის მიზნით. რადგან ეს სტრატეგიული სამხედრო ობიექტები იყო, ხშირად მათი კონტროლი პირადად მიწევდა. 2008 წელს აგვისტოში კი არა, უკვე მაისში ვიცოდი, რომ რაღაცისთვის მიმდინარეობდა გამალებული მზადება გორის ავტო-სარემონტო ბაზაზე და რადგან ახლოს იყო კონფლიქტის ზონასთან, მაქსიმალურად ვაკონტროლებდით, რაიმე სახის დივერსია არ მომხდარიყო. ამდენად, როდესაც 2008 წლის 7 აგვისტოს დაიწყო საბრძოლო მოქმედებები, მე სად უნდა ვყოფილიყავი? ჩემი უშუალო ფუნქციური მოვალეობა იყო ის, რომ მომხდარიყო ბრძოლის ველიდან დაზიანებული ტრანსპორტის ევაკუაცია, განთავსებულიყო ამ ბაზაზე და უსაფრთხოების უზრუნველყოფა მომეხდინა. შემდგომში რასაც ვხედავდი, თავყირა რომ დადგა ყველაფერი, ამის შესახებ ბევრჯერ მაქვს ნათქვამი, ამიტომ აღარ გავიმეორებ. წინა ხაზზე რატომ არ იყოო, რომ ამბობს ეს ჩამოუყალიბებელი პროკურორი – წინა ხაზზეც ვიყავით ერთად მე, **ტარიელ თოდაძე, კახა მარშანია** და სხვა მებრძოლები ვარიანის მიმართულებით, თამარაშენში, ბოლოში, ფერმებთან და რომ შევხედეთ წინა ხაზის სოფლებში მოხუცები, ბავშვები და ქალები იყვნენ ჩატოვებულები, როგორც სამხედრო სპეციალისტმა, მივიღე გადაწყვეტილება, რომ საბრძოლო მოქმედებების ინტენსიურ დაწყებამდე უნდა მომხდარიყო მათი ევაკუაცია. გადავწყვიტე ჩავსულიყავი შტაბში და ჩემი ვერსია შემეთავაზებინა, რეზერვისტები, რომელთაც არანაირი საბრძოლო გამოცდილება არ ჰქონდათ და ამათ სპორტულ კლუბებში და დარბაზებში ჰყავდათ უმიზნოდ, გამოგვეყენებინა ჩარჩენილი მოსახლეობის გამოსაყვანად. შტაბში რომ შევედი, არმისული მართვის პუნქტთან, მარცხენა მხარეს, შელებული კარიდან **ბოკერია-თარგამაძე-უგულავას** ფრაზებს მოვკარი ყური, რომელიც მოკლედ ასე ფორმულირდება – „მოსახლეობა იყოს, მსხვერპლი საჭიროა“. ეს რატომ გავიგონე, ამას თუ მედავება **ბალიაური,** არ ვიცი. ეს ფრაზები რომ გავიგონე, მაშინვე მივხვდი, რომ ბევრად უარესად იყო საქმე, ვიდრე ჩანდა, აზრი არ ჰქონდა მართვის პუნქტში მისვლას და გამოვბრუნდი. გამოსვლისას შემხვდა გენერალი **ელგუჯა ბუცხრიკიძე.** გადამეხვია, ხალხი ჩამოვიყვანე ქუთაისიდან, მაგრამ იარაღს არ მაძლევენ რომ წინა ხაზზე გავიყვანო ბიჭები და ეგებ შენ მაინც საიდანმე მოგვიხერხო რამეო. წინა ხაზს თავი დაანებე, აგერ, შენი ბიჭები, ჩემები, კიდევ მოვუყაროთ თავი და სოფლებში ჩატოვებული ხალხი გამოვიყვანოთ, აქ სხვანაირადაა საქმე, საზარბაზნე ხორცად ვართ განწირული ჩვენც და მოსახლეობაც-მეთქი. მთელი ღამე ვმუშაობდით იმ უმწეო ადამიანების გამოყვანაზე.

აი, ამიტომ ვიყავი აგვისტოს ომის დროს იქ, სადაც ვიყავი, თვითონ ბალიაური სად იყო ამ დროს და რას აკეთებდა? მაინტერესებს, როგორც სხვებს, მასაც ხომ არ ჰქონდა უკვე გადალახული საქართველოს საზღვარი?

– სხვათა შორის, როგორც ბევრ სხვას, ბატონ ბალიაურსაც აინტერესებს, საიდან მოხვდა თქვენთან საერთაშორისო მისიაში მონაწილე ქართველი ჯარისკაცების დაკითხვის ოქმები.

– გვარ-სახელების ხსენებისგან თავს შევიკავებ მათი ოჯახის წევრების გამო, ცოცხლებსაც ვგულისხმობ და მოკლულებსაც, მაგრამ რა მასალაც თქვენ მოგიტანეთ, ეს არის საშინელება. მე ორი დღე არ ვყოფილვარ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, 1991 წლიდან ვმსახურობდი, ასე რომ ძალიან ბევრი ოფიცერი მყავს გაზრდილი, თანამდებობის პირები, რომელთაც გული სტკივათ იმაზე, რაც დღემდე ხდება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში – ეს არის თაროზე შემოდებული საქმე.

– ეს რა ტომებია?

– ავღანეთში გარდაიცვალა კონკრეტული პიროვნება, რომელიც საბრძოლო მოქმედებების დროს დაიღუპა და გამოაცხადეს გმირად. აღმოჩნდა, რომ ეს პიროვნება მეორედ იმყოფებოდა ავღანეთში და იყო ნარკოტიკების აქტიური მომხმარებელი. მის გარდა, იმ შემადგენლობაში, დაწყებული ხელმძღვანელობიდან ხუთი ოფიცერია, რომლებიც ნარკოტიკის აქტიური მომხმარებლები იყვნენ. როდესაც აქ მსახურობენ, მაშინ უნდა გადიოდნენ შემოწმებებს და მსგავსი აღმოჩნდა, მათ არ აქვთ უფლება, იმსახურონ შეიარაღებულ ძალებში, მით უმეტეს, როცა მიდიან საერთაშორისო მისიებში, წონასწარ გადიან სამედიცინო შემოწმებას.

– მათ არ გაიარეს? – ვერაფერი გავიგე.

– ამაშია საქმე, ეს კითხვები მაქვს მეც, რატომ არ გაატარებინეს სამედიცინო შემოწმება და რატომ აღმოჩნდნენ ორჯერ და სამჯერ საერთაშორისო მისიებში ის ოფიცრები, რომლებიც ნარკოტიკის აქტიური მომხმარებლები არიან. ეს გარდაცვლილი პიროვნება, რომლის საქმეზე დართული ფოტოებიც გიჩვენეთ, ერთხელ გააგზავნეს სოფელში ნარკოტიკის მოსატანად (წესდების და კანონის თანახმად, არანაირი უფლება არ ჰქონდა, რომ ბაზის ტერიტორია დაეტოვებინა), შემდეგ მეორედ გააგზავნეს, მოუწყვეს ჩასაფრება და მოკლეს („მაკაროვის“ სისტემის იარაღითაა მოკლული), ხოლო ვინ მოკლა და რატომ, საკითხავია ესეც!

ის, რომ ქართულ მისიაში ნარკომანი ოფიცრები იყვნენ, მხოლოდ აქ და იქ მყოფმა ხელმძღვანელობამ კი არა, ამერიკულმა მხარემაც იცოდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია...

– რატომ?!

– რატომ ამოიღებდნენ, იაფი საზარბაზნე ხორცი სჭირდებათ...

– ეჭვით რატომ თქვით, საკითხავია, ვინ მოკლა ის პიროვნებაო?

– იმიტომ რომ, ჩნდება ეჭვები... აქ არის ექსპერტიზის დასკვნები, პიროვნებების ჩვენებები რომ ნარკოტიკის მომხმარებლები არიან და ვითომ არაფერი, დატოვეს მისიაში, არ გამოუშვეს აქეთ. როგორც ხედავთ, ერთერთი დაკითხული იძლევა ჩვენებას რომ მისიაში წასვლამდე, თბილისშიც მოიხმარდა ნარკოტიკულ ნივთიერებას. 10 მოწმის ჩვენებაა და იმ ოფიცრების, რომლებიც, ფაქტობრივად, დანაშაულში იღებდნენ მონაწილეობას. მე დეტექტივი კი არ ვარ, ეს გამოძიებული, ნომრიანი საქმეა (#101200413001), თაროზე შემოდებული და არ ინტერესდებიან, დღემდე გრძელდება ეს სიტუაცია. ამ ექსპერტიზებს მე ხომ არ ჩავატარებდი, მე ხომ არ მიმიწვდებოდა ხელი, დაიწყო გამოძიება და ბოლოში უნდა გასულიყო...

– სხვათა შორის, ბალიაური აღნიშნავს, ამ კომპრომატებს რომ აქვეყნებს წითელაშვილი ვითომ მანკიერებისა და „ნაციონალების“ წინააღმდეგ, რეალურად ვისი კომპრომეტირება ხდებაო?

– არავის კომპრომეტირება არ ხდება! არა ერთხელ და ორჯერ მივმართე თავდაცვის მინისტრს ერთსაც, მეორესაც და მესამესაც, გვარებიც მივაწოდე ყველა იმ ოფიცრისა, რომელიც საკუთარ ხალხს ფეხით თელავდა; იმ სარდლებზე, რომელთაც ჩადენილი ჰქონდათ სისხლის სამართლის დანაშაული; იმ სარდლებზე, რომლებმაც გაფლანგეს 300 მლნ, მაგრამ რა გინდა ქნა – ყველა მათგანი ამოფარებული ჰყავს დღეს უკვე თავდაცვის მინისტრ ხიდაშელს. ადრე იყო „ნაცმოძრაობის“ პოლიტოფიცერთა შემადგენლობა და გადაიბარა ხიდაშელმა „რესპუბლიკური პარტიის“ პოლიტოფიცრებად, მერე გაუკვირდეს ვინმეს, როგორ გაუყალბეს **ირმა ინაშვილს** არჩევნებიო. ხელმძღვანელობას რომ ხელში კომპრომატები უჭირავს, რასაც დაუწკაპუნებენ, იმას გააკეთებინებენ, სჭირდებათ ასეთი ხალხი... იმიტომ არის, რომ დღეს დემორალიზებულია საქართველოს შეიარაღებული ძალები, სწორედ ეს ოფიცრები ახდენენ იმ ახალგაზრდა სამხედრო პირების შევიწროვებას, რომელთაც საქმის გაკეთება უნდათ.

თუ ბალიაური პროკურორი არის და გული შესტკივა სამშობლოზე, გაზეთში კი არ უნდა ბჟუტურობდეს წითელაშვილზე, მოვიდეს ჩემთან და მითხრას, ამ საქმის პროფესიონალი ვარ, ტრისტან, რა მასალები გაქვს, მანახე, ერთად დავეტაკოთ იმ სიმახინჯეს, რაც გვინგრევს სამშობლოს უსაფრთხოებას, პროკურორი კაცი ვარ და სამართლებრივი მხარე მივცეთ ამ ყველაფერსო. არა, ბატონო, არ იზამს ამას ბალიაური იმიტომ, რომ ესეც იმ გუნდის წევრია, რომელმაც დანაშაულებრივი სისტემა შექმნა!

რამდენიც უნდა იჭრაჭუნონ ბალიაურმა და მისთანებმა, ჩვენ მაინც მივიყვანთ ამ საქმეებს ბოლომდე და მივაღწევთ იმას, რომ ხელისუფლებამ აღიაროს, დანაშაულებრივი რეჟიმის არსებობა და მისი ყველა მონაწილე ჩადენილი დანაშაულს მიხედვით გასამართლდეს სხვა და სხვა ფორმითა და სიმკაცრით. იმედი მაქვს, ბატონი ბალიაურიც მოხვდება მათ რიცხვში...

გაურკვეველი სამხედრო წოდების რატომ ვარ მისთვის? ინტერნეტში დავდე, ტელევიზიით ვაჩვენე, გამოვაქვეყნე, მეტი როგორღა მივაწვდინო? დასამალი და საფიცი არაფერი მაქვს, ამიტომ ვიბრძვი ღიად 90-იანი წლებიდან იმ პარაზიტების წინააღმდეგ, რომლებიც ჩემ სამშობლოს ხრავენ.

– როგორც ვხედავთ, თქვენი ოპონენტები ხშირად გედავებიან სხვადასხვა საკითხზე, უფრო ზუსტად, გეკინკლავებიან, სასამართლოს კი არ მიმართავენ თუნდაც ცილისწამებისთვის, ეს როგორ გავიგოთ?

– იმიტომ, რომ ყველა მათგანმა ძალიან კარგად იცის, რომ ჰაერზე არ ვლაპარაკობ, რასაც ვამბობ, იმის მტკიცებულებაც მაქვს. ძალიან მინდა მიჩივლონ, რადგან ამ გზით მაინც მივაღწევ იმას, რომ მსვლელობა მიეცეს გარკვეულ საქმეებს, მაგრამ სადაა მომჩივანი, სანთლით დავეძებ...

გიორგი ჩხეიძე

თამარ ჭოხონელიძე:

კულტურას რომ გართმევენ, ეს იგივეა შვილი რომ წაგართვან... არც ამაზე უნდა ამოვიღოთ ხმა?

რამდენიმე დღეა, სოციალური ქსელი ლამისაა დუღს და გადმოდუღს მეზობელი ქვეყნის მიერ ჩვენი ეროვნული საგანძურის კიდევ ერთხელ მითვისების გამო! მაგრამ, მიუხედავად ამისა – სახელისუფლო წრეები და კერძოდ კი ის სტრუქტურები, რომელთა პირდაპირი ვალდებულებაა – დაიცვან ეროვნული სიმდიდრე, ხალხური შემოქმედება და ა.შ. კვლავაც დუმილს ინარჩუნებენ!



დღეს უკვე კატეგორიულად მაინტერესებს და მოვითხოვ, როგორც რიგითი ქართველი – სად არიან მუსიკოსები? სად არის კულტურის სამინისტრო? სად არის კონსერვატორიის ფოლკლორის კათედრა და ბოლოს, სად არის იმ ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელობა, რომელიც პირდაპირ არის ვალდებული ასეთ უმსგავსობაზე პასუხი გასცეს

მაგრამ ჩემი ყურადღება ერთმა, არცთუ უმნიშვნელო განმარტებამ მიიქცია... ანსამბლის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ ისინი ასრულებენ მსოფლიო ხალხთა ცეკვებს, არადა, დარბაზში, კონცერტის მსვლელობისას უნდა გამოცხადდეს, რომ აღნიშნული ცეკვა არის ქართული, არადა, ყველა წესით ეს უნდა გამოცხადებულიყო იმიტომ, რომ თუკი ანსამბლი იმავდროულად ასრულებდა როგორც რუსულ, უკრაინულ, ამერიკულ თუ ბერძნულ ცეკვებს, მაყურებელს ხომ უნდა

სცოდნოდა, რომელი ქვეყნის ცეკვა სრულდება, ხომ?

– რასაკვირველია, მაგრამ უკვე გუშინწინ რომ გავიგე სომხური ანსამბლის ხელმძღვანელის ბოდიში, ცოტა არ იყოს შემირბილდა აღშფოთება და თუკი ეს ყველაფერი მართლაც აამტუტა, გაამწვავა „იუთუბიმ“, მაშინ პასუხი ვიღაცას ან რაღაცას აუცილებლად უნდა მოეთხოვოს თუნდაც ქართული მხრიდან, აღარაფერს ვამბობ სომხებზე იმიტომ, რომ როგორც თვითონ უბრძანებიათ, სწორედ „იუთუბის“ გამო გაუხდათ საბოდიშოდ საქმე! თუმცა... არ შეიძლება არ აღვნიშნო ერთიც – ჩვენი მხრიდან მრეაგირებელი, მართალი გითხრათ, არც არავინ მეგულება სამწუხაროდ იმიტომ, რომ ეს ხომ პირველი შემთხვევა არ არის?! მახსოვს, წლების წინ ანსამბლ „რუსთავის“ მიერ ჩაწერილი სიმღერაც მიითვისეს სომხებმა, მაგრამ რა? საპასუხოდ, რამდენიმეწუთიანი პატარა არაფრისმთქმელი სიუჟეტი მომზადდა ტელევიზიით და ამით დამთავრდა ყველაფერი, ანუ სხვა რეაგირება ამ ფაქტზე ქართველებს არ მოუხდენიათ! თქვენ და საზოგადოებასაც მშვენივრად მოგეხსენებათ, რომ არამხოლოდ „ყვავილების ქვეყანა“, კიდევ უამრავი რამ მიუთვისებიათ, მათ შორის ხელოვნების სხვა დარგშიც და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ – გვედავებიან და გვიმტკიცებენ იმას, რომ ტერიტორიიდან დაწყებული, ხუროთმოძღვრების ძეგლებით დამთავრებული თურმე მათი ყოფილა, ხომ? მე არ ვიცი საერთოდ – ასეთ დროს, როდესაც გართმევენ შენს მონაპოვარს, იმ მონაპოვარს, რომელიც აღიარებულია მსოფლიოს მიერ, როგორ უშვებ იმას, რომ – გამოხტა ვიღაც და გეუბნება ეს ყველაფერი ჩემიაო?! ირიონა, თქვენ მშვენივრად მოგეხსენებათ ისიც, რომ არამხოლოდ პლაგიატზე შემომიკრავს ზარი, მომიწოდებია და პირდაპირ მომითხოვია მუსიკოსებისთვის – დამიდექით გვერდით, ამიბით მხარი-თქო, მაგრამ არცერთხელ არ ყოფილა გამოხმაურება და თანადგომის ნაბიჯის გადმოდგმა მათი მხრიდან! არადა, მე ჩემს გვერდით, თამარ ჭოხონელიძის გვერდით დგომას კი არ ვთხოვდი ვინმეს, არამედ ერთად დგომას ვითხოვდი ამათუიმ პრობლემაზე და დღეს

ფოლკლორის ნიმუშებს მინადგურებენ და ითვისებენ სხვები? ხომ გახსოვთ, როგორ იბრძოდნენ იმ ადგილების მისათვისებლად, საიდანაც წესით პირველი პროტესტი უნდა განხორციელებულიყო? აბა, სადა ხართ, რატომ არ იღებთ ხმას იმიტომ, რომ სავარძლები არ დაკარგოთ? ეს ხომ იგივეა – შენი შვილი რომ წაგართვან, შენი შობილი, გაზრდილი და ნალოლიავები შვილი რომ წაგართვან და მოგაძახონ – შენი კი არა ჩემიაო?! ნუ, ახლა თუ ქართველები იმას ვეგუებით, რომ შვილები წაგვართვან, ყველაზე სანუკვარი რაც კი რამ აბადია მშობელს, მაშინ არაფრის ღირსები არ ვყოფილვართ, დასაქცევები ვყოფილვართ როგორც ერი და ვიქცევით კიდეც!!! გულახდილად გეუბნებით, სულ პატარა შუქსაც კი ვერ ვხედავ, რომელსაც გარკვეული პერიოდის შემდეგ სუნათლე უნდა მოჰყვეს და ამიტომაც ვიმეორებ – თუ გინდა, რომ ერი გაანადგურო, უნდა გაუნადგურო კულტურა და დღეს რა ხდება? – ჩვენი-

უკვე კატეგორიულად მაინტერესებს და მოვითხოვ, როგორც რიგითი ქართველი – სად არიან მუსიკოსები? სად არის კულტურის სამინისტრო? სად არის კონსერვატორიის ფოლკლორის კათედრა და ბოლოს, სად არის იმ ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელობა, რომელიც პირდაპირ არის ვალდებული ასეთ უმსგავსობაზე პასუხი გასცეს, ვინც არ უნდა იყოს შენი ფოლკლორის მიმთვისებელი?! სად არიან მუსიკისმცოდნეები და ჩემს მიერ ჩამოთვლილი სტრუქტურები, მაშინ, როცა ჩემს კულტურას თუ

– იცით, რა? პრობლემა ის კი არ არის, მოსმენილი აქვს თუ არა, ან მოსწონს თუ არა? ჩემი პრობლემაა ის, რომ ამას ამბობს ქართველი, რომელსაც ინტელექტუალური პიროვნების იმიჯი აქვს შექმნილი, გამიგეთ? ნუ, რა ვიცი ახლა... ასეთი ზიზღი საკუთარ მიწაზე აღმოცენებული საკუთარი ნიმუშის მიმართ, საკუთარი თანამემამულის ფალიაშვილის მიმართ – წარმოუდგენელია!

– თამრიკო! თქვენ კი იცით, მაგრამ ნიკა გვარამიას და მის თანამოაზრეებს მინდა ვიქტორ დოლიძის სიტყვები გადავცე: „არ ვიცი, ვის მოსწონს და ვის არა ზაქარია ფალიაშვილის ოპერები, მაგრამ ერთი რამ ზუსტად ვიცი – ჩვენ ყველას „დაისის“ უვერტიურით დაგვასაფლავებენ!“-ო და მართლაც, დღესაც ხშირია პანაშვიდებზე ამ გენიალური უვერტიურის ჰანგები...

– როგორც იტყვიან, გემოვნებაზე არ დაობენ, მაგრამ ფალიაშვილის მასხრად აგდება (თანაც ვისი მხრიდან?) ისევ ჩვენი ბრალია იმიტომ, რომ რაღაცის პირში თქმა – ძალიან არამოდურია დღევანდელ საზოგადოებაში, მითუმეტეს კი მაღალ ეშელონებში! მოდით, კვლავ სომხების მიერ მითვისებული ჩვენი საგანძურის შესახებ გეტყვით – იგივე „იუთუბის“ რატომ არ უჩივის ჩვენი ფოლკლორის ცენტრი, რომლის უშუალო მოვალეობაა ამ ძეგლების შენახვა და დაცვა?! კულტურის სამინისტროს კი ხომ ყველამ ვიცით, არ ცხელა და მე უფრო მეტსაც გეტყვით, შეიძლება – აქეთ შემოგვიტიონ და გვითხრან, თქვენ პოლიტიკურ ფონს ძაბავთ მეზობლებს შორის და არ ღირს ერთაშორის მეგობრობის შუღლის გაღვივებაო ადამიანო! ამ მხრიდან, ამ მეგობრობის ფონზე მიდის ჩემი კულტურის მითვისების არაერთი ფაქ-

ტი და – მე პროტესტიც აღარ უნდა დავაფიქსირო?! როგორც მშობელს – ამის უფლება არა მაქვს? აი, ეს მტკივა ძალიან, ჩემო ძვირფასო მკითხველო, ჰოდა, იცით, რას ვამბობ კიდევ? სრულიად საქართველო უნდა დადგეს ფეხზე და გაერთიანდეს ამ აღმაშფოთებელი, ყოვლად უღირსი საქციელის გამო და არ ვიცი, წერილობით იქნება თუ სხვა ფორმებით უნდა მოვთხოვოთ შესაბამის უწყებებს ოფიციალურად, კანონის ფარგლებში მოხდეს იმის დაცვა, რითაც დღეს ასე ვამაყობთ და სულიერად ვძლიერდებით! მატერიალისტურ კულტურის ძეგლებს თოფიანი კაცები იცავენ და ძალიანაც კარგი, მაგრამ სულიერი, ეროვნული იდენტობის ძეგლებსაც ხომ ჭირდებათ დაცვა, არა? ჰოდა, ჩვენ თითოეულმა ქართველმა უნდა გავაკეთოთ ეს, თორემ შესაძლოა ხვალ საამაყოდ ბევრი ველარაფერი შემოგვრჩეს!!! როდესაც არა ერთი წელი, არამედ საუკუნეების განმავლობაში არიან ჩასაფრებულები მიითვისონ შენი, როგორ ფიქრობთ, აღარ დადგა დრო, რომ ამ ყველაფერს წერტილი დაესვას? ამიტომაც კიდევ ერთხელ მივმართავ კულტურის სამინისტროს, კონსერვატორიის ფოლკლორის კათედრას და ფოლკლორის ცენტრს – საკუთარი ადგილების და სავარძლების მოსაპოვებლად და **მართებოდა და ვთქვათ, იგივე საფრანგეთში, იტალიასა თუ ამერიკა, გერმანიაში დახლებზე ველარავინ იხილავდა „სომხურ ჩურჩხელას“, „ხაჩაპურიანს“, სომხურ „ხვანჭკარას“, „საფერავს“ თუ ა.შ...**

– მე ვფიქრობ, რომ ამ ყველაფრის დაცვაზე, შენახვაზე და თუნდაც დაპატენტებაზე დადგა დრო, რომ იზრუნოს სახელმწიფომ! მაგრამ, ვის სცალია ამისთვის?! უფრო სწორად ამის დრო უკვე დიდი ხანია მოვიდა, მაგრამ ეს რომ გაკეთდეს, მაშინ ვინღამ უნდა იბრძოლოს სავარძლებისთვის? ანდა, იმისთვის, რომ ვიღაც მოხსნან დაკავებული თანამდებობიდან და შემდეგ კვლავ დაიწყონ ბრძოლა იმ თანამდებობაზე, რომელიც ვაკანტური გახდა? მოდით, რა, გულახდილად ვთქვათ – დღეს ხომ მთელი ერის ენერგია მთლიანად მიმართულია იქეთ, რომ ერთი სკამიდან მეორე სკამზე გადასაჯდომი პირის თუ პიროვნებების გარშემო გვამყოფონ? დღეს ამ „ვნებათაღელვების“ თანამონაწილენი გაგვხადეს ყველა და ვიღას უნდა ახსოვდეს ის, რომ დასაცავია უფრო მნიშვნელოვანი და ჩვენი ერისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი კულტურის ძეგლები?! მეტსასც გეტყვით – მე ზუსტად ვიცი, რომ არ მოხდება ეგ ამბავი, არავინ შეიწუხებს თავს რაიმე ხმამაღალი განცხადება გააკეთოს დვილად არ არის და მინდა იცოდნენ, რომ ხალხი ქუჩაში კულტურული შიმშილის დროსაც გამოვა და ეს შიმშილი კულტურაში, დიდი ხანია დაიწყო!!! ნახეთ, როგორ უფუნქციოდ დატოვეს პროფესიონალ მუსიკოსთა მთელი არმია, როგორ მოექცნენ იმ მუსიკოსებს თუ პედაგოგებს, ვისაც მსოფლიო დონის ადამიანები ჰყავთ აღზრდილი? მაგრამ, ეგ კიდევ არაფერი... იმ ვიღაცამ რომ თავის დროზე ეს ხელზესაგოგმანები ხალხი ჩარეცხა, შენ რატომ არ ეძახი და ქვეყნის კულტურის ასაღორძინებლად კვლავ რატომ არ იყენებ?! არაუშავს, ამ ადამიანებს უამრავი ადამიანი უდგას ზურგს უკან, სწორედ ის ადამიანები გამოვლენ და ეშინოდეთ!!! აი, ნახავთმ სწორედ ასე თუ არ მოხდეს!!! ჩვენი კულ-

January 23, 2016

My Dear Georgian Friends,

Please accept this letter as explanation for the mislabeling in the video posted on the "MENQ meroncov" you tube account. It is important that we clarify the fact that we have no formal or informal ties with this site. In fact they have no authorization from us written or verbal to post our material.

We have formally requested for "MENQ meroncov" to correct their error and remove our video from their account once and for all. The same request of removal has been communicated to you tube and we are waiting for their reply.

In 1987 a Druzhba National Choreographic Ensemble was established in Yerevan, Armenia. Many choreographers were invited over to teach dance of different ethnic/national cultures. A Georgian choreographer was invited to choreograph a Georgian dance "Daisi" on the music of Georgian composer Zacharia Paliashvili.

In year 2000 during an annual concert of our academy, my wife and I decided to surprise the audience by dancing that particular dance which was later placed on our personal You Tube and Facebook accounts. That was the only time we danced that dance.

I understand and feel your frustration and can only offer my sincere apology on behalf of a third party for their error. Again this was done without our knowledge and without our consent.

Gevorkian Dance Academy is an International Dance School. We perform Armenian, American, Russian, Moldavian, Georgian, Greek, Jewish, Gypsy and more other dances. I don't think it's stealing but a very good way of presenting dances of other cultures. I am forwarding you a copy of one of many concert programs, which always mentions the nationality of each particular dance we perform during our concerts.

We have never intended nor ever committed acts of stealing any Georgian or any other national dances to mislabel them as Armenian.

Sincerely,

Vartan Gevorkian
Artistic Director of Gevorkian Dance Academy
www.gevorkiandanceacademy.com

ჩვენი კულტურა არის ჩვენი ერის სახე, ჩვენი სავიზიტო ბარათი და ჯერჯერობით სხვა არც არაფერი გვაქვს სატრაბახო, ჰოდა, ამასაც თუ არ დავიცავთ – რაღა ერი ვართ მაშინ?!

შესანარჩუნებლად დედ-მამისშვილებისა და ოჯახის წევრების გასაწირადაც რომ მზად ხართ – აი, ახლა სად ხართ, რატომ აღარ აქტიურობთ, გაინაღდეთ თქვენი და იმიტომ აღარაფერი გაინტერესებთ?!!

– ისტორია, რომელსაც ახლა მოვყვები, ბევრმა ადამიანმა იცის, მათ შორის მუსიკალურ წრეებში... ინგლისში, ამ რამდენიმე წლის წინ მსოფლიო ფოლკლორის ენციკლოპედია გამოიცა, სადაც ჩვენი ქართული ხალხური სიმღერის შედევრი, მწვერვალი ქართული სულისა „ჩაკრულო“ – სომხურ ხალხურ სიმღერად არის დაფიქსირებული! მაშინ გაზეთ „ალიაში“ ვმუშაობდი, ჰოდა, როგორც კი ეს ამბავი ერთ-ერთმა ემიგრანტმა ქალბატონმა შემატყობინა, მაშინვე დავურეკე ანზორ ერქომაიშვილს და ვკითხე – ჩვენ, ქართველებმა, ამის საპირისპირო რა ზომებს უნდა მივმართოთ-მეთქი? ერქომაიშვილმა მიპასუხა, – რომ ჩასწორდეს, ხელადალი დაბეჭდვაა საჭირო და ეს ძალიან დიდ თანხებთან იქნება დაკავშირებულიო! მე თუ მკითხავთ, მაშინ რომ გამოთქმულიყო ხმამაღალი პროტესტი, რომ მოეწვიათ უცხოური მედია-საშუალებები, ფაქტის კონსტატირებისთვის ცოტაოდენი ფულიც დაეხარჯათ და ა. შ. საქმე სულ სხვაგვარად წარი-

კი არადა, თუნდაც მინიშნებით შეახსენოს მეზობელი ქვეყნის კილტურის სამინისტრის ის, რომ ეს ყველაფერი ჩვენია!

– მაშ, რა გზას უნდა დაადგეს ქართველობა, რომელიც უკვე აღშფოთებას ვერ მალავს ამ ყველაფრის გამო? იქნებ საპროტესტო აქციები ანდა პეტიციაა გამოსავალი იმისთვის, რომ ხელისუფლებამ ამ და სხვა ფაქტებზეც რეაგირება მოახდინოს?

– იცით? მე ვფიქრობ, რომ პეტიციაზე ხელმოწერებით დადასტურებული ტექსტი აუცილებლად უნდა მივიტანოთ ხელისუფლებამდე და თუ არც მაშინ ექნებათ რეაქცია... რჩება ერთადერთი გზა – აქციები და ნუ ჰგონია ნურავის, რომ აქციებზე ხალხი მხოლოდ საკუთარი გაჭირვების გამო გამოდის! არა, ბატონებო!!! ეს ასე ნამ-

ტურა არის ჩვენი ერის სახე, ჩვენი სავიზიტო ბარათი და ჯერჯერობით სხვა არც არაფერი გვაქვს სატრაბახო, ჰოდა, ამასაც თუ არ დავიცავთ – რაღა ერი ვართ მაშინ?!

– მოდით, ისიც ვთქვათ, პროფესიონალების ჩამოცილება როგორ დაეტყო ქვეყნის კულტურულ დონეს, არა? ან რა კონცერტებია, ან რა მდარე მუსიკალურ თუ მხატვრულ ნაწარმოებებს გვასაღებენ „შედევრებად“ და ა.შ., ხომ? სადღაც გაქრა,სახლის ფანჯრიდან ბავშვების მეცადინეობის ხმები რომ გამოდიოდა ზოგი ვიოლინოზე, ზოგი ფორტეპიანოზე და ფლეიტასა თუ საყვირზე უკრავდნენ... დაიხურა მუსიკალური სკოლები, განადგურდა მუსიკალური სასწავლებლები, გუნდები, ორკესტრები და რა მივიღეთ? მივიღეთ, ალბათ, ის, რის გამოსწორებასაც დიდი დრო დასჭირდება... არ მეთანხმებით?

– რათქმაუნდა, გეთანხმებით... ეჰ, თქვენ ხომ იცით, რომ ხალხს ძალიან უჭირს და ამ გაჭირვების ჟამს იმას ჰყიდის, რაც კი რამ ძვირფასი აქვს სახლში? ჰოდა, პარადოქსია – საქართველოში, თითქმის ყველა ოჯახიდან, პირველი, რაც კი გააქვთ, ეს არის – პიანინო! დიახ, ის პიანინოები გააქვთ, თავის დროზე მის საშოვნელად არც ფულს და არც ენერგიას რომ არ ზოგავდნენ, ვის აღარ აწუხებდნენ, ოღონდაც ჰქონოდათ და მათ შვილებს სულ მცირე, მუსიკალური შვიდწლედი მაინც რომ დაემთავრებინათ! ანუ, ჩვენში, ამ მუსიკალურად ნიჭიერ ერში, მუსიკალურმა ინსტრუმენტმა – დაკარგა თავისი ფუნქცია და გახდა არასაჭირო ნივთი, გამიგეთ?! ეს ხომ ერის უბედურებაა ხალხო, ერის დეგრადირების ნიშანი და ჩვენ თვითონვე თუ არ გამოვასწორეთ ეს ყოველივე, ვინ იზამს ამას ჩვენს მაგივრად?!

– თამრიკო! როდესაც „ფეისბუკზე“ ერთი ამბავი იყო ატეხილი სომხების მხრიდან ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის მითვისების განო, თქვენ ასეთი რამ დაწერეთ – უნდა ვიბრძოლოთ ამ ყველაფრის წინააღმდეგ, ჩვენს თბილისელ სომხებთან ერთადო და გჯერა, რომ ისინი მართლაც დადგებიან ჩვენს გვერდით და ჩვენსავით გააპროტესტებენ ამ უმსგავსობასა და პლაგიატობას?

– რათქმაუნდა, მჯერა, რომ გვერდით დაგვიდგებიან იმიტომ, რომ თბილისში დაბადებული და გახრდილი სომხები ბევრ ვაი-ქართველზე სინდისიერები არიან და სხვათაშორის, ასევე ბევრ ვაი-ქართველზე კარგად იციან და პატივსც სცემენ ქართულ კულტურას“. მე ვიცნობ ასეთ ადამიანებს და ზუსტად ვიცი, რომ ჩვენს სამართლიან პროტესტს ისინი ნამდვილად შეუერთდებიან!!!

– გისმინოთ ღმერთმა, ოღონდაც სომხეთში და სხვა ქვეყანაში მცხოვრები სომხები, ამ ჩვენს სომხებს, „შურტვაცებს“, ანუ გადაბრუნებულ-გადაგვარებულ სომხებს ეძახიან და მე ისიც კი მახსოვს – სპიტაკში მიწისძვრის შემდეგ ამათი ჩაბარებული სისხლიც კი რომ არ მიიღეს! ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები და დავაკვირდეთ, კიდევ რამდენ ხანს დაიბრმავებს თვალებს, ამოიქოლავს ყურებსა და პირს – კულტურის სამინისტრო, კონსერვატორიის ფოლკლორის კათედრა და ფოლკლორის ცენტრი! დიდი მადლობა ინტერვიუსთვის და მომავალ შეხვედრამდე...

ირინე გოგოსაშვილი
555 25 43 35

გზა ჯოჯოხეთისკენ დემოკრატიის სახელით

დიდი ხანი არ არის, რაც „იუთუბი“-ზე დოკუმენტური ფილმი გამოჩნდა, უფრო სწორად, ჰანოვერის ტელევიზიის სპეციალური გამოშვება, სახელწოდებით „დემოკრატიზებულნი“ რომელიც მსოფლიოში აღმოცენებულ ახალ ომებს ეძღვნება.

ცხადია, არ შეიძლება ვიფარაუდოთ, რომ ამ სიუჟეტში გატარებული აზრი გერმანიის ხელისუფლების პოზიციაა, მაგრამ გერმანიის ერთ-ერთი სტრატეგიული ქალაქის ჰანოვერის ტელევიზიის პოზიცია, ჩემი აზრით, არ შეიძლება რადიკალურად განსხვავდებოდეს გერმანიის საზოგადოებრივი აზრისგან...

უკანასკნელ წლებში მრავალი სისხლისმღვრელი ომის და უმოწყალო სამხედრო ოპერაციების მომსწრენი გავხდით. ოპერაციებს წითელ ხაზად გასდევდა მიზანი – „დიქტატურისგან გათავისუფლება“, ან ხელისუფლების არადემოკრატიული და ერთპიროვნული მმართველობა, რომელიც უნდა შეცვლილიყო ხალხის მმართველობით ხალხისვე საკეთილდღეოდ.

აი, ასე, დემოკრატიისა და თავისუფლების სახელით იწყებოდა ომები და ინგრეოდა ქვეყნები. მაგრამ თუ ეს რევოლუციები და ომები ხალხის საკეთილდღეოდ ხდებოდა, ცხოვრების პირობები ომების და გადატრიალებების შემდეგ, წესით, იმაზე უკეთესი უნდა ყოფილიყო, რაც ომამდე იყო, ანუ ადამიანთა ცხოვრება უნდა გაუმჯობესებულიყო ომამდელ პერიოდთან შედარებით.

თუ რადიკალურ და მკვეთრ პარალელებს გავავლებთ, მივხვდებით, რომ იქნებ, ჯობს კიდევაც, საქართველო სიღარიბეში რომ იღრჩობა...

სამხედრო გადატრიალება ლიბიაში 2011 წელს

ომამდელი ლიბია – კადაფის მმართველობა

ომამდე: ყველაზე დიდი შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე აფრიკის კონტინენტზე ლიბიაში იყო.

ნავთობის გაყიდვიდან შემოსული მოგება ნაწილდებოდა ლიბიის მოქალაქეების ანგარიშებზე. ქვეყანაში იყო ძალიან მცირე საჯარიმო გადასახადები. ჰქონოდათ საცხოვრებელი ადგილი ან სახლი, ლიბიაში ადამიანის უფლებად ითვლებოდა. ახალდაქორწინებულები სახელმწიფოსგან საჩუქრად 45 000 ევროს იღებდნენ. ელექტროენერგია, სამედიცინო მომსახურება და განათლება უფასო იყო.

მუამარ კადაფის მმართველობამდე ლიბიის მოსახლეობის 25%-მა იცოდა წერა-კითხვა, მისი მმართველობის პერიოდში წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი 83%-მდე გაიზარდა.

1970 წლიდან კადაფიმ ლიბიელ ქალებს სრული ემანსიპაციის საშუალება მისცა. მოიხსნა აკრძალვები ჩაცმულობაზე. ყველა ქალს მიეცა უფლება მიეღო სასურველი განათლება. ლიბიაში გაჩნდნენ ქალი-ადვოკატები, ექიმები, ბიზნესმენები, მინისტრები.

კადაფი გეგმავდა შეექმნა ბანკი, რომლის შემოსავლები გამყარებული იქნებოდა ოქროთი. ამით ლიბია აპირებდა მთელი აფრიკა თავისუფალი ყოფილიყო მსოფლიო ფინანსური ელიტისა და იმპერიალისტებისგან, რომლებიც აკონტროლებდნენ ღარიბ ქვეყნებს და მათ საკუთრებებს.

კადაფი აპირებდა განეხორციელებინა ყველაზე დიდი პროექტი – მილსადენით გაეტარებინა სასმელი წყალი საჰარის უდაბნოს გავლით. პროექტის სიმბოლური სახელწოდება „დიდი ხელოვნური მდინარე“ ითვალისწინებდა მოსახლეობის უკეთ უზრუნველყოფას წყლით და სოფლის მეურნეობის განვითარებას.

ლიბია იყო დამოუკიდებელი და აყვავებული ქვეყანა.

კადაფი ეხმარებოდა აფრიკული ქვეყნებიდან წამოსულ უსახლკაროებს. მათ მისაღებად კადაფიმ გამოიყენა ევროპული სტანდარტები, ჩარჩოებში მოექცია და არ მომხდარიყო ამ ტალღის ევროპისკენ მიმართულების მიცემა.

კადაფის უმოწყალო მკვლელობის შემდეგ

7 თვის განმავლობაში ლიბია ნატოს ჯარებისგან იბომბებოდა. 50 000 მშვიდობიანი ლიბიელი შეეწირა ამ ომს.

ქვეყნის ეკონომიკური ინფრასტრუქტურა დაინგრა. წყალგაყვანილობები დაიბომბა.

„მთავარი კვლევების“ ცენტრის ცნობით, ამ ომით კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა სასმელი წყლით მომარაგების საკითხი სრულიად ლიბიაში.

ლიბიის ფულადი რეზერვები, რომლებიც 150 მლრდ-ს შეადგენდა, მსოფლიოს მასშტაბით გაყინულია და, სავარაუდოდ, დაკარგულად მიიჩნევა.

2014 წლიდან ლიბიაში სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი მიმდინარეობს.

კადაფის სიკვდილის შემდეგ ლიბია სამოთხე გახდა ბანდფორმირებებისთვის. ისინი ლიბიის გავლით დევნილებს ატარებენ ევროპისკენ.

ერაყის პირველი ომი 1990–91 წლები

ომამდე: 1972 წელს ერაყმა ნაციონალური კონტროლი მოიპოვა საკუთარ ნავთობის საბადოებებზე, რომელსაც მანამდე ინტერნაციონალური ფირმები აკონტროლებდნენ. ეკონომიკა აყვავდა, რის გამოც მოგება ნახა თვით ერაყის მოსახლეობამ.

1979 წელს ერაყს ჰქონდა 35 მილიარდი დოლარი ფულადი რეზერვი და რეალურად იდგა ინდუსტრიალიზაციის ზღურბლთან.

სადამ ჰუსეინი აქტიურად აწარმოებდა ეკონომიკის მოდერნიზაციას, მრეწველობის, სახელმწიფო მმართველობის, პოლიციის, სოფლის მეურნეობის, სახალხო განათლების რეფორმირებას.

1990 წელს ერაყელი გოგონების 90%-ს განათლება ჰქონდა მიღებული.

ნავთობის გაყიდვით შემოსული შემოსავლებიდან აშენდა დიდი სამედიცინო მომსახურების დაწესებულება, რომელიც 1990 წლის დასაწყისამდე არაბულ სამყაროში საუკეთესოდ ითვლებოდა.

ერაყი იყო განვითარებადი ქვეყანა.

მას შემდეგ, რაც სადამ ჰუსეინმა ხელში ჩაიგდო ქუვეითი, ერაყის არმია სრულად იქნა განადგურებული სამხედრო კოალიციის მიერ, რომელსაც აშშ-ი ხელმძღვანელობდა.

ომის გასამართლებლად გამოაქვეყნეს ე. წ. „ნაირას ხილვები“, სადაც ვითომდა ერაყელთა მხეცობა იყო ასახული.

საბოლოო ჯამში, ომს 120 000 ერაყელი ჯარისკაცი შეეწირა. 19991 წლიდან 1,5 მილიონი ერაყელი გარდაიცვალა, მათ შორის – 550 000 ხუთ წლამდე ბავშვი იყო. სიტუაციას ართულებდა სანქციები, რომლებიც ერაყის წინააღმდეგ ხორციელდებოდა.

1990 წლიდან 2003 წლამდე აშშ-მა აკრძალა წყალსაქაჩი და

წყლის დამქლორავი მოწყობილობების შეზიდვა ქვეყანაში.

ერაყის მეორე ომი მესამე ომი სპარსეთის ყურეში 2003 წელი

როგორც ამბობენ, **სადამ ჰუსეინი** ფლობდა მასობრივი განადგურების იარაღს. ალ-ყაიდასა და აშშ-ის ჯარების ურთიერთთანამშრომლობით, 2003 წლის 20 მარტს, აშშ-ი მოკავშირეებთან ერთად ერაყში შევიდა.

ეს ნაბიჯი გაამართლა კიდეც შემდეგ აშშ-ის სენატის დაზვერვამ და თვით სენატმაც.

2006 წელს 600 000 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა. სამკვირიანი საომარი მოქმედებების შემდეგ 2003 წელს აშშ-მა 1 000-დან 2 000-მდე ურანის შემცველი საომარი საშუალებები გამოიყენა.

ქალაქ ელ ხალუჯაში, რომელიც ბაღდადიდან 70 კმ-ში მდებარეობს, რადიაქტიული მოწამვლა 10-ჯერ მეტი იყო ხიროსიმას ბომბისგან განსხვავებით. დღემდე იბადებიან საშინლად დამახინჯებული ჩვილები – უთავოდ, ან ორი თავით, ჩამოუყალიბებელი კიდურებით...

2011 წელს ერაყი უკვე სამოქალაქო ომის ზღვარზე იდგა.

ომი სირიაში 2011 წელს

ომამდე: სირიის ცენტრალური ბანკი სახელწიფოს საკუთრება იყო და არ ჰქონდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვალები.

სირიის პრეზიდენტი **ბაშარ ალ ასადი** დემოკრატიულ სახელმწიფოს ედგა სათავეში.

2007 წლამდე სირია იყო ისეთი მდიდარი და გავითარებული ქვეყანა, რომ შეეძლო მიეღო 2 მლნ. ერაყელი უსახლკარო დევნილი.

ჯანდაცვის სისტემა უფასოდ მუშაობდა მოსახლეობისთვის. გენმოდიფიცირებული თესლის შემოტანა ქვეყანაში იკრძალებოდა, რათა დაეცვათ მოსახლეობა ჯანმრთელობის დაზიანებისგან.

რადგან სირია ფლობს ნავთობისა და გაზის მარაგს და ირანთან ერთად აპირებდა აეშენებინა ნავთობის მაგისტრალური სადენი, ყოველივე ამის განხორციელებას დასავლელი ნავთობის გიგანტების გარეშე აპირებდა.

სირიის მოსახლეობამ კარგად იცოდა, რას ნიშნავდა მომავალი მსოფლიო წესრიგი. უნივერსიტეტებში მიმდინარეობდა დებატები გლობალური მმართველი ელიტის შესახებ.

სირია იცავდა საკუთარ კულტურულ ნაციონალურ და პოლიტიკურ იდენტიფიკაციას.

2011 წლის ე. წ. „არაბულ გაზაფხულზე“ დაიწყო კონფლიქტი სირიის მმართველ ბაშარ ალ ასადსა და ე. წ. „ოპოზიციურ ჯგუფებს“ შორის. მალე ქვეყანაში შევიდა მძიმედ შეიარაღებული დაჯგუფებები და დაიწყეს სამოქალაქო ომის პროვოცირება ბაშარ ასადის წინააღმდეგ.

„გაეროს ბოლო მონაცემებით დაღუპულია 250 000 ადამიანი. ეს არ არის გადასიდუმლოებული ინფორმაცია. გარდაცვლილთა უმრავლესობა მშვიდობიანი მოსახლეობაა. 3,8 მილიონი სირიელი დღემდე ეძებს თავშესაფარს უცხოეთის ქვეყნებში. ქვეყნის შემოსავლების წყაროები დაკეტილია დასავლური სანქციების გამო. საწვავის, ნავთობის და ტექნიკის ექსპორტი აკრძალულია. ისეთი საქონლის ექსპორტი, როგორიც არის ხორბალი, ძლიერ შემცირდა, არაა საკმარისი პური საკვებად. სხვა პროდუქტები მრავალჯერ არის გაძვირებული ომამდელ ფასებთან შედარებით“, – ამბობს პროფესორ იოშუა ლანდისი, რომელიც ოკლაჰომას უნივერსიტეტის პროფესორი გახლავთ. ის ამტკიცებს, რომ ეს არის აშშ-ის სტრატეგია, რომ ბოლომდე დაასუსტოს სირია და კაპიტულაციამდე მიიყვანოს იგი.

ამტკიცებენ, რომ სირია იყენებს ქიმიურ იარაღს, რის გამო აშშ-ი და ნატო ჩაერთო ამ ომში, თუმცა ასადის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენება არ დადასტურებულა. მეტიც, მან გაანადგურა ქიმიური იარაღები ამ ომის დროს.

ომი უკრაინაში 2014 წელი

ომამდე უკრაინა უღრუბლო ქვეყანა იყო დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ნატოში ინტეგრაცია არ იგეგმებოდა. ხარკოვის შეთანხმების პასუხად, რომელიც 2010 წლის აპრილში შედგა, გათვალისწინებული იყო რუსეთის შავიზღვის-პირეთის ფლოტის ყირიმში განთავსება მინიმუმ 2042 წლამდე. უკრაინა ღებულობდა რუსულ გაზს შეღავათიან ფასებში.

ზბიგნევ ბჟეზინსკი, ჯიმი კარტერის ყოფილი მრჩეველი ნაციონალური უშიშროების საკითხებში, უკრაინას „მსოფლიო კუნძულის გულს“ უწოდებს და ამბობს, ვინც ფლობს უკრაინას, ის მართავს მსოფლიო კუნძულს და, თავისთავად, მსოფლიოსაც.

ომის შემდეგ, 2014 წლის 22 თებერვლის მერე უკრაინის კონსტიტუციური წესით არჩეული პრეზიდენტის **ვიქტორ იანუკოვიჩის** წინააღმდეგ ახალმა ხელისუფლებამ გაგზავნა ჯარები დონეცკისა და ლუგანსკის მიმართულებით. ისინი არ აღიარებდნენ ხელისუფლების ცვლილებას. დონეცკი და ლუგანსკი თავს დამოუკიდებელ სახალხო რესპუბლიკებად აცხადებდნენ.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის **ვიქტორია ნულანდის** სატელეფონო საუბრებიდან შემთხვევით გახდა ცნობილი, რომ აშშ-მა 5 მლრდ დოლარი ჩადო, რომ უკრაინის ხელისუფლებაში ახალი მმართველი მოსულიყო, რომელსაც აშშ-ი გააკონტროლებდა.

ბოლო მონაცემებით, უკრაინაში მოკლულია 6 000 ადამიანი. ეს მხოლოდ ოფიციალური ცნობით. საბოლოო ჯამში, დაჭრილია 15 000 უკრაინის მოქალაქე, 3 მლნ. ადამიანი გაქცეულია საკუთარი საცხოვრებელი სახლებიდან.

გაეროს მონაცემებით, რომელიც დევნილების თემაზე ინფორმაციას ავრცელებს, 15 000 ადამიანმა თავშესაფარი რუსეთში ჰპოვა. დასავლეთ უკრაინაში დღემდე მიმდინარეობს ინტენსიური სროლები, ბომბავენ საცხოვრებელ სახლებს. ტექნიკური ინფრასტრუქტურა მოშლილია, ზოგიერთ ქალაქს რამდენიმე საათით მიეწოდება წყალი, ხოლო ელექტროენერგია ამ ქალაქებში საერთოდ არ არის. იანუკოვიჩის წასვლის შემდეგ დაეცა ცხოვრების დონე უკრაინაში. მოსახლეობის 80% სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. იანუკოვიჩის მმართველობისას პენსიის მინიმალური რაოდენობა თვეში 120 ევრო იყო, ახლა 40 ევროა, მინიმალური ხელფასი 90 ევრო იყო თვეში, ახლა ხელფასი 50 ევროს შეადგენს. დღეისათვის გამომუშავების საშუალო თანხა თვეში 120 ევროა. 2010-13 წლებში ინფლაციამ 3,5%-ს მიაღწია, 2015-ში კი უკვე 40%-ს. ბოლო ორი წლის განმავლობაში სატრანსპორტო საშუალებები 90%, საწვავი – 200%, კვების პროდუქტები ასტრონომიულ ფასებს მიუახლოვდა. მაგალითად, პურის, ბურღულეულის, ხორცის, რძის ფასები 40-50%-ით გაიზარდა, ელექტროენერგიისა და გაზის ფასი კი 110%-ით. ფასები ყოველ 6 თვეში იცვლება. იზრდება უცხოური კომპანიების გავლენები უკრაინის აგრარულ სექტორში, ბიოტექნოლოგიური კომპანიები – „მონსანტო“, „კარგილი“ და „დიუ პონი“ აქტიურად იკიდებენ იქ ფეხს. უკრაინის პარლამენტი იატაკქვეშეთში იმყოფება და მას აშშ-ი აკონტროლებს. №2953 კანონპროექტის მიხედვით, 2016 წლის მაისში დასავლეთს განზრახული აქვს უკრაინაში ბირთვული იარაღი განათავსოს. აშშ-ის ხელმძღვანელობა მზადაა გარისკოს და დაიწყოს ომი ევროპაში, რათა შეინარჩუნოს ძალაუფლება ამ არეულობაში.

ამ ფაქტების გათვალისწინებით, შეიძლება მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება: ომი არ შეიძლება იყოს დემოკრატიისა და თავისუფლების მოპოვების საშუალება. მათ გარდა სხვა სამხედრო დაპირისპირებები, ისეთი, როგორიც იყო, მაგალითად, იუგოსლავიის ომი, ავღანეთის, სომალის სამოქალაქო ომი, იემენში ომის პროვოცირება 2015 წელს, ამ ქვეყნებს მხოლოდ უბედურება მოუტანა. ე. წ. დემოკრატიზაციამ და ხელისუფლების ცვლილებებმა, როგორც მოხდა ყოფილ მშვიდობიან იუგოსლავიაში, სლოვაკეთში, საქართველოსა და „არაბული გაზაფხულის“ ქვეყნებში, იყო დიდი უბედურება.

ასე მთავრდება ვრცელი სატელევიზიო სიუჟეტი, რომელიც, მგონი, მართლა ღირს დაფიქრებად...

მოამზადა
ირანდა კალანდაძემ
593 561 118

„ვერცხლისფერი მელა“ თუ „ზღარბი“?

ედუარდ შევარდნაძე და მე თითქმის თანატოლები ვიყავით: ის იანვარში დაიბადა, მე აპრილში – ერთსა და იმავე წელს – 1928-ში. ჩვენი გზები ხშირად იკვეთებოდა, ხანდახან – ეჯახებოდა კიდეც. ჩვენი კლანები ერთმანეთს მტრობდნენ. ჩემი უმცროსი ძმა დევი, საქართველოს ცეკას მდივანი აგიტაცია-პროპაგანდის დარგში, და ედუარდ შევარდნაძე ძირითადი კონკურენტები იყვნენ მთავარი ქართული ტახტისთვის ბრძოლაში, ტახტისთვის, რომელიც მჟავანაძისთვის უკვე ირყეოდა. საბედნიეროდ, ამ ბრძოლაში შევარდნაძემ გაიმარჯვა. რატომ საბედნიეროდ? იმიტომ, რომ ქართული ტახტი დაწყევლილია – გავიხსენოთ თუნდაც მჟავანაძე, ზვიად გამსახურდია, მიხეილ სააკაშვილი და... შევარდნაძე. ბერიაზე აღარაფერს ვამბობ.

ამჯერად რამდენიმე ეპიზოდს გიამბობთ შევარდნაძის ცხოვრებიდან, რასაც მართლაც რომ ხელის გაწვდენაზე ვაკვირდებოდი...

იმ წელს ისევ აბობოქრდა აფხაზეთი. ამბოხის საბაბი გახდა აფხაზური ენის სტატუსი, რომელსაც მოსკოვი კატეგორიულად არ აღიარებდა – პრეცედენტის ჯაჭვური რეაქცია აშინებდა. და აი, საკურორტო ქალაქის, გაგრის ფეხბურთის სტადიონზე გაიმართა სრულიად აფხაზთა შეკრება. იმ დღეებში გაგრის პლაჟზე ვირუჯებოდი – ვსარგებლობდი დასვენების უცილობელი უფლებით, რასაც კონსტიტუცია მანიჭებდა. მაგრამ როგორც კი აფხაზური ამბები დაიწყო, დამსვენებლის გარუჯულ სხეულში კვლავ ჟურნალისტმა გაიღვიძა. და მიმდინარე ამბებში თავით გადავეშვი.

უშიშროების ორგანოები შევარდნაძეს ურჩევდნენ გაავებული ბრბოს ხახაში თავი არ ჩაეგდო, და შეკრებაზე წასვლის ნაცვლად აფხაზთა წარმომადგენლებს გაგრის რომელიმე სამთავრობო სანატორიუმში შეხვედროდა. შევარდნაძემ უკუაგდო ეს რჩევა. მაშინ ორგანოებმა შესთავაზეს, სტადიონზე ჩეკისტების თანხლებით წასულიყო. მაგრამ შევარდნაძემ ეს წინადადებაც უარყო. ბოლოს, თავისი გაიტანა – გადაწყვიტა, სტადიონზე თან ხლებოდა ერთი მცველი, და კიდევ მე – ალბათ, როგორც მემატიანე.

ჩვენი სამეული გავიდა მინდორზე და უამრავი მოწინააღმდეგის პირისპირ აღმოჩნდა. ხალხმა მაშინვე ალყაში მოგვაქცია. წინა რიგებში იყვნენ შავოსანი მოხუცი ქალები, ჯერ კიდევ ბერიას დროს დახოცილი თავიანთი შვილების პორტრეტებით, და ბერიკაცები ჩოხებში. მრისხანედ ედოთ ხელები ხანჯლებზე. ქალები მოთქვამდნენ და ხელისუფლებას წყევლიდნენ, და ამ ხელოვნებით არაფრით ჩამოუვარდებოდნენ მათს შორეულ წინაპარს – კოლხ მედეას.

შევარდნაძეს ფეხდაფეხ მივყვებოდი და თვალს არ ვაშორებდი. სახეზე ერთი კუნთიც არ შერხევია. ისე იქცეოდა, თითქოს ფანატიკოსთა გავეშებულ ბრბოს კი არა, ლხენით გალაღებულ ფანატიკოს-თაყვანისმცემლებს ჰყავდათ ალყაში მოქცეული. ხანშიშესულ ქალებს ხელებს უკოცნიდა, კაცებს მხარზე ეამბორებოდა. აღარ მახსოვს, რას ეუბნებოდა. მხოლოდ ის მახსენდება, რომ ელაპარაკებოდა მგზნებარედ და შეუჩერებლად. თავიდან მტრული შეძახილები ისმოდა, შემდეგ ბრბო ჩაწყნარდა, სმენად იქცა. ამას მოჰყვა მოწონების შეძახილები. საქმე მოგვარებულია – მატჩი მოგებულია, ან ფრედ დასრულდა, რაც წარმატების ტოლფასი იყო.

შეეძლო ხალხის მართვა, რადგან არ ეშინოდა მისი და მით უმეტეს არ ეშინოდა, თვითონ რა მოუვიდოდა.

როცა ალყას თავი დავაღწიეთ და გასასვლელისკენ გავემართეთ, შევარდნაძე სახეზე ცხვირსახოცით ოფლს იწმენდდა და ღიმილით ამბობდა: ეჰ, ნეტავ ასე იოლად პოლიტბიუროს დარწმუნებაც შემეძლოსო...

როცა გორბაჩოვმა სმოლენსკის მოედანზე მდებარე საგარეო საქმეთა სამინისტროს ცათამბჯენის გასაღები შევარდნაძეს გადასცა, ამ ამბავმა საყოველთაო განცვიფრება გამოიწვია. კარიერის განმავლობაში – მილიციის ხელმძღვანელისა და პარტიული ბოსის ბიოგრაფიით – შევარდნაძე დიპლომატიასთან არასოდეს ასოცირდებოდა. არადა, ბუნებით ნამდვილი დიპლომატი იყო. არა იმდენად ა-ლია გრომიკო, არამედ – ა-ლია ტალეირანი. არ იცოდა არც ერთი უცხოური ენა, მაგრამ იყო ინტრიგების დიდოსტატი. არ იცნობდა დიპლომატიურ პროტოკოლს, მაგრამ იყო ქართული სუფრის ქურუმი. არ შეუსწავლია დიპლომატიის ისტორია, მაგრამ ხალხს თითქოს გამჭოლად ხედავდა. დიპლომატია სისხლში ჰქონდა გამჯდარი. ამიტომაც იყო, რომ იოლად დაეუფლა სმოლენსკის მოედნის ცათამბჯენს და მალევე გახდა მთავარი მოქმედი პირი საგარეოდიპლომატიური სპექტაკლისა, რომელიც მსოფლიო არენაზე თამაშდებოდა. მძიმეწონოსნებმა მაშინვე თავისიანად აღიარეს და „ვერცხლისფერ მელად“ მონათლეს. ბევრი ფიქრობდა, რომ ამის მიზეზი მისი ჭაღარა ქოჩორი იყო. არამარტო ეს. საქმე ის არის, რომ ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი ისაია ბერლინი ადამიანებს ჰყოფდა ზღარბებად და მელიებად. შევარდნაძე არასდროს იჩხვლიტებოდა. სასიამოვნო იყო მასთან საქმის დაჭერა. მელასავით თავაზიანი იყო, და როცა მასთან ურთიერთობის შემდეგ კმაყოფილი გამოდიოდი, ვერც კი ამჩნევდი, რამდენჯერ გიჩხვლიტა ამ ზღარბმა, „ვერცხლისფერ მელად“ შენიღბულმა.

სწორედ ამიტომ შევარდნაძის დიპლომატიური მეტაფორა ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. მანამდეც შესანიშნავად ვიცოდი, რომ ორსახოვანია, იანუსივით და მრავალხელიანია, როგორც შივა, რომ შეუძლია ერთდროულად ითამაშოს პოლიტიკის ბევრ საჭადრაკო დაფაზე, მოწინააღმდეგისკენ ზურგშექცეულმა. ეს არის ოსტატურად რამდენიმე დაფაზე ბრმად თამაშის ერთ-ერთი მაგალითი (ისე კი, ბრმად არასდროს არაფერს არ აკეთებდა. ბრმად მხოლოდ თავისი ცხოვრების მეგობარი ნანული უყვარდა, სხვათა შორის, „ხალხის მტრის“ ქალიშვილი).

ისევ შავი ზღვის სანაპირო, ოღონდ ამჯერად არა გაგრა, არამედ ბიჭვინთა. მე ისევ დასვენების კონსტიტუციური უფლებით ვსარგებლობდი. ერთხელ, ჩემს ნომერში შემორბის მწერალთა სახლის აღელვებული დირექტორი და მეუბნება, რომ მის კაბინეტში ტელეფონის ხაზზეა „ვიღაც შევარდნაძისგან“, რომელიც ჩემთან დალაპარაკებას ითხოვს! (იმ დროს შევარდნაძე ჯერ კიდევ საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი და საკავშირო ცეკას პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატია). რასაკვირველია, გავემართე დირექტორის კაბინეტისკენ და ყურმილი ავიღე. შევარდნაძის რომელიღაც თანაშემწე მეუბნება, რომ მალე მანქანას გამომიგზავნიან და უნდა მივიდე სამთავრობო აგარაკზე „მასთან“. რატომ? თანაშემწემ ამაზე საპასუხოდ დრო არ დაკარგა ან იქნებ თვითონაც არ იცოდა.

მანქანა მოვიდა, მე კი, უზომოდ აფორიაქებული, გავემგზავრე სამთავრობო აგარაკზე „მასთან“. შევარდნაძე გულღიად შემეგება. რამდენიმე საცერემონიო კითხვის შემდეგ, საქმეზე გადავიდა – როგორც გაირკვა, ამავე აგარაკზე დასასვენებლად ჩამოსული ყოფილა სკკპ ცეკას მდივანი აგიტაცია პროპაგანდის დარგში ლეონიდ ილიჩოვიც. შევარდნაძეს მოუვიდა ერთი შეხედვით მეტისმეტად უცნაური იდეა – საბჭოთა იდეოლოგიის მამამთავარი და ყველაზე ანტისაბჭოთა ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია ერთმანეთისთვის შეეხვედრებინა.



შევარდნაძე, რასაკვირველია, მეტისმეტად სარისკო ნაბიჯს დგამდა. გამსახურდიას სიძულვილი ყველაფერ საბჭოურის და მით უმეტეს რუსულის მიმართ ფიზიოლოგიურ ზიზღს უტოლდებოდა. პრინციპულად არ ლაპარაკობდა რუსულად, მიუხედავად იმისა, რომ ბრწყინვალედ იცოდა პუშკინის ენა, და ქუჩასა და თავშეყრის ადგილებში მხოლოდ და მხოლოდ ჩოხით და ვერცხლის ქამარ-ხანჯლით ჩნდებოდა. ამით გამოხატავდა ზიზღს წითლებისადმი, რომლებიც დარიალის ხეობის გავლით საქართველოში შეცვივდნენ.

შევარდნაძის მიზანი იყო, ილიჩოვისთვის ეჩვენებინა, რომ ეშმაკი არც ისე შავია, როგორადაც ხატავენ, და რომ ქართველი ინტელიგენცია „ეთაყვანება“ მოსკოვს. გამსახურდიაც კი. რომ შევარდნაძე ცდილობს ინტელიგენციის „აღზრდას სწორი მიმართულებით“ და განავარდების უფლებას არ აძლევს. შევარდნაძეს, რა თქმა უნდა, შეეძლო ნაკლებად ოდიოზური ვინმე შეერჩია, მაგრამ ვა-ბანკის თამაში გადაწყვიტა.

ჩემი უპირველესი ამოცანა იყო გამსახურდიას მომზადება ილიჩოვთან შესახვედრად (გამსახურდიას ბიჭვინთაში საკუთარი აგარაკი ჰქონდა). დიდი საბჭოთა მწერლისგან სულ მცირე ითხოვდნენ: სამთავრობო აგარაკზე „ევროპული კოსტიუმით“ მისვლას და ილიჩოვთან ტოლსტოის ენაზე ლაპარაკს. საამისოდ შევარდნაძემ მოიფიქრა გეგმა, რომლითაც უნდა მეხელმძღვანელა. ჩოხასთან დაკავშირებით – ბიჭვინთაში ცხელოდა და ბატონი კონსტანტინე უნდა დამერწმუნებინა, ჩაეცვა თეთრი შარვალი და სპორტული პერანგი, „როგორც ახალგაზრდობაში, როცა ბერლინის უნივერსიტეტში ნიცშეს შეისწავლიდა“ (შევარდნაძის სიტყვებია, რომლებსაც უკვე პირადად ჩემთვის დაამატა: „გაახსენებს მას, რომ თავი ევროპელად მიაჩნია“). რაც შეეხება რუსულ ენას – „უნდა შევახსენოთ მოსკოველ ბობოლას, რომ ქართველმა ინტელიგენციამ მოსკოველ პარტბიუროკრატიაზე უკეთესად იცის რუსული“.

შევარდნაძის ფსიქოლოგიურმა გათვლამ გაამართლა. დიდი ძალისხმევა არ დამჭირვებია, ქართული პროზის პატრიარქი სახელმწიფო აგარაკზე წასულიყო გერმანელი სტუდენტივით გამოწყობილი და ილიჩოვთან რუსულად ელაპარაკა, და შიგადაშიგ გერმანული, ფრანგული და ინგლისური სიტყვები გაერია. ლათინური ანდაზებიც კი – იცოდეთ, ჩვენ, ქართველები, ევრო-

პელები ვართ და სადღაც აზიაში არ ვცხოვრობთ.

შევარდნაძემ ზედმიწევნით გათვალა ყველაფერი, ჩემი თავის ჩათვლით. ერთი მხრივ, გამსახურდიასთან სიახლოვე მაკავშირებდა. პატარაობიდანვე მიცნობდა, რადგან ჩვენი ოჯახის მეგობარი იყო. მამაჩემზე ამბობდა ხოლმე: გიორგი ერთადერთი კომუნისტია, ვისთანაც ნარდის თამაში შეიძლებაო. ხშირად ვსტუმრობდით „კოლხურ კოშკში“, რომლის ბაღში ფარშავანგები და შვლები დასეირნობდნენ და სადაც ზვიადს ფეხბურთს ვეთამაშებოდი. მეორე მხრივ, ჩემი ვაჟი დაქორწინებული იყო ილიჩოვის ზემდგომი ბოსის, ყოვლისშემძლე სუსლოვის შვილიშვილზე.

სადილი დიდებულად წარიმართა. შევარდნაძის გეგმამ სრულად გაამართლა. ქართველ დისიდენტსა და საბჭოთა პარტბიუროკრატს პირდაპირ შეუყვარდათ ერთმანეთი, რასაც ხელი შეუწყო სამთავრობო მარნებში დავარგებულმა საუკეთესო ქართულმა ღვინომ. და, რასაკვირველია, შევარდნაძემ, რომელმაც, გამოცდილი მესაჭის მსგავსად, სუფრასთან საუბარი შესაფერის კალაპოტში წარმართა. იმისათვის, რომ სტუმრებისთვის თვალი ფხიზლად ედევნებინა, თამადად მე დამაყენა და ჩემი მაღალფარდოვანი სადღეგრძელოების თანხლებით თავისი საქმე გააკეთა.

როცა სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ, და ორნი დავრჩით, შევარდნაძემ ღიმილით თქვა:

– ცოტაც და, ბატონი კონსტანტინე კომუნისტივით ალაპარაკდებოდა, ილიჩოვი კი – დისიდენტივით.

არადა, ამბობდნენ, შევარდნაძე დიპლომატიური კარიერისთვის მზად არ იყოო, მით უმეტეს, ტოპ-დიპლომატობისთვისო.

ეს ამბავი კი 80-იან წლებში მოხდა, ახლა უკვე ჩავლილ XX საუკუნეში. შევარდნაძე უკვე მერამდენედ ჩამოფრინდა ვაშინგტონში პრეზიდენტ მამა-ბუშთან და სახელმწიფო მდივან ბეიკერთან მოსალაპარაკებლად, ისევე როგორც ოდესღაც – რეიგანთან და შულცთან. შევარდნაძე არ დაბინავებულა საბჭოთა საელჩოში, რომელიც თეთრი სახლიდან ორ ნაბიჯზეა, არამედ სასტუმრო „ოთხ სეზონში“. გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ რედაქციის პირდაპირ მდებარე ამ სასტუმროდან ამერიკელ პრეზიდენტთა რეზიდენციამდე სწრაფი ნაბიჯით სიარულს 30 წუთი მაინც სჭირდება.

სასტუმროს ჰოლში ვიცდიდი, როცა უზარმაზარი ლიფტიდან გამოჩნდნენ შევარდნაძე და მისი თანაშემწეები, მრჩევლები და ექსპერტები... დათქმულ დროზე ადრე – ედუარდ შევარდნაძეს თეთრ სახლამდე ფეხით მისვლა მოუნდომებია, რამაც შეაშფოთა უსაფრთხოების სამსახურები, როგორც საბჭოთა „ცხრიანები“, ისე ამერიკული „სიქრეთ სერვისი“. საბჭოთაალმებიანი და თანმხლები საპოლიციო მანქანები თუ მოტოციკლები გაეშურნენ თეთრი სახლის სადგომისკენ, „ცარიელები“.

სასტუმროდან შევარდნაძე პირველი გამოვიდა. მას უკან სტიქიურად, თუმც კი რანგების გათვალისწინებით, გამოჰყვნენ დიპლომატები. პოლიცია და სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი „სიქრეტ სერვისის“ აგენტები გზას უკვალავდნენ მათ, რომ შეფერხება არ ყოფილიყო არც ტროტუარზე და არც გადასასვლელებზე.

მოულოდნელად შევარდნაძემ მეტისმეტად აუჩქარა ნაბიჯს. დანარჩენები იძულებით გაეკიდნენ მას, „პატრონის“ შესაბამისი ტემპის დაცვით. მე ოდნავ გვერდით მივყვებოდი, როგორც სამხედრო სასულე ორკესტრს ადევნებული პატარა ბიჭი.

მიდიოდა დიდი ნაბიჯებით. „ვერცხლისფერ მელას“ პოტომაკის ქარი უწეწავდა თმას. მიაბიჯებდა მდუმარედ და ფიქრებში წასული წინ იყურებოდა.

რაზე ფიქრობდა იმ წუთებში, ახალი რომის – ამერიკის დედაქალაქის ქუჩაში მიმავალი? ჟურნალი „ნიუ ლიდერი“ წერდა, რომ ახალ დიპლომატიაში მისი ღვაწლი „რეიგანისა და გორბაჩოვის ღვაწლს უტოლდებაო“. ბეიკერი მართლაც რომ შეყვარებული იყო მასზე, „შევის“ ეძახდა და ხშირად მიუმღერებდა ხოლმე: «Georgia on my mind» – შტატ ჯორჯიას კი არა, საქართველოს გულისხმობდა.

იქნებ, სმოლენსკის მოედანზე მდებარე ცათამბჯენში თავის პირველ დღეს იხსენებდა? საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს მაშინ უთხრა: „რას წარმოვადგენ გრომიკოსთან – მსოფლიო პოლტიკის ამ ჯავშნოსანთან შედარებით? მე მხოლოდ მოტორიანი ნავი ვარ“. ახლა მიაბიჯებდა ვაშინგტონში, ახალი აზროვნების ძრავით ამუშავებული, ძრავით, რომელიც უსარგებლო და ბოლომდე დაჟანგებული ჯართის გროვაზე მოქცეულმა ჯავშნოსანმა დაკარგა. მიდიოდა ვაშინგტონის ქუჩებში და წინ უსწრებდა გამვლელებსა და დროს. და „პერესტროიკისა“ და „გლასნოსტის“ თავის უფროს თანამოძმესაც. ოდნავ მოგვიანებით გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსთან“ ინტერვიუში იტყვის: „როცა გორბაჩოვი ფიქრობდა იმაზე, როგორ გაეუმჯობესებინა სოციალიზმი, მე უკვე აღარ ვიყავი სოციალისტი“ (რამდენი წელი ვცდილობდი, გორბაჩოვს ეპასუხა ჩემს შეკითხვაზე: როდის მერე აღარ იყო კომუნისტი? პასუხი არ მიმიღია).

დასავლეთელ რეპორტიორებთან საუბრისას შევარდნაძემ თქვა: პიკასოსავით, მეც ბევრი პერიოდი მქონდაო.

მახსოვს შევარდნაძე ვნუკოვოს აეროპორტში, როცა მორიგი უცხოური ვოიაჟიდან დაბრუნებულ გორბაჩოვს ხვდებოდა. სწორედ იმ დღეს თბილისის ქუჩებში მესანგრეთა ნიჩბებით ქართველ ქალებს სახეს უსახიჩრებდნენ.

მახსოვს შევარდნაძის ბოლო დღე საქართველოს პარლამენტში, როცა მისი გამოზრდილი ბოკვერები უყვიროდნენ „გადადექი!“ და როცა „ვარდების რევოლუციამ“ ტალახი ესროლა მას.

...ედუარდ შევარდნაძე უყვარდათ გერმანელებს და სძულდა გენშტაბს – სამშობლოს გამყიდველად მიაჩნდათ. პატივს სცემდნენ ავღანელები, მაგრამ ეზიზღებოდათ პოლიტბიუროში ლიგაჩოვის მეთაურობით. ცხოვრობდა წარმოსახვით სამყაროში, სარკის იქით არსებულ სივრცეში, ოღონდ ჯადოსნურში კი არა, არამედ მრუდე სარკეების ატრაქციონში, ხანდახან იაფფასიან ბაზრობებზე რომ უჩვენებენ. მაგრამ პიკასოს მსგავსად, ჩავლილი ბევრი პერიოდის მიუხედავად, პიკასოდ რომ დარჩა, შევარდნაძეც, მისი მრავალჯერადი გარდასახვის მიუხედავად, შევარდნაძედ დარჩა. და იგი უნდა განვსაჯოთ ისეთი, როგორიც წარდგა ღვთის წინაშე იღლიაში ამოჩრილი კინოსურათით – თენგიზ აბულაძის „მონანიებით“.



მონანიებით, რომელიც ჯერ კიდევ არ ნიშნავს მიტევებას.

მელორ სტურუა,
მინეაპოლისი

მოამზადა
ელზა ნაბახტეველმა

რწმენის ფასი: რა კავშირია რელიგიასა და შემოსავალს შორის

გაგიკვირდებათ და მეცნიერულად დადასტურებულია, რომ რელიგიური რწმენა გავლენას ახდენს ადამიანის ფინანსურ მდგომარეობაზე, მაგალითად, მართლმადიდებლები და იუდეველები მეტს გამოიმუშავებენ და მათთან შედარებით „იეღოვას მოწმეებს“ – საშუალოზე დაბალი მაჩვენებელი აქვთ.

რა არის ამის მიზეზი?

მორწმუნე ადამიანისათვის ფულის ზედმეტად სიყვარული არ ითვლება საღვთო საქმედ. ყოველ შემთხვევაში, ასე გვასწავლის ბიბლია და ასე გვიქადაგებს მართლმადიდებლური ეკლესია. თუმცა, მეტწილად, რელგიური ადამიანები უფრო მდიდრები არიან, ვიდრე ადამიანები, რომლებიც არ ცხოვრობენ რელიგიურად.

საზოგადოებრი აზრის შემსწავლელი ამერიკული ცენტრის მიერ 2014 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მდიდარი ადამიანების რიცხვი სხვადასხვა რელიგიის მრევლს შორის განსხვავებულია, შესამჩნევად დაბალია მათი რიცხვი არარელიგიურ ადამიანებში, მათ შორის ათეისტებსა და აგნოსტიკოსებში (აგნოსტიკა - იდეალისტური მოძღვრება, რომლის მიხედვითაც შეუძლებელია ობიექტური სამყაროს შეცნობა. ა - უარყოფას ნიშნავს, გნოსოს - ცოდნას)

სოციოლოგებმა კვლევის დროს გამოიკითხეს, დაახლოებით, 35 000 სხვადასხვა რელიგიის აღმსარებელი ადამიანი. მათი საშუალო წლიური შემოსავალი შეადგენდა 30-31 ათას აშშ დოლარს. მდიდარი ადამიანების (წლიური შემოსავალი 100 ათასი და მეტი) ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სამი რელიგიის მრევლს შორის გადანაწილდა – იუდაიზმი (44%), ინდუიზმი (36%) და მართლმადიდებლური (29%). მდიდარი ადამიანების პროცენტული მაჩვენებელი 21 % იყო იმ ადამიანებს შორის, რომლებთაც არ სწამთ ღმერთი.

შედარებითი სიღარიბით (30 ათასზე ნაკლები შემოსავალი წელიწადში) ლიდერობენ აფროამერიკელი პროტესტანტები 53%, და „იეღოვას მოწმეები“ – 48%. შემდეგ მოდიან ბუდისტები, კალთოლიკები, ევანგელისტები, მუსულმანები და ბოლოს ათეისტები - 33%.

რატომ მოხვდა იუდაიზმი სიის თავში: იუდაიზმი არ კრძალავს, პირიქით, მიესალმება ბიზნეს და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას; იუდაიზმის სწავლის სისტემა მოითხოვს გონების მოქნილობას, არაორდინარულ აზრონებას და გადაწყვეტილების მიღების უნარს.

გარდა ამისა, თალმუდში (დიდი იუდეველი რაბინების მიერ შეკრებილი და შედგენილი მოძღვრების კრებული. ითვლება თორას ჭეშმარიტ განმარტებად) მოცემულია რჩევები იმის შესახებ, რომ დანაზოგი სამ თანაბარ ნაწილად უნდა გაიყოს: ერთი წილი აქციებში უნდა ჩაიდოს, მეორე – უძრავ ქონებაში და მესამე – ბიზნესში. პრაქტიკული იუდეველები ყოველთვის ცდილობენ ამ სტრატეგიას მიჰყვნენ.

მართლმადიდებლებიც არასოდეს ამტკიცებენ, რომ ფულის გამომუშავება – ეს აუცილებლად ცუდია. მართლმადიდებლს შეუძლია სრულიად ღირსეულად აწარმოოს ბიზნესი და იყოს წარმატებული.

ისლამის რელიიგის ერთ-ერთი განსაკუთრებული განსხვავება შემოსავალია: ისლამი არ იწონებს ფუფუნებას, ისე უნცა იცხოვრო რისი საშუალებაც გაგაჩნია, საკუთარ თავს ზედმეტის უფლება არ უნდა მისცე, არ არის საჭირო ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე ფიქრი. გარდა ამისა, მართლმადიდებლობისგან განსხვავებით, ისლამის რელიგიაში ღარიბების და მდირების სისტემა ნორმაა. ყოვლისშემძლემ განსხვავებული კეთილდღეობა დააწესა სხვადასხვა ადამიანებისათვის, მაგრამ აღსანიშნავია ასევე, რომ მდიდარ ადამიანს არ აქვს უფლება ბოროტად გამოიყენოს მისი შესაძლებლობები.

ვალების რაოდენობა

მორწმუნე ადამიანების მაღალი საკრედიტო რეიტინგი გააჩნიათ და მათ ნაკლების სესხი აქვთ, ვიდრე ათეისტებს - ეს დასკვნა ამერიკელ, სიეტლის წყნარი ოკეანის უნივერსიტეტის პროფესორს დანიელ ჰესს ეკუთვნის. მან კვლევის „რელიგიის გავლენა ფინანსური გადაწყვეტილების მიღებაში“ ფარგლებში ამერიკის სხვადასხვა შტატების ადგილობრივი მაცხოვრებლების რელიგიური დონე მათ ვალებთან მიმართებაში განიხილა. გამოიყენა რა გელაპის ინსტიტუტის კვლვევის შედეგები, რომლებითაც დადგენილი იყო, რომ ყველაზე მორწმუნე მოსახლეობა იუტას შტატის ერთ-ერთ მხარეში პროვო-ორემშია. იქაური მცხოვრებლების 77% თავს ძალიან რელიგიურად მიიჩნევს, ხოლო ყველაზე ნაკლებად რელიგიურები ვერმონტის შტატში - ბერლიგტონის მოსახლეობა გახლავთ, მათი მხოლოდ 19%-ია რელიგიური. ბიუროს მონიტორინგის თემაა – როგორ იხდიან მოვალეები კრედიტებს) მონაცემები და გაირკვა, რომ რეგიონებში, სადაც მეტწილად რელიგიური მოსახლეობა ცხოვრობს, გადახდისუნარიანობა გაცილებით მაღალია. თუ შევადარებთ ყველაზე მორწმუნე რეგიონს (იუტაში) და ყველაზე „არამორწმუნე“ რეგიონს (ვერმონტში) მათ მცხოვრებლებს შორის საშუალო საკრედიტო რეიტინგი განსხვავდება 105 ქულით, ანუ 15%-ით.

დანაზოგი, ანაბრები

მორწმუნე ადამიანები უფრო ხშირად ხსნიან ანაბრის ანგარიშს, ვიდრე არარელიგიური ადამიანები – ეს დასკვნა გერმანიის ლიონებურგის ინსტიტუტებს მკვლევარებს ეკუთვნით, მათი კვლევის მიხედვით, ამ მხრივ, პირველი ადგილი ეკუთვნით კათოლიკებს და მართლმადიდებლებს, შემდეგ მოდიან პროტესტანტები, რომლებიც ბევრად უსწრებენ თავის მხრივ ათეისტებისა და აგნოსტიკოსების მაჩვენებლებს.

მუსულმანი კი პირიქით – 2%-ით ნაკლებია არარელიგიურ ადამიანთა შედარებით, იმის შანსი რომ მუსულმანმა ანაბარი გახსნას.

რისკისადმი მიდრეკილება იგივე გერმანელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ მორწმუნე ადამიანები ნაკლებად რისკავენ, ვიდრე ათეისტები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ გასხვავება ათეისტებს, პროტესტანტებსა და კათოლიკებს შორის თითქმის უმნიშვნელოა. ხოლო მუსულმანები ორჯერ უფრო ნაკლებად სწევენ რისკს და ეს არ ეხება ფინანსებს, ზოგადად სხვადასხვა საკითხში ისინი ნაკლებად იღებენ რისკის შემცვლელ გადაწყვეტილებებს.

რაც შეეხება ფინანსურ რისკს - აქ სურათი გარკვეულწილად იცვლება. ქრისტიანები ფინანსურ რისკებთან მიმართებაში ისევე იქცევიან, როგორც ათეისტები და უფრო მეტიც, ისინი ინვესტიციასთავის მათზე უფრო ხშირად იყენებენ სარისკო ფასიან ქაღალდებს.

მუსულმანები რისკებს ყოველთვის გაურბიან, გამონაკლისი არც ფინანსური საკითხებია.ათეისტთან შედარებით 20%-ით ნაკლების შანსია იმისა რომ მუსულმანთა აქციები შეისყიდოს.

გერმანული კვლევის შედეგი კიდევ უფრო ამყარებს მოსაზრებას, რომ რელიგია მოქმედებს ფინანსურ ქცევებზე. რადგან რაც უფრო ნაკლებია რისკი, მით უფრო ნაკლებია შემოსავალი.

სუფთა ფული

რელიგიურ პრინციპებზე დაყრდნობით ინვესტირებისათვის სულაც არ არის აუცილებელი ღმერთის გწამდეს. მთელ მსოფლიოში 300–მდე ფონდია, რომელიც ფულს დებს სხვადასხვა რელიგიური კონცეფციის ხელმძღვანელობით და მათი უმრავლესობა არც ერთ რელიგიურ მიმდევრობას არ მიეკუთვნება. ისინი არასოდეს იყიდიან იმ კომპანიის აქციებს, რომელიც ყიდის იარაღას, თამბაქოს, ალკოჰოლს და არასოდეს ჩადებენ ფულს კაზინოებსა და ტოტალიზატორებში.

ქრისტიანული ფონდები არ იყიდიან იმ კომპანიების აქციებს, რომლებიც უშვებენ კონტრაცეპტრივებს ან პოპულაციას უწევენ აბორტს. სხვადასხვა ფონდებს სხვადასხვა პირობები აქვთ, მაგალითად, არც ერთი ბრიტანული ფონდი არ ჩადებს ინვესტიციას იმ კომპანიაში, რომელიც არღვევს შრომის საერთაშორისო კოდექსს.

მუსულმანები არ ჩადებენ ფულს იმ ორგანიზაციებში, რომლებიც აწარმოებენ ღორის ხორცის პროდუქტს, ასევე გასართობ ინდუსტრიაში, რომელშიც აზარტული თამაშების გარდა კინო და მუსიკაც მოიაზრება. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მხარეს (ქრისტინალული და მუსლიმანური ფონდები) თავისი მკაცრი შეზღუდვები აქვს, ქრისტიანული ფონდები უფრო წარმატებულნი არიან, ვიდრე მუსულმანური ფონდები, შესაძლოა, ზუსტად იმიტომ, რომ ქრისტიანული ფონდები არ ერიდებიან ბირჟაზე რისკის გაწევას. მართალია, ბირჟაზე ზოგჯერ თაღლითური გარიგების დადება უწევთ, ან თავად ხდებიან თაღლითების მსხვერპლნი, მაგრამ ყველა რელიგია როდი გმობს სპეკულაციებს. მაგალითად, მართლმადიდებელ მეწარმეთა კლუბის ერთ-ერთი წევრი ამბობს: „ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბირჟაზე სპეკულაცია დიდი ცოდვაა. ეკლესია უკვე 2 ათასი წელია არსებობს, ხოლო თანამედროვე ფინანსური ხელსაწყოები არსებითად ახალი წარმოქმნილია და არავინ იცის, იარსებებენ თუ არა ისინი 20-30 წლის შემდეგ. სტარტეგიულად უაზრობად მიმაჩნია მირაჟის დევნა და შემაჯამებელი ცხრილის შედგენა იმ საქმეებისა რომლებიც დიდ ან ნაკლებ ცოდვად ითვლება“.

დაბოლოს, ყველა რელიგია გვასწავლის ფულის გონივრულ გამოყენებას და მათი გათვალისწინება პირდაპირპროპორციულად აისახება თქვენს შემოსავალზე, მიუხედავად იმისა, გწამთ თუ არა ღმერთის.

მოამზადა
თამუნა კეშელავამ
http://Money.rbc.ru

ცოტა რამ „ახალი გერმანული არქიტექტურის“ შესახებ

ჰიტლერის ბუნკერები

გთავაზობთ საკმაოდ საინტერესო მასალას ნაცისტური გერმანიის მმართველის ადოლფ ჰიტლერის მიერ ახალი გერმანული არქიტექტურის შექმნის მცდელობებზე, რომელიც არა მხოლოდ გერმანიის ისტორიის ნაწილია არამედ, უკვე გერმანული კულტურის თვალსაჩინოება. სად, რა პირობებში და რა მიზნით იქმნებოდა გოთური კულტურის ნიადაგზე აღმოცენებული ე.წ. „ფაშისტური არქიტექტურა“ და რა დანიშნულება ჰქონდა მას, ქვემოთ იხილავთ.

გერმანიის ხელისუფლებაში ჰიტლერის მოსვლით გერმანულ არქიტექტურაში მოხდა დიდი რევოლუცია. წამოყენებულ იქნა ახალი იდეები, გაჩნდა ახალი ავტორიტეტები, რომლებმაც ახალგაზრდა ნაციონალ-სოციალისტურ სახელმწიფოსგან დიდი მხარდაჭერა ჰპოვეს. ამის შედეგად გერმანიამ სახე იცვალა.

არქიტექტურის განვითარებასთან ერთად, იმდროინდელ გერმანიაში გაჩნდა მისი ადრე უცნობი ქვესახეობა.

გამაგრებული რეზიდენციების მშენებლობა მთავრობის წევრებისთვის. განსაკუთრებით კი ჰიტლერისთვის, რომელმაც მიიღო პირობითი სახელწოდება „ბუნკერი“, რადგან ყველა მისი ნაგებობა განთავსებული იყო მიწის ქვეშ.

„ბუნკერების“ პროექტირებას და მშენებლობას აწარმოებდა არქიტექტორთა სპეციალური შტატი, რომელიც „ანენერბეს“ შემადგენლობაში შედიოდა.

თანაც თვით ჰიტლერმა სპეცარქიტექტორებს მისცა მომავალი პროექტების დავალება და თემის საერთო ჩანაფიქრიც.

ამ დროს ჰიტლერი საკუთარ თავს აიგივებდა „მგელთან“ და როგორც მისი უახლოესი გარემოცვის მოგონებებიდან ჩანს, ითხოვდა კიდევაც მისთვის ეწოდებინათ „ვოლფი“ (გერმ. „მგელი“). მაგრამ, ის უბრალოდ კი არ უკავშირებდა საკუთარ თავს „მგელთან“, არამედ ძველგერმანული მითებისა და ლეგენდების მგელთან.

საინტერესო სახელები ერქვა „ბუნკერებს“, ანუ რეზიდენციებს, რომელიც ჰიტლერისთვის ააშენეს: **„ფიურერბუნკერი“ ბერლინში რაიხსკანცელარიის ქვემოთ, „ადლერსხორსტ“, „ცენტრი“, „სამხრეთი“,„დათვის ბუნაგი“, „ბუდე კლდეში“, „ოლგა“, „დიადი“, „S III“, III), „ზიგფრი, „ტანენბერგი“, „ტყის მინდორი“, „ციხე-სიმაგრე წყლის მიწათხრილით“, „ვერვოლფი“, „მგლის ბუნაგი“, „მგლის ხევი I“, „მგლის ხევი II“, „ბოშა“, „არწივის ბუდე“.**

ბუნკერების მშენებლობას ორი ძირითადი არქიტექტორ–მშენებელი ხელმძღვანელობდა: პირველი იყო ოტო რენცი. შერეული რასის გერმანელი. იგი ჰიტლერმა ტიბეტში გაგზავნა. ბერლინში დაბრუნების შემდეგ ოტო რენცმა მონასტერ „ზეცით დაცულის“ გეგმა ბუდიშერჰაუზის გურუს გადასცა. ჰიტლერის მთავარი ბუნკერის გეგმაც ერთი ერთში იმეორებდა რენცის მიერ გაკეთებულ მონახაზს.

საგულისხმოა რომ ჰიტლერის ბუნკერსაც (დუგანს) და ბორმანის სახლს (სუმე) გარს ეკრა ბილიკი, რომელსაც გულის ფორმა ჰქონდა. ჰიმლერის, ჰერინგის, ჰებელსის და შახტის ბუნკერები განლაგებული იყო ტიბეტის მონასტრის მცირე ტაძრების ადგილმდებარეობის შესაბამისად.

ამგვარად, გამოდის, რომ ოტო რენცის მიერ გადაღებული გეგმა საფუძვლად დაედო „ვოლფშანცეს“, ხოლო მეორეხარისხოვანი ნაგებობა (ბუნკერები სტუმრებისთვის, სხვადასხვა სახის ჯარების წარმომადგენელთათვის) აღჭურვილნი იყვნენ ოტო რენცის გეგმის გარეშე, ოღონდ მათაც მაგიური მნიშვნელობა ჰქონდათ.

ფიურერს არწმუნებდნენ, რომ „ვოლფშანცე“ მიუწვდომელი იყო ავიაციისთვის, რადგან ის განლაგებული იყო ტრანსფორმირებულ სივრცეში, ანუ აწეული იყო მიწიდან მაღალმთიანი მონასტრის „ზეცით დაცულის“ დონემდე.

გერმანულ არქიტექტურაზე და მასში ახალ-ახალი იდეების განხორციელების შესახებ მსჯელობისას არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ყველა გერმანელი არქიტექტორი და მშენებელი ბუდიზმის გარდა, თავის პროექტებში აკოპირებდა მასონთა მეთოდებს. მათი თეორიით კი ქვის ნაგებობა აღიქმებოდა, როგორც თავისებური ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება მასში მყოფ ადამიანს, უერთებს სხვა სამყაროებს და არსებებს.

მშენებლობის ადგილის არჩევანი ყოველთვის ხორციელდებოდა მისი მისტიკური ისტორიის გათვალისწინებით.

მაგალითისთვის, თვით ჰიტლერს ყველაზე ხშირად უყვარდა თავის რეზიდენციაბუნკერში ყოფნა, რომელსაც „ბერგოფი“ ერქვა და მასაც თავისი მისტიკური ისტორია ჰქონდა.

აქ (ამ ოლქში), როგორც აღმოჩნდა, დაკრძალული იყო გერმანლი მეფე ფრიდრიხ I ბარბაროსსა.

ბარბაროსას საფლავის გვერდით ნიბელუნგებს დაუმალავთ მისი საგანძურიც.

კერძოდ, მახვილი, რომლითაც მეფემ დრაკონი მოკლა. ლეგენდის მიხედვით, მეფე არ მომკვდარა, არამედ მხოლოდ დაიძინა, და აი, როდესაც ის გაიღვიძებს, საბოლოოდ გადაწყვეტეს სლავთა დაპყრობის პრობლემას. სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირთა ბრძოლის გეგმას ჰიტლერმა „ბარბაროსას გეგმა“ უწოდა.19 ბუნკერიდან განსაკუთრებით საინტერესო და დანარჩენებისგან განსხვავებული სამი ბუნკერი იყო: „არწივის ბუდე“, „ვერვოლფი“ და „მგლის ბუნაგი“. „არწივის ბუდე“ დღესაც ყველაზე პოპულარულია ბავარიაში მდებარე ნოიშვანშტაინის შემდეგ, მაგრამ, მისი ისტორია იწყება 1923 წლიდან, როდესაც ობერზალცბერგის რაიონი ევროპის ყველაზე საუკეთესო კლიმატურ ზონად გამოაცხადეს.

1941 წლის მიწურულს, ტყეში, უკრაინის ვინიცასთან ახლო მდებარე სოფელ სტრიჟენოვკაში დაიწყო ჰიტლერის ერთ-ერთი უმსხვილესი მიწისქვეშა ბუნკერის მშენებლობა, რომელსაც „ვერვოლფი“ ეწოდა.

ობიექტმა ეს სახელწოდება მიიღო 1943 წელს მშენებლობის დამთავრების შემდეგ. პირველი რიგი დასრულდა 1942 წლის აპრილს და მას ეწოდა „შეიარაღებული მგელი“, ან „მაქცია“. სამუშაოებს ხელმძღვანელობდა გერმანული სამშენებლო კომპანია „ტოდტი“. ამ საქმეში ასევე მონაწილეობდა მრავალი ფირმა და გერმანელი, ჰოლანდიელი და ჩეხოსლოვაკიელი სპეციალისტი.

„ვერვოლფი“ საკმაოდ სწრაფი ტემპებით შენდებოდა: 1942 წლის 10 აპრილის დოკუმენტი უკვე იუწყება ძირითადი სამუშაოების დამთავრებას. ამ წყაროს თანახმად, მშენებლობაზე მუშაობდა 4086 ადამიანი, მათ შორის – 991 გერმანელი, 1425 – უცხოელი, დაახლოებით 500 ჯარისკაცი და 1100 სამხედრო ტყვე.

მიწისქვეშა ნაგებობა მოიცავდა ბომბსაფარს – რკინა–ბეტონის, მასობრივ კონსტრუქციას. მისი ფორმა ყუთისებრი იყო. ფუნდამენტი – მასიური რკინა-ბეტონის, რომლის საფარის სისქე აღწევდა 4,5 მეტრს, კედლების სისქე 2,5-3 მეტრს. ბუნკერი განთავსებული იყო 20 მეტრის სიღრმეზე.

ზემოდან დასაფარებზე იმყოფებოდა მიწის ფენა, ხოლო შესანიღბად ჩარგული იყო ბუჩქები და ხეები (ფიჭვები). ბუნკერიებს ზომები იყო: პირველის – 7x17 მ., მეორის – 8x11 მ და ჰიტლერის პირადი ბუნკერისა – 8,5x8,5 მ. „ვერვოლფის“ ტოპოგრაფიის ცენტრალური ნაწილი წარმოდგენილია ქვემოთ.

„ვერვოლფის“ სტრატეგიული ობიექტის ცენტრალური ნაწილის ტოპოგრაფია:

1 – ავზი; 2 – სეკრეტარიატი; 3 – პრეს-ცენტრი; 4 – საპარიკმახერო; 5 – შენობა მომსახურე პერსონალისთვის; 6 -კავშირის ბლოკი; 7 – საადიუტანტო; 8 – სასადილოები; 9 – აბანო და სპორტდარბაზი; 10 – ბორმანის სახლი; 11 -ჰიტლერის სახლი და ბუნკერი; 12 – „საერთო“ ბუნკერი; 13 – უსაფრთხოების სამსახური; 14-16 – გენშტაბისტების სახლები.

მიწისქვეშა ნაგებობების კაპიტალურობისა და მასიურობის მიუხედავად, ობიექტი „ვერვოლფი“ („მაქცია“) შეესაბამებოდა თავის სახელწოდებას, გარედან იყო რამდენიმე გამჭვირვალე ნაგებობა, მწვანედ შეღებილი მასკირებისთვის, კერძოდ, ფიურერის აგურის სახლი, რომელიც იმავე მიზნით შემოწყობილი იყო მორებით. სამაგიეროდ, შიგნით ეს გახლდათ საინჟინრო-საფორტიფიკაციო ტექნიკის საოცრება.

მოამზადა
ქეთევან ზარნაძემ
599 526 030

მე და ჩემი წონა

მე და ჩემი წონა არ ვართ მეგობრები. ალბათ, არც მტრები ვართ, რადგან არც ბრძოლა დამიწყია და მით უმეტეს, არც ომი – ეს უფრო გაურკვეველობას ჰგავს, სადღაც, ტვინის რომლიღაც ხვეულში მიჩქმალულ საკითხს, რომლის გარკვევაც სხვა დროისთვის შემოვინახე. თავიდან ის ჩუმად მომეპარა, ისე რომ, ვერც კი შევამჩნიე, როგორ მოთავსდა წელის გარშემო, შემდეგ კი შევამჩნიე, მაგრამ ისეთი პატარა იყო, რომ მისი არც შემშინებია... მაგრამ ჩემი წონა გათავხედდა, წამოიჩიტა, მხრებში გაშლა დაიწყო. უკვე მე კი არა ყველამ შეაჩნია, მაგრამ ტოლმა ისე გემრიელი იყო, ღმერთო, ისე გემრიელი იყო, რომ გადავწყვიტე: მოდი, ჯერ იყოს, დიეტას ხომ როცა მინდა, მაშინ დავიწყებ და ზედმეტი კილოგრამებიც თავისი გზით წავა-მეთქი. თეორიულად ყველაფერი ვიცი სწორ კვებაზე, დიეტაზე, ვიცი, რომელი სისხლის ჯგუფის ადამიანმა როგორ უნდა იკვებოს, ვიცი, დღეში რამდენჯერ უნდა იკვებოს და რითი უნდა იკვებოს. ამიტომ არ გამიჭირდება-მეთქი, ვფიქრობდი. ახლა ჩემი წონა იმხელაა, ველარ ვარჩევ, საიდან იწყება და სად მთავრდება. ჰო, უკვე ვხვდები, რომ მსუქანი ვარ და მინდა დიეტის ან ჯანსაღი ცხოვრების დაწყება, მაგრამ, გაგიკვირდებათ და, შესაფერის დღეს ვერ ვპოულობ. მაგალითად, მინდა დღის არჩევა, კალენდარს გადავხედავ, უახლოეს კვირაში ხომ არ არის რაიმე დღესასწაული, ან მეგობრის დაბადების დღე, არ მინდა, ჩემი თავი ცდუნების წინაშე დავაყენო, მით უმეტეს, რომ არც მე და ცდუნება ვართ მეგობრები, ასეთი დღის აღმოჩენის შემდეგ (ყოველთვის არის კალენდარზე ასეთი დღე) გადავწყვეტ, რომ დღესასწაულის მეორე დღიდან დიეტას ვიწყებ, მაგრამ ისე ხდება, რომ ეს მეორე დღე შუა კვირაში აღმოჩნდება, ვის გაუგია შუა კვირაში დიეტის დაწყება? ყოველთვის სჯობს ორშაბათიდან დავიწყოთ, მაგრამ ორშაბათი 16 რიცხვია, ან 28, ასეთ უსახურ, არაფრისმთქმელ რიცხვში დიეტას ვერ დავიწყებ, სხვა საქმე იქნებოდა 15 რომ ყოფილიყო, ან 30. კი ზოგჯერ არის, რომ ასეთ დღესაც ვპოულობ, როცა ორშაბათია, დღესასწაული გასულია და რიცხვიც შესაფერისია, მაგრამ მახსენდება, რომ ჩემი საყვარელი კერძების დაგემოვნება ვერ მოვასწარი, მერე დიეტის შუა პერიოდში რომ მომინდეს რომელიმე მათგანი? ეს ცდუნება იქნება, თუ ცდუნებას ავყვები – დიეტას დავარღვევ და შრომა წყალში ჩამეყრება, თუ ცდუნებას გავუძლებ – ეს ნერვების ფასად მოხდება და არ მინდა, ნერვები გავიფუჭო. ამიტომ ხომ არ სჯობს – დღეს მოვიცადო, ჩემი საყვარელი კერძი გავაკეთო და დესერტიც მივირთვა და დიეტა ხვალიდან დავიწყო, მერე რა, რომ სამშაბათია ხვალ... მაგრამ მეორე დღეს ქვაბში ჯერ კიდევ არის ჩემი დამზადებული გემრიელი კერძი დარჩენილი – ეს უკვე ცდუნებაა, თან სამშაბათია... როგორც ხედავთ, არ არის შესაფერისი დღის პოვნა ადვილი.

ბოლო დროს ხშირად ვხვდები საიტებზე ჩატუნტულებული გოგოების ფოტოებს, ფრაზით – შენი თავი ისეთი უნდა მოგწონდეს, როგორიც ხარ, მაგრამ ვერაფრით ვპოულობ რაკურსს, რომელშიც ჩემი პატივცემული ღიპი მომეწონებოდა. ვერაფრით ვპოულობ მიზეზს (არადა, როგორც წესი, მიზეზის პოვნა არ მიჭირს) რატომ უნდა მომწონდეს, რომ დიაბეტის, გულსისხლძარღვთა, ენდოკრინული, ვენების და სხვა დაავადებების რისკის ფაქტორის მატარებელი ვარ? ამას წინათ ერთ-ერთ კაფეში აივანზე გამავალი კარი ძალიან ვიწრო მომეჩვენა და გადავიფიქრე აივანზე გასვლა – შემეშინდა, არ გავჭედილიყავი. არა, ვერ მომეწონება ჩემი წონა. ადამიანებისგან, რომლებთაც ჭარბი წონა აქვთ, ხშირად მესმის, რომ დიეტაზე არიან და ვერ იკლებენ, რომ ჰორმონები აქვთ დარღვეული, ან ენდოკრინული დაავადების მატარებლები არიან. სულ რამდენიმე, ალბათ ორი-სამი დაავადება არსებობს (რომელთა სახელებს ახლა ვერც კი ვიხსენებ) რომლის დროსაც, ადამიანს წონაში კლება არ შეუძლია, სხვა დანაჩენი – სისულელეა. მცირე მკურნალობა და დიეტა. დიეტაზე ხართ და ვერ იკლებს? ტყუილია, არ ხართ დიეტაზე, ღამით დგებით და პურის ნატეხს იპარავთ და ბაჟეში ავლებთ და სწრაფად ჭამთ, დღისით სამსახურში ან მეგობართან ტკბილეულს ეპარებით, მაღაზიაში გემრიელ ორცხობილას გვერდს ვერ უვლით – ნუ, ისევე, როგორც მე. ნათლიაჩემი მეუბნებოდა, იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი მსუქანია და ძვირი დაუჯდებათ, ან იმიტომ, რომ ჭამა სიამოვნებაა და თუ სიამოვნების შედეგად ვსუქდებით, ამას თავად უნდა გავუმკლავდეთ? ეს უსამართლობაა, რადგან ნასიამოვნებ ნარკომანსაც ეხმარებიან და ნასიამოვნებ მოღალატე ქმრებსაც, რომლებიც ვენერიულ დაავადებებს იკიდებენ.

ბოლო დროს ვხვდები, რომ ახლოვდება ჩემსა და ჩემს წონას შორის ომის გამოცხადების დღე. ალბათ, ამას წონაც გრძნობს, რადგან ძალიან გააქტიურდა, უკვე მხოლოდ საკვების სუნზე ან დანახვაზე კი არ შემომიტევს, მეტიც, საკვებს დააწყებინა ლაპარაკი. ჰო, საჭმელი მესაუბრება. თან არა მაცივრიდან და კარადიდან, ეს ადრე იყო, ამჯერად ქუჩიდან მესაუბრება, მაგალითად, ვზივარ სახლში ჩემთვის მშვიდად და ვწერ და წერისას გაუთავებლად მესმის ქუჩის მეორე მხარეს მდებარე მაღაზიიდან როგორ მელაპარაკება ტკბილეული, ნამცხვრის გემრიელი ნაჭერი, რომელსაც ფირფიტებს შორის ჩასქელებული რძისგან დამზადებული კრემი აქვს წასმული. ეს კიდევ არაფერი, როგორც წესი, ერთი კი არა, რამდენიმე ნაჭერი მესაუბრება ერთდროულად. ამიტომ ერთის წამოღება მეუხერხულება. მაღაზიის მეორე განყოფილებიდან კუპატი ბრაზობს, რას ამბობ, მშიერ კუჭზე რა დროს ტკბილეულია, ჯერ მე უნდა მიმირთვა და ტკბილეული მერე დააყოლოო. ვერ ვეწინააღმდეგები, რადგან მართალია, დესერტი სადილი ხომ არაა? ჰო, ეს უკვე პროვოცირებაა და ღირსი იქნება, ომი გამოვუცხადო.

მე და ჩემი წონა ნამდვილად არ ვართ მეგობრები, მაგრამ ჯერ არც მტრები ვართ, რადგან ის ნაბიჯ-ნაბიჯ მიპყრობს და მე მას ჭამის დროს ვულიმი და მხოლოდ ჭამიდან-ჭამამდე მეზიზღება, ალბათ, დადგება დღე, როცა მე მას ომს გამოვუცხადებ, მაგრამ ეს დღეს არ მოხდება, რადგან დღეს კვირაა, ამიტომ ეხლა უნდა წავიდე და მოვიფიქრო რა მივირთვა.

თამუნა კეშელავა
555 46 08 04

ეს წიგნი განსაკუთრებულია, ძვირფასო მკითხველო, იგი „საქართველოს ბულბულად“ შერაცხულ ვანო სარაჯიშვილს ეძღვნება და ახლახან გამოსცა ქართული სიმღერისა და ქართული სუფრის ტრფიალმა, ცნობილმა თამადამ **გელა ქოქიაშვილმა.**

დიდ სიღნაღელს – სიღნაღელი შვილობილისგან

— ვანო სარაჯიშვილის შესახებ არსებობს 1947 წელს გამოცემული შალვა კაშმაძის მონოგრაფია, — მიამბობს გელა. — მაგრამ, მე მოვისურვე, მეტი და მეტი სცოდნოდა ქართველ მკითხველს და, მეტადრე, ახალგაზრდობას, ამ დიდი სიღნაღელის შესახებ. მოვისურვე, თუნდაც იმიტომ, რომ მეც სიღნაღელი ვარ, სიმღერა ბავშვობიდანვე უზომოდ მიყვარდა, დავამთავრე კონსერვატორია, ტენორის პარტიებს ვმღეროდი საოპერო თეატრებში, მიყვარდა და მიყვარს ქართული სუფრა... ანუ, შეიძლება ხუმრობით ითქვას, რომ „შვილობილი“ ვარ სარაჯიშვილისა... ჰოდა, დიდი შრომის, სიღნაღური ამბების მოხმობით, არქივების ქექვით... მგონი, საწადელს მივაღწიე — არცთუ ურიგო წიგნი გამოვიდა — „ვანო სარაჯიშვილი — ლეგენდად ქცეული ორფევსი“.

— მე უკვე გავეცანი და, არ გეფერები, ნაღდად საინტერესო ნაშრომია... შენს წიგნებს — ენრიკო კარუზოზე, ტიტო რუფოზე, ლუჩანო პავაროტიზე და პლასიდო დომინგოზე... აი, შენი სისხლისა და ხორცის, შენი სიღნაღელი „კარის მეზობლის“ — „ქართული მელოდიის ავთანდილის“, „ტკბილ ჰანგთა მეფის, „ქართველი ორფევსის“, „საქართველოს ბულბულის“... ყოფა-ცხოვრებისა და შემოქმედების არაჩვეულებრივი ისტორიებიც მიემატა... ბედნიერებაა... ისე, მე მაქვს შენი ნაჩუქარი წიგნი, რომელიც სულ სხვა საკითხს — ქართულ ტრადიციულ სუფრას ეხება და — „სუფრავ გაშლილო — ლხინი ხარ“ — ჰქვია...

— კი ბატონო... მე გამოვიკვლიე და შევისწავლე ქართული სუფრის ისტორია, ტრადიცია, ადათ-წესები... რომელიც დღეს არავის სჭირდება!.. მეთანხმებით?!

— იმიტომაა ჩვენი საქმე კარგად!.. აღარც კლასიკური მუსიკა გვინდა, აღარც ტრადიციული პურმარილი და თამადის მჭევრმეტყველება!.. კლასიკური მუსიკისადმი უყურადღებობამ და გულგრილმა დამოკიდებულებამ გზა გაუხსნა სრულიად გაუგებარ, უშინაარსო, უგემოვნო ნაწარმოებებს, რომელთაც დიდი „გასავალი“ აქვთ ახალგაზრდებში, რაც აქვეითებს მათ გემოვნებას, იწვევს ზერელე დამოკიდებულებას ჭეშმარიტი ხელოვნებისადმი... — არის, ბატონო, მრავალი სატელევიზიო არხი, არის ინტერნეტი და „ფეისბუქი“...

— არის ტრაკშიშველა გოგო-ბიჭების ტლინკაობა, რომლებსაც, ქუდი რომ შეუგდო, არ შევლენ საკონცერტო დარბაზში, ვთქვათ, კამერული მუსიკის მოსასმენად!..

— სამაგიეროდ, მოვესწარით „გეიფუებს“, თვალებმიბნედილ ქალვაჟებს, თამადა და ყანწი რომ „ქაჯობად“ მიაჩნიათ!... მაინც რამ შეგაყვარა ასე ქართული სუფრა და თამადობა?.. გამიგია, რომ კონსერვატორიაში შენმა პედაგოგმა დავით ანდღულაძემ, „მომღერლებში პირველი თამადა და თამადებში პირველი მომღერალი“ გიწოდა...

— ვუყვარდი ძალიან... რამდენჯერმე სუფრაზეც ვყოფილვართ ერთად... დიდი კაცი იყო, ბრწყინვალე მომღერლების აღმზრდელი... რაც შეეხება იმას, თუ საიდან მოდის ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ოჯახიდან... დიდი, ტრადიციული, სალონური ოჯახი ჰქონდა მამაჩემს... აქ მოვისმინე პირველად გიტარაზე ამღერებული დედის მელოდიები, პაპისა და მამის ჩაღიღინებული „მრავალჟამიერი“... პაპაჩემის — საეკლესიო მოძღვარის — დავით ქოქიაშვილის სიმღერა დიდად მოსწონდათ თურმე ვანო სარაჯიშვილს, ნიკო სულხანიშვილს... სანდრო კავსაძის გუნდშიც იმიტომ მიიწვიეს და იქ ვანო სარაჯიშვილთან ერთად მღეროდა... მოკლედ, გენი, ძმაო, გენი!..

— მაგრამ, თავდაპირველად რომ ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჩააბარე?

— მოხდა ასე, თუმცა, პარალელურად, მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელშიც დავდიოდი. მოგვიანებით კი თბილისის კონსერვატორიაც დავამთავრე...

— ქუთაისში არ „უბერავდით“?

— თითქმის ყოველდღე!.. მომკლა იქაურმა იმერულმა მჟავე ღვინომ, კუჭი ამატკივა... ეს ხუმრობით. ვენაცვალე ქუთაისურ სუფრასა და გულის სითბოს!..

— შენ, რა თქმა უნდა, რქაწითელს აღმერთებ.

— მაშ!.. ოღონდ, სმა ზომიერად!.. სხვათა შორის, კი ვიძახით ახლა, რომ სუფრასთან წესრიგი აღარ არისო, რია-რიამ და დაუმთავრებელმა ცეკვა-თამაშმა იმატაო, მაგრამ, გააჩნია, თამადა როგორია... ყველაფერი თამადაზეა დამოკიდებული, მის მჭევრმეტყველებას, ლექსს, იუმორს, იმპროვიზაციას... სრულიად შეუძლია სუფრის დაუფლება...

— უკაცრავად ვარ და, სმა და თამადობა აღარც ყველს წყენდა და აღარც საოპერო პარტიების რეპეტიციებს?..

— არ ვიცი, ძმაო... ჩვენი თაობის მსმენელთაგან, ჯერჯერობით, ბევრია ცოცხალი, საქებარი რეცენზიებიცაა გაზეთებში ჩემ მიერ მთავარი პარტიების შესრულების გამო ოპერებში — „დაისი“, „არსენა“, „ალეკო“, „სიყვარულის ნექტარი“, „ბოჰემა“...

— მომისმენია და წამიკითხავს... განა არ იცი... ეტყობა, ყველიც განსაკუთრებული გაქვს... ვანო სარაჯიშვილსაც უყვარდა სუფრაო, „შვილობილო“, შენგან გამიგია...

— კი, არის წიგნში ამის რამდენიმე ეპიზოდი... საერთოდ კი, ჩემო ვილენ, მე ერთს ვინატრებ: ჩემმს წიგნმა სიამაყის, ზნეობის, სამშობლოს, მშობლიური ხელოვნების დიდი სიყვარული აუმაღლოს მკითხველს... აქ იგი შეხვდება, პეტერბურგიდან დაწყებული და ევროპელი მუსიკათმცოდნეებით და მსმენელებით დამთავრებული, რა შეფასებები ჰქონდა ქართულ მიწაზე დაბადებულ და აღზრდილ ხელოვანს, როგორ გააბრწყინა ვანო სარაჯიშვილმა ქართული საოპერო ხელოვნება... შეიძლება ვანოსნაირი არა, მაგრამ სიმღერის დიდოსტატები დაოსტატები არც შემდეგ დაგვკლებია!.. საერთოდ, ჩვენი ერის უმდიდრეს კულტურასა და ხელოვნებას მთელი მსოფლიო შენატრის, მაგრამ, რად გინდა? ჩვენი ჭკუის სწავლა არ იქნა! სასიამოვნო ამბები ვისურვოთ! ბედნიერების, ერთმანეთის მიტევებისა და წინსვლის ყოფილიყოს 2016 წელი მთელი საქართველოსთვის!.. დავლოცავ თქვენს დიდად საჭირო პროფესიას, თქვენი ენით, კალმით სიმართლის თქმას, რაც, პირში არ გეფერებით და, არ აკლია „საერთო გაზეთს“! ყველას, ვინც მის შექმნაში მონაწილეობთ, ყანწით დაგლოცავთ!

— მადლობა, ჩემო გელა!

ვილენ მარდალეიშვილი

გადაგვარებული გვარამია

ავყიებით, უაზროდ მობჟუტურე სუბიექტებით, პოზიორებით გავსებული, ზნეობრივად და მორალურად პირველსახედაკარგული ქვეყანა, გადაგვარებულია, აბა, რა?! როგორც იქნა, ხომ დავიხსენით თავი, ხომ „გავთავისუფლდით“ შავბნელი და კომუნისტური ეპოქისგან, მიდი ახლა და, რაც გინდა ილაპარაკე ხალხში, ქუჩაში, ბაღში, რესტორანში... ადექი, დაწერე და დაბეჭდე, ვინც გინდა და რაც გინდა... ვერავინ დაგიშლის!.. (აბა, ის იყო საქმე, „ცენზურა“ რომ დაგვდევდა „კალმის ხალხს“?! ჩვენს კი დავწერდით, მაგრამ, ვინ დაგიბეჭდავდა, მაგალითად, ისეთ „პირდაპირ“, „გაბედულ“, „სინდის-ნამუსამაღლებულ“ ნაფიქრალს, რაც მიშიკო სააკაშვილის ზევით-ქვევით ნათრევმა, ვითომ მრავალმხრივ ნიჭიერმა ტიპმა — ნიკა გვარამიამ „ჩააგვირისტა“ ფეისბუკში, რითაც თავისი „ღრმად განსწავლული „მუზიკავედობით“ ისიც გვითხრა: — რასაც ფიქრობთ, ის დაწერეთ, ბატონებოო! ჰოდა, აი, რას წერს:

„ღირდეს მაინც რამედ ეს უსაშინლესი ოპერა „აბესალომ და ეთერი“. თრეში (ნაგავი) ნამდვილი. საერთოდაც, კარგი ქართული ოპერა არც არსებობს. მეტიც, ქართული კლასიკური მუსიკაა ზოგადად ძალიან, ძალიან სუსტი, განსაკუთრებით, მსოფლიოში საუკეთესო (გადაუჭარბებლად) ფოლკლორული მუსიკის ფონზე“.

თუ ამის დამწერი მართლა ფიქრობს, რომ „აბესალომ და ეთერი“ უსაშინლესი **ოპერაა** და **ნაგავია, გადასულა ჭკუიდან, საცოდავი!**

განა, **სუსტიო, განა, უფერულიო,** ამბობს ეს პოზიორი!.. **უსაშინლესიო,** ხალხო! თითქოს, ცხონებულ ზაქარია ფალიაშვილს **უსაშინლესი** ფაქტი ჩაედინოს — მეორე მსოფლიო ომი დაეწყოს, ანდა, ხიროსიმაში ატომური ბომბი ჩამოეგდოს!.. არ „შეგშურდათ“ შედარება?! „მალადეც“, გვარამია! შენ საუკუნის ფრაზა მოუძებნე თითქმის 100 წლის, ქართველი ხალხის უსაყვარლესი ოპერის სიავკარგეს! ნაღდად გინესის წიგნში ხარ შესატანი და ვერც ვერავინ გაგიტოლდება, რადგან, არა მგონია, ვინმე იტალიელს. ვინმე ფრანგს, ვინმე გრემანელს... თავისი ქვეყნის, სახელგანთქმული კომპოზიტორის სახელგანთქმული საოპერო ნაწარმოებისთვის **უსაშინლესი ნაგავი** ეწოდებინოს, დღეს ხომ საქართველო, უპირატესად, ავყიებით დასახლებული, გადაგვარებული ქვეყანაა, სადაც გვარამიამ და მისმა „საძმაკაცომ“ (მიშიკოს მეთაურობით) ხვალ აკაკის „განთიადს“, გალაკტიონის „მთაწმინდის მთვარეს“, ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანს“ და კიდევ სხვა ბრწყინვალე პოეტურ ნაწარმოებებსაც შეიძლება უწოდონ **უსაშინლესი „თრეში“!**

ახლა ზოგი იტყვის, რა გინდათ, კაცო, ყველას თავისი აზრი აქვსო, მაგრამ მე ისეთ აზრს რა ვუთხარი, მშობელ ქვეყანაში რომ თავს მოგჭირს!

ვილენ მარდალეიშვილი

სუდოკუ სუდოკუ

		3		5				9
		2	6			1		
	9				1			8
		8						
			2			5		
9					6		2	
			5					
		7					8	

			8					
	1	8		4		7		2
6	2							
			9					
				2		4	7	
				9	4	8		
8								
		4						9

						4		
7				6	5	1		
4								
		6	2		7			
		4						2
							9	
				7				
6	1				8	9		7

7		6			4			
					6	8	7	
					8		3	9
		8						
6			1					
5			8					4
	9				3		1	

	4		7					
6						9		
			3			5		
						1		
1					5	4		
4			1					
				8				
	6					2	8	
	1				2			

1. mwvane feris Zvirfasi qva
2. wonis erTeulilaT. amerikaSi
3. oqros varayi
4. qalaqi indoeTSi
5. kaklis dasabertyi joxi
6. tyis frinveli mtredebis ojaxisa
7. sofeli qarelis r-Si
8. krebis Catarebis wesi
9. italieli fermweri miqelanjelo . . .
10. qalaqi cent. afrikis respublikaSi
11. qalaqi filipinebSi
12. mamali kvici
13. pureulis aRmonaceni
14. mwvervali saqarTveloSi
15. amerikeli msaxiobi gregori . . .
16. qalaqi SveicariaSi
17. v. skotis romani
18. planeta marsis qarTuli saxelwodeba
19. Zv. slavuri erT-erTi anbani
20. frangi filosofosi Jan . . .
21. wylis didi frinveli
22. cxovelsaxeobis gavrcelebis are
23. mevioline vanesa . . .
24. mdinare avstraliaSi
25. cirkis moedani
26. pantomimis msaxiobi
27. mavTulis gamosayvani xelsawyo
28. CogburTis saTamaSo Cogani
29. TaRi
30. momRerali . . . gegelia
31. xvewna, mudara, vedreba
32. ungreli fermweri . . . reversi
33. umaRlesi RvTaebaskand. miT-Si
34. qalaqi ruseTSi
35. Zv. berZeni filosofosi
36. momRerali . . . estefani
37. sofeli zugdidis r-Si
38. Zvlebgamocliili Tevzis naWeri
39. samxedro formis palto
40. rusi moqandakestefane . . .
41. giganturi wiwvovani xe
42. saberZneTiskunZuli
43. qalaqi iaponiaSi
44. didi winwkali, xali
45. planeta saturnis Tanamgzavri
46. rusi msaxiobi semion . . .
47. xelovnuri mdianre

1. qalaqi espaneTSi
2. frangi mwerali Jiul . . .
3. panTera, jiqi
4. bambis qsovili amoburculi saxeebiT
5. qalaqi tailandSi
6. frangi mwerali Jak . . .
7. qalaqi ruseTSi
8. departamenti safrangeTSi
9. sazRvao ialqniani erTgvari gemi
10. saopero momRerali . . . karerasi
11. kakbis msgavsi momcro frinveli
12. agavas ojaxis mcenare
13. erTgvari daTvi Crd. amerikaSi
14. qalaqi did britaneTSi
15. frangi kinoreJisori klod . . .
16. qalaqi aSS-Si
17. Tbili qveynebis mcenare
18. Zv. qalaqi asiriaSi
19. eleqtruli muxtebis moZraoba
20. qalaqi belorusiaSi
21. mogebanardSi
22. xe mJave-motkbonayofiT
23. ganZi, saunje
24. xe naWuWianiovaluri nayofiT
25. serbi mwerali ivo . . .
26. qalaqi ukrainaSi
27. msubuqi Janris Teatri
28. `me, bebia, ilikoda ... ~
29. qalaqi iaponiaSi
30. saxelmwifo evropaSi
31. saopero momRerali beniamino . . .
32. igivea, rac kunZi
33. avJandi
34. operis teqsti
35. aSS-s msaxiobi kristina . . .
36. qalaqi ruseTSi
37. T. dostoevskis romani
38. almasi, brilianti
39. daTqmuli saidumlo sityva
40. saxelmwifo aziaSi
41. dedamiwis zedapiris Semcirebuli gamosaxuleba
42. kaTolikuri jvari
43. qalis farTo palto
44. poeti . . . mircxulava
45. mdinare ruseTSi
46. erTgvari TamaSi xisburebiT
47. Tovlis adamiani
48. frangi msaxiobi . . . moro



გრიპით დაავადების დინამიკა ზომიერად იზრდება



გვესაუბრება საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორია მოადგილე ***პაატა იმნაძე.***

— ბატონო პაატა, საქართველოს მოსახლეობა შეშფოთებულია ე. წ. „ღორის გრიპის“ ეპირემიით. რა მდგომარეობაა ამჟამად?

— მოდით, ცოტა შორიდან დავიწყებ საუბარს, რათა ჩვენს მოსახლეობას ზუსტად ავუხსნათ ვითარება. გრიპი მსოფლიოში ყველაზე უფრო გავრცელებული ინფექციაა, რომლის სეზონური ეპიდემია ჩვენს პლანეტაზე ყოველწლიურად 3-5 მილიონ შემთხვევას იწვევს. სეზონური გრიპის აფეთქებები გვხვდება როგორც ზომიერ, აგრეთვე სუბტროპიკული კლიმატის გრეგიონებში. საერთოდ, გრიპი სეზონურობით ხასიათდება და ძირითადად ზამთრის პერიოდში აქტიურდება. გრიპი ადამიანს ადამიანისგან გადაეცემა ხველით, დაცემინებით, ვირუსით დაბინძურებულ ნივთებთან შეხებისას. აქვე გეტყვით, რომ სეზონური გრიპი ხასიათდება როგორც მსუბუქი, ასევე მძიმე სიმპტომატიკით, რომელსაც შეიძლება მოყვეს ავადმყოფის გარდაცვალებაც, განსაკუთრებით მაღალი რისკის ჯგუფებში. ასეთი რისკის ჯგუფებს განეკუთვნებიან ორსულები, მოხუცები, ბავშვები, ქრონიკული დაავადების მქონე პირები. რაც შეეხება საქართველოში ვითარებას გეტყვით, რომ გრიპით დაავადებათა დინამიკა ზომიერად იზრდება. ამჟამად ექიმებთან მიმართვიანობა 100 ათას მოსახლეზე 273-ს შეადგენს. ანუ ზღურბლს 450-500-ს არ უახლოვდება.

— რაც შეეხება „ღორის გრიპს“?

— ასეთი ფორმულირება არასწორია და აი, რატომ. ადამიანები, შესაძლოა, დაინფიცირდნენ იმ ვირუსით, რომელიც, ძირითადად, ცხოველებში გვხვდება. მაგალითად, ფრინველის გრიპით H5N1 და H9N2, ასევე ღორის გრიპის ქვეტიპით H1N1 და H3N2. ამის გარდა, არსებობს ცხენის და ძაღლის გრიპის ვირუსის სხვადასხვა ტიპები. ცხოველებში გავრცელებულ გრიპის ვირუსებს, შესაძლოა, ჰქონდეთ იგივე დასახელება, როგორიც ადამიანებისას, თუმცა არ უნდა მოხდეს მათი ერთმანეთში არევა, რადგან ამ ვირუსების გადაცემის რისკი ადამიანიადან-ადამიანზე საკმაოდ მცირეა. ცხოველთა გრიპით დაინფიცირება შეიძლება მოხდეს უშუალოდ დაავადებულ ან ვირუსით დაბინძურებულ გარემოსთან კონტაქტისას. თუმცა ასეთი გრიპის გენური მოდიფიკაციის შემთხვევაში ვირუსი შეიძლება ადამიანიდან ადამიანს გადაედოს. ჩვენი მოსახლეობის შეშფოფოთება, შესაძლოა, გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ამჟამად მსოფლიოში ისევე, როგორც ჩვენთან სეზონური გრიპის H1N1 და იშვიათად H3N2. ვირუსის შტამი მოქმედებს. ამ ვირუსმა კი გახსოვთ, 2009 წელს პანდემია გამოიწვია მსოფლიოში. მას შემდეგ 7 წელია გასული და ამჟამადაც განიხილება, როგორც სეზონური გრიპის ვირუსი. ამიტომაც გთხოვთ, ნუ გამოვიყენებთ ტერმინს „ღორის გრიპი“. გიმეორებთ, ის ჩვეულებრივი სეზონური გრიპია, რომლითაც ადამიანები, შესაძლოა, ყოველწლიურად გახდნენ ავად.

— ბატონო პაატა, თქვენ ცალკე აბსენებთ სეზონურ გრიპს და ცალკე — პანდემიას. მოდით, ჩვენს მკითხველს ავუხსნათ, რა არის პანდემია?

— გრიპის პანდემიას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ასპარეზზე გამოდის ახალი ქვეტიპის ვირუსი, მოსახლეობას კი მის მიმართ იმუნიტეტი არ გააჩნია, არ არის წამალი. პანდემიას ფართო გავრცელება და დიდი ლეტალური შედეგები ახასიათებს. ცნობისთვის გეტყვით, რომ 1890 წლიდან დღემდე მსოფლიოში გრიპის პანდემიის მხოლოდ ხუთი შემთხვევა არის დაფიქსირებული. როგორც გითხარით, ბოლოს 2009 წელს დაფიქსირდა და 18 ათასი ადამიანი შეიწირა. საერთოდ, პანდემიური გრიპი საუკუნეში სამ-ოთხჯერ ვლინდება.

— თუმცა საქართველოში უკვე დადასტურდა გრიპის მიზეზით ოთხი ადამიანის გარდაცვალება...

— დიახ, სამწუხაროდ ასეა. თუმცა მინდა გითხრათ, რომ ყველა დაავადებას, მათ შორის, გრიპსაც, შეუძლია ადამიანის გარდაცვალება გამოიწვიოს. ლაბორატორიულად დამტკიცდა, რომ მათი გარდაცვალების მიზეზი დაგვიანებული მკურნალობა და სხვადასხვა ქრონიკული დაავადებები გახლდათ.

— ბატონო პაატა, რა სიმპტომები ახასიათებს წლევანდელ სეზონურ გრიპს, რას უნდა მიაქციოს ყურადღება მოსახლეობამ?

— პირველ რიგში გეტყვით, რომ სეზონური გრიპი სხეულის ტემპერატურის მკვეთრი მომატებით გამოირჩევა. ადამიანი შეიძლება დილით თავს კარგად გრძნობდეს და საღამოს უეცრად მაღალი ტემპერატურა 38 გრადუსზე მეტი ჰქონდეს. დაავადებას ახასიათებს აგრეთვე შემცივნება, ცხელება, თავის და კუნთების ტკივილი, ხველება, საერთო სისუსტე, განსაკუთრებული ყურადღება მოსახლეობამ უნდა გაამახვილოს სხეულის ტემპერატურის ცვლილებაზე. თუ ტემპერატურა 38 გრადუსზე მეტი ექნება, სასწრაფოდ უნდა მიმართოს ექიმს.

— როგორ ხდება ჩვენთან გრიპის დიაგნოზის დადასტურება?

— საქართველოში გრიპის დიაგნოზის დადასტურების რამდენიმე ლაბორატორიული მეთოდი არსებობს, თუმცა, ყველა შემთხვევის ლაბორატორიულად დადასტურება აუცილებელი არ არის. ჩვენს სამედიცინო პერსონალს შეუძლია შემთხვევების განსაზღვრით ივარაუდონ გრიპი და პაციენტს დაუნიშნონ შესაბამისი მკურნალობა. ამასთან, სამედიცინო კლინიკის ხელმძღვანელთა სურვილით, შეუძლიათ შეისყიდონ გრიპის სადიაგნოსტიკო ტესტები და ადგილზე გამოიყენონ გრიპის სწრაფი დიაგნოსტიკისთვის. რადგან სამედიცინო პერსონალზე ვსაუბრობთ, გეტყვით, რომ თბილისში რამდენიმე პოლიკლინიკა დღე-ღამის განმავლობაში იმუშავებს გრიპის დიაგნოსტიკისთვის და მკურნალობისთვის.

— ბატონო პაატა, კიდევ რა უნდა გაითვალისწინონ მოქალაქეებმა, რათა თავიდან აიცილონ გრიპი თუ არა შემდგომი გართულებები მაინც?

— გრიპის პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალება აცრები გახლავთ. შარშან შემოდგომაზე გაიმართა აქცია „აიცერი, დაიცავი“. მაშინ 12 ათასმა ადამიანმა ჩაიტარა გრიპის საწინააღმდეგო აცრა. წელს ვაპირებთ, 20 ათას ადამიანამდე გავზარდოთ აცრილთა რაოდენობა. გრიპის ნიშნების გამოვლენისათნავე უნდა მიმართოთ ოჯახის ექიმს, რომელიც დაგინიშნავთ მკურნალობას. ამასთან, პაციენტმა განმეორებით უნდა მიმართოს ექიმს იმ შემთხვევაში, თუ მკურნალობის დაწყებიდან 72 საათის განმავლობაში მისი მდგომარეობა არ გაუმჯობესდება. აქვე გეტყვით, რომ მოქალაქეებმა თავი უნდა შეიკავონ თვითმკურნალობისგან და ზედმიწევნით შეასრულონ მკურნალი ექიმის დანიშნულება.

გია ბურდული
551 71 27 07

`saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი
მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

— რა ითვლება კომერციულ საიდუმლოებად?

— საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27²-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, კომერციული საიდუმლოება გახლავთ ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ არ წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ინფორმაციის წარდგენისას პირი ვალდებულია მიუთითოს, რომ ეს ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა. საჯარო დაწესებულება ვალდებულია 10 დღის ვადაში კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნიოს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ინფორმაციის ღიაობის ვალდებულება დადგენილია კანონით. თუ ინფორმაციის წარდგენისას საჯარო დაწესებულება არ მიიჩნევს ამ ინფორმაციას კომერციულ საიდუმლოებად, იგი იღებს გადაწყვეტილებას მისი ღიაობის თაობაზე, რასაც დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამის პირს. გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის შემდეგ ინფორმაცია ხდება ღია, თუ პირმა, რომლის საკუთრებაცაა ეს ინფორმაცია, ამ ვადის გასვლამდე ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით — სასამართლოში არ გაასაჩივრა ინფორმაციის ღიაობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საჯარო დაწესებულებას.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, ნებისმიერ პირს აქვს უფლება, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით — სასამართლოში გაასაჩივროს ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის საკითხი.

ამავე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, საჯარო დაწესებულება ვალდებულია საჯარო რეესტრში შეიტანოს ინფორმაცია მესამე პირის ან საჯარო დაწესებულების მიერ კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის, მოთხოვნის თარიღის, მომთხოვნის ვინაობისა და მისამართის შესახებ.

* * *

— გთხოვთ, გაგვაცნოთ საჯარო სამსახურისა და სახელმწიფო თანამდებობის პირთა ჩამონათვალი.

— საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილი: სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება არის სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითადი ამოცანა საჯარო ხელისუფლების განხორციელებაა.

მე-2 ნაწილი: სახელმწიფო თანამდებობა არის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს პირველადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც განსაზღვრავს მოქალაქის ადგილსა და სოციალურ-შრომით როლს საჯარო სამსახურის სისტემაში, მის უფლებებსა და მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მე-3 ნაწილი: სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობა არის საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით გათვალისწინებული ის სახელმწიფო თანამდებობა, რომელიც პოლიტიკურია და არჩევის ან დანიშვნის წესი განისაზღვრება შესაბამისად საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით. სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირებს წარმოადგენენ:

ა) საქართველოს პრეზიდენტი;

ბ) საქართველოს პარლამენტის წევრი;

გ) საქართველოს პრემიერ-მინისტრი და საქართველოს მთავრობის სხვა წევრი;

დ) აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი;

ე) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა ხელმძღვანელები.

მე-4 ნაწილი: სახელმწიფო თანამდებობაზე საქმიანობად ითვლება შრომითი ურთიერთობა არჩევით ან დანიშვნით თანამდებობაზე იმ დაწესებულებაში, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, სახელმწიფო ზედამხედველობას და კონტროლს, აგრეთვე სახელმწიფო თავდაცვას.

რა საერთო აქვთ გველსა და ქალს?

კრასნოდარის მხარეში, ტამანში, არქეოლოგებმა ანტიკური ხანის ნამარხი აღმოაჩინეს და ქალთა სამარხებში გველის ჩონჩხებიც იპოვეს.

არაჩვეულებრივი აკროპოლი არტუშენის სამარხი ეკუთვნის VI ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე. აქ, სავარაუდოდ, პონტოელი ბერძნები ცხოვრობდნენ. „მოედანი, სადაც ადგილობრივები პურს თესავდნენ 20 ჰექტარს მოიცავდა, მაგრამ ხალხი არც ისე ბევრი იყო. უბრალოდ, 5 წელიწადს ერთი და იგივე ადგილას ცხოვრობდნენ, შემდეგ გადასახლდებოდნენ სხვა ადგილებში“. — აცხადებს ექსპედიციის ხელმძღვანელი. სამარხში აღმოჩენილია უძველესი იარაღები, სამკაულები, კერამიკის ნაკეთობანი, მაგრამ სენსაციური აქ ის არის, რომ ადამიანის გვერდით გველის ჩონჩხიც იქნა აღმოჩენილი. რეპტილია ესვენა დასაფლავებულის ფეხებთან ლათინური ასობგერა შ-ის მაგვარად. შთაბეჭდილება რჩება, რომ ის აქ სპეციალურად ჩაასვენეს. — ამბობენ არქეოლოგები. დასაწყისისთვის ამაზე ყურადღება არ გაგვიმახვილებია. ვიფიქრეთ, გველი შემთხვევით მოხვდა იქ, მაგრამ ჩვენს მიერ აღმოჩენილ 7 სამარხში იგივე სურათი დაგვხვდა — მიცვალებულის ფეხებთან გველის ჩონჩხი შ-ის ფორმით იდო. საფლავებში, ძირითადად, ქალებია ჩასვენებული 15-დან 30 წლამდე. ჩანს, ყოველივე ამას მისტიური დატვირთვა ჰქონდა.

ისტორიკოსებისთვის ცნობილია, რომ უძველეს საბერძნეთში არსებობდა გველის კულტი. თვლიდნენ, რომ ის იყო საიქიო ცხოვრების მცველი. ამ სამარხებში აღმოჩენილი გველის ჩონჩხები მეცნიერების მტკიცებით, ადამიანების სულების გამცილებლად ითვლებოდნენ საქიოს გზაზე. რაც შეეხება ასო-ბგერა შ-ს, ეს ნიშნავს რეპტილიის მდგომარეობას მოქმედებაში.

მაგრამ რატომ არის მსგავსი რამ სხვაგანაც აღმოჩენილი? ერთადერთი ადგილი, სადაც ასეთი ტიპის სამარხი აღმოაჩინეს უძველესი სამარხებია შუა აზიაში.

მკვლევარები მიიჩნევენ, რომ იმდროინდელ ცივილიზაციაში ქალს განსაკუთრებული როლი ჰქონდა. თუ ზოგიერთები ქალს მხოლოდ ოჯახის დიასახლისად მოიაზრებდნენ, ზოგიერთები, მაგალითად, სინდები, ქალებს არმიის მთავარსარდლებად ნიშნავდნენ.

სინდების ტრადიცია აღმოსავლურ კულტურებში განივრცო. ხოლო გველის კულტი ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. ლეგენდების მიხედვით, განსაკუთრებული ასტრალური მეთოდების შედეგად შესაძლებელი გახდა გველისა და ადამიანის გონებრივი გასაუბრება, რითაც ადამიანი გონებით გაჰვებოდა გველის სამყაროს გზას იდუმალებისკენ. რაზეც ისინი იღებდნენ პასუხებს თავიანთი ცხოვრების ამოუხსნელ კითხვებზე.

რაც შეეხება საფლავებში აღმოჩენილ გველებს. შესაძლებელია, ეს ყოფილიყო რიტუალური პროცესის შედეგად დაღუპული ქალების საფლავების მცველები. საფლავებში ხომ მხოლოდ ახალგაზრდა ქალბატონები იყვნენ დასაფლავებულნი? სავარაუდოდ, ისინი გველის შხამისგან გარდაიცვალნენ, როცა ისინი საინტერესო კითხვებზე პასუხს ელოდნენ სპეციალური რიტუალის საშუალებით, რათა ქვეწარმავალს იდუმალების გზისკენ წაეყვანა ისინი. შემდეგ ეს ქვეწარმავლები ჭირისუფლებმა დახოცეს, რათა განუხორციელებელი მიზნები და უპასუხო კითხვები საიქიოში არ წაეღო მიცვალებულს. საიქიოს გზაზე, მათი აზრით, მათ გველი გააცილებდა და ამქვეყნიერ და იმქვეყნიურ საიდუმლოებებსაც გაუმხელდა.

ქალი თმის საღებავმა მოკლა

ყარაგანდაში 31 წლის ქალბატონის სიკვდილის მიზეზი თმის საღებავი გახდა. როგორც იუწყებიან, მას გული გაუჩერდა. ექიმების ვარაუდით, ალერგიულ ფონზე მოხდა თავის კანის შეშუპება, შემდეგ იგივე სიმპტომები ტვინზეც გადავიდა, რამაც სიკვდილი გამოიწვია. ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაცვლილი ამ საღებავით მუდმივად იღებავდა თმებს, მაგრამ, ამჯერად, თავის კანი განსაკუთრებით გაუწითლდა, შემდეგ სიწითლე სახეზეც გადაუვიდა. სხეულის ტემპერატურამ საგრძნობლად მოიმატა. გამოიძახეს სასწრაფო დახმარების ჯგუფი, მაგრამ ქალბატონი საავადმყოფოში გადაყვანისას გზაში გარდაიცვალა.

აღმოჩნდა, რომ საღებავი იაფფასიან ბაზრობაზე ჰქონდა შეძენილი, ახლა სპეციალისტები იკვლევენ იმ ნივთიერებებს, რაც, სავარაუდოდ, ამ საღებავის შემადგენლობაში შეიძლებოდა ყოფილიყო.

თმის საღებავისადმი ალერგია არცთუ ისე იშვიათი შემთხვევაა. დაახლოებით იგივე შემთხვევა მოხდა ბრიტანეთში. ინგლისელი ექიმები ამაოდ ცდილობდნენ 22 წლის ზოი ვერნონის გადარჩენას. გოგონამ თმა პოპულარული ცნობილი ფირმის საღებავით შეიღება. ექიმები აღნიშნავდნენ, რომ მსგავსი შემთხვევა მოსმენილიც არ ჰქონდათ. პაციენტმა საავადმყოფოში სამი დღე დაჰყო და ამ ხნის განმავლობაში მისი სახე დაფარული იყო წითელი ფერის



წყლულოვანი ბუშტუკებით, მხედველობა მკვეთრად ჰქონდა დაქვეითებული. გოგონა ირწმუნებოდა, რომ ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც საღებავის ინსტრუქციაში იყო მითითებული და გაიკეთა კიდევაც ტესტი ალერგიაზე იმ დილით, როცა თმის შეღებვას აპირებდა. მეორე დღეს მან გაწითლებული სახით გაიღვიძა, მომდევნო დღეს კი სიწითლე ყელზეც გადაუვიდა და წითელი წყლულებით დაეფარა.

მეშინოდა, რადგან წყლულები ძალიან მტკივნეული იყო, არ მსურდა, ვინმეს დავენახე, ვერ გამოვდიოდი ქუჩაში, ვფიქრობდი, ყველაფერი თავისით გაივლის-მეთქი, მაგრამ უფრო და უფრო ცუდად ვხდებოდი. მერე საავადმყოფოში წამიყვანეს. — ამბობდა გოგონა.

ბრიტანელი მედიკოსები კიდევ ერთ შემთხვევაზე ჰყვებიან, როცა ქალბატონი თმის შეღებვის შემდეგ თანდათან გამელოტდა, თავი გაუსივდა და მიიღო მსხლის ფორმა. ჭაღარა თმის შესაღებად პაულა პრატმა საღებავი იყიდა, რის შემდეგაც მძიმე ალერგიული შოკი მიიღო. ქალბატონმა თმა მუქი ფერის საღებავით შეიღება. მალე სახე გაუსივდა, თვალები გაუდიდდა, ქუთუთოები ჩამოეზარდა და დროებით დაბრმავდა. თავის კანი გადაეჭიმა, დაუსკდა და იქედან სითხემ დაიწყო დენა.

საავადმყოფოში მიყვანისთანავე პაულას პირველადი დახმარება აღმოუჩინეს, რამდენიმეთვიანი მკურნალობის შემდეგ პაულას ნორმალური გარეგნობა დაუბრუნდა.

ჩინეთში „ყინულის კაცი“ ცხოვრობს

ჩინეთში ცხოვრობს ადამიანი, რომელსაც შეუძლია - 12 გრადუს ყინვაშიც იცურაოს. ამ კაცს ცხინ სუნხაო ჰქვია. ის თავის მეწყვილესთან ჩენ კეცაისთან ერთად ათასობით მაყურებელს და მორიგე ექიმების თანდასწრებით 119 წუთი ჩაწვა ყინულით სავსე აბაზანაში. ამ რეკორდით მათ აჯობეს ჰოლანდიელ ვიმა ხოფს, რომელმაც ანალოგიურ სიტუაციაში 115 წუთს გაძლო. ხოფი იმითაც არის ცნობილი, რომ მან მარათონულ რბოლაში ფინეთს შემოურბინა, ხოლო ევერესტზე ერთი შორტით ავიდა, თუმცა ეს „ტანსაცმელიც“ კი ბოლომდე ვერ მიჰყვა, გზაზე შემოეფლითა.

ითვლება, რომ ადამიანი წყლის სიღრმეში 10 გრადუსზე ქვემოთ 30-60 წუთის შემდეგ გონებას კარგავს, ხოლო 1-2 საათის მერე კვდება კიდეც. თუ წყლის ტემპერატურა ნულს ქვემოთაა, გონების დაკარგვა 15 წუთში ხდება, სიკვდილი კი 15-60 წუთის განმავლობაში დგება.

სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ: ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63

ISSN 2233-3983

9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com